დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი

წევრები:

1. პაატა ჩორგოლაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
2. ელისო შურღაია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
3. დარეჯან თედორაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
4. თამთა კამკამიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)
5. თამარ თავშავაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)
6. მეგი კაპანაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
7. მარინე კვარაცხელია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)
8. ლალი აბულაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)
9. მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)
10. ნინო კოვზიაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	ს/კ: 218049252

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლა
იურიდიული მისამართი	სოფელ ტყვიავი
ფაქტობრივი მისამართი	სოფელ ტყვიავი
საფოსტო ინდექსი	1400
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**tkviavi@mes.gov.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577922562

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის ბრძანება N 618830; 30/05/2023, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 26 და 27 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტყვიავი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	**გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტყვიავი**
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	**გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტყვიავი**

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2023 წლის 30 მაისის MES 6 23 0000618830 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი. წევრები: პაატა ჩორგოლაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი); ელისო შურღაია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი); დარეჯან თედორაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი); თამთა კამკამიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი); თამარ თავშავაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი); მეგი კაპანაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი); მარინე კვარაცხელია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი); ლალი აბულაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი); მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი); ნინო კოვზიაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი) დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლაში (ს/კ: 218049252) (შემდგომში - დაწესებულება).

ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 26-27 ივნისს. ბრძანების შესაბამისად განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავში. ჯგუფის სხვა წევრებმა შეფასების პროცესი განახორციელეს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების (zoom) გამოყენებით.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, ორჯერ განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ვიზიტი. გეგმის თანახმად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტებმა განახორციელეს შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენებთან, დაათვალიერეს მათერიალური რესურსი და შეაფასეს დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობა. საგნის ექსპერტები დისტანციურად გაესაუბრნენ, თავიანთი საგნის ფარგლებში, კათედრის ხელმძღვანელებს და შესაბამის მასწავლებლებს. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაეცნოთ დაწესებულების წარმომადგენლებს ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

	☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

მოსწავლეთა რაოდენობა: 506	**ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება** ☐	**შენიშვნა:** სკოლამ განმარტა, რომ თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღრული რაოდენობა შენობის პასპორტის მონაცემების საფუძველზე იყო შევსებული. სასკოლო ინფრასტრუქტურის ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგად, დადგინდა რომ სკოლაში მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა შესაძლებლია განისაზღვროს 506 მოსწავლით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თითოეულ კლასში, (სკოლაში სულ 18+1 სასწავლო ოთახია), 29 მოსწავლე იქნება განთავსებული.

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***ხარვეზი***
ინდიკატორი N.		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***ხარვეზი***
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	***ხარვეზი***
ინდიკატორი N....		.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N.1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სკოლამ უზრუნველყოს სტრატეგიული გეგმის შემუშავება, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (26.06.2022 – 06.09.2023), რომელიც დაეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს.
ინდიკატორი N.1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	სკოლამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შემუშავება, გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის მიერ, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (26.06.2022 – 15.09.2023), რომელიც დაეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას.
ინდიკატორი N.1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების	სკოლამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შემუშავება, გეგმების შემუშავებაზე

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

	შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის მიერ, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (26.06.2022 – 15.09.2023),, რომელშიც აღწერილი იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.
ინდიკატორი N.3.4.1.1.	**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;**	• სკოლამ უზრუნველყოს აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (20.08.2023 - 01.08.2024) • სკოლამ უზრუნველყოს აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება შენობის ექსპლუატაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

		უსაფრთხოების შესახებ, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (22.06.2023-31.03.2024).
ინდიკატორი N.3.4.1.2.	**სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;**	• სკოლა უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.12.2023)
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	
ინდიკატორი N...		.....
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***რჩევა***
ინდიკატორი N.1.1.1.1.	სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში	**სკოლას მიეცა რჩევა** - მისიის და ხედვის შემუშავების დროს გაითვალისწინოს, რომ **მისია ასახავს** ორგანიზაციის ფუნდამენტური/ძირითადი დანიშნულებას და მისი იდენტობას. ის უნდა იყოს მოკლე, გასაგები და მამოტივირებელი, ხოლო **ხედვა** განსაზღვრავს ორგანიზაციის განვითარების საშუალოვადიან ან გრძელვადიან მიზნებს (5-15 წლის პერსპექტივით). ხედვაში ასახული უნდა იყოს სკოლის მისწრაფებები ანუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N.3.4.1.1.		**სკოლას მიეცა რჩევა** შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანასთან, ან საკუთრი კადრის ამ მიმართულებით გადამზადებასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ინდიკატორი N.3.6.3.1.	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	მიუხედავად იმისა რომ სკოლას აქვს ვებგვერდის შესაბამისი გვერდი სკოლამ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით დაგეგმა საკუთარი ვებგვერდის შექმნა. აქედან გამომდინარე სკოლას მიეცა რჩევა - უზრუნველყოს ვებგვერდის შექმნა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (19.06.2023-11.01.2023)
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N 4.2.2.3.	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.	**სკოლას მიეცა რჩევა** - შეიმუშავოს შესაბამისი მეთოდოლოგია, რომელშიც ასახავს, თუ როგორ მოახდენს ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გაწეული მომსახურების შეფასებას და რომელ ინტრუმენტებს გამოიყენებს ამისთვის.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური - ფიზიკური აღზრდა და სპორტი)**	***რჩევა***
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	მასწავლებელს მიეცა **რჩევა**- გაზარდოს კურუკულუმებში გაწერილი თემების რაოდენობა, რაც ერთმნიშვნელოვნად განაპირობებს ე.ს.გ. სასწავლი გეგმის გრძელვადიან მიზნებზე გასვლას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური - ფიზიკური აღზრდა და სპორტი)**	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	პედაგოგს მიეცა რჩევა დააზუსტოს თემებში საკითხების დოზირების შინაარსი, რაც მნიშვნელად შეუწყობს ხელს მოსწავლეების ე.ს.გ. სასწავლი გეგმის გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლას.
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური - ფიზიკური აღზრდა და სპორტი)**	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	პედაგოგს მიეცა რჩევა დააზუსტოს თემების ნაწილში ქვეცნებები და საკითხების დოზირების შინაარსი, რაც მნიშვნელად შეუწყობს ხელს მოსწავლეების ე.ს.გ. სასწავლი გეგმის გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა შეფასებების საფუძველზე, სკოლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, თავდპირველად, დასკვნის პროექტის თანახმად, რიგ სტანდარტებთან მიმართებით, შეფასდა როგორც არ „შეესაბამება“ (პირველი სტანდარტის -კომპონენტი 1.2; მესამე სტანდარტის - კომპონენტი 3.4 და კომპონენტი 3.6.) თუმცა მეორე სტადარტი, ყველა კომპონენტის გათვალისწინებით შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია შესასრულებელი სამუშაო ვადების გათვალისწინებით, შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა/ები, პასუხისმგებელი პირები, საჭირო ადამიანური რესურსი და ასევე პროცესების შეფერხების რისკი. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შესაბამისობის გეგმა და მივიდა დასკვნამდე, რომ სკოლას აქვს მზაობა აღმოფხვრას მითითებული ხარვეზები. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული სტანდარტები საბოლოო დასკვნაში, შეფასებულია როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო **სკოლაის მისიაა** - ჩვენ მოვამზადებთ აქტიურ და მოქალაქეობრივ პოზიციების მქონე მოსწავლეს მისი ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროების გათვალისწინებით, ამიტომ შევქმნით უსაფრთხო და კომფორტულ გარემოს სადაც თითოეულ მათგანს ექნება ეროვნული მიზნებითა და ახალი სასწავლო პროგრამებით განსაზღვრული ხარისხიანი განათლების მიღების გარანტია. **სკოლის ხედვა** გულისხმობს შემდეგს: ჩვენ გვსურს სკოლაში შეიქმნას ისეთი სასკოლო გარემო, რომელიც ყველა მოსწავლესა და მასწავლებელს მისცემს თვითრეალიზების საშუალებას, ჩვენი მოსწავლეები აღჭურვილნი იქნებიან საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ -ჩვევებით და სკოლა გაზრდის მათ ისეთ მოქალაქეებად, რომლებიც თავიაანთ პროფესიულ ცოდნასა და უნარებს ქვეყნისა და კაცობრიობის საკეთილდღოდ გამოიყენებენ.
დირექციასთან გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ სკოლაში მიმდინარეობს მისიის და ხედვის გადამუშავების პროცესი, რომლის დასრულებაც 2023 წლის ივნისის ბოლომდე იგეგმება. გადამუშავების მიზეზად სკოლა ასახელებს იმ ფქტს, რომ არსებული მისია, მართალია შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ეროვნულ სასწავლო გეგმას, თუმცა ზოგადია და მის შემუშავებაში არ იყო ჩართული სასკოლო საზოგადოება. სკოლა მიიჩნევს, რომ ნებისმიერი კონცეფცია უნდა ეყრდნობოდეს ობიექტურ სტატისტიკურ ინფორმაციას, კვლევის შედეგებს და სასკოლო საზოგადოების მოსაზრებებზე უნდა იყოს დაფუძნებული. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა სკოლის მისიის, ხედვის და სტრატეგიული განვითარების გეგმის შედგენის სამუშაო ჯგუფი (რაც დადასტურდა მათი შეხვედრების ოქმებით) და შემუშავდა შესაბამისი სამოქმედო გეგმა (სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ-ის ბრძანება N2-75 სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელი დროებითი სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ),

სკოლას მიეცა რჩევა - მისიის და ხედვის შემუშავების დროს გაითვალისწინოს, რომ **მისია ასახავს** ორგანიზაციის ფუნდამენტური/ძირითადი დანიშნულებას და მისი იდენტობას. ის უნდა იყოს მოკლე, გასაგები და მამოტივირებელი, ხოლო **ხედვა** განსაზღვრავს ორგანიზაციის განვითარების საშუალოვადიან ან გრძელვადიან მიზნებს (5-15 წლის პერსპექტივით). ხედვაში ასახული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

უნდა იყოს სკოლის მისწრაფებები ანუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;**

სკოლა გეგმავს რომ მისია და ხედვა რომელსაც ის შეიმუშავებს ორიენტირებული იქნება სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და მათი პიროვნული განვითარებისთვის შესაბამის სოციო-კულტურულ სივრცის შექმნაზე სკოლის წარმომაგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მათ გააზრებული აქვთ საკუთრი სასკოლო საზოგადოების/სასკოლო თემის და ზოგადად საზოგადოების პრიორიტეტების, ღირებულებებისა და გამოწვევების შესწავლის მნიშვნელობა, რასაც ადასტურებს, ის რომ სკოლაში მისიაზე და ხედვაზე მუშაობა, სწორედ ამ მიმართულებით მიმდინარეობს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;**

2022-2023 ს/წლის დასრულების შემდგომ სკოლამ დაიწყო მუშაობა მისიის, ხედვის, ღირებულებების, ასევე სტრატეგიულ მიზნების ჩამოყალიბების პროცესზე, რისთვისაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. ჯგუფში გაერთიანდა თითოეული კათედრის წარმომადგენელი, სპეციალურ მასწავლებელი, ბიბლიოთეკარი და დირექტორის მოადგილე.

ჯგუფმა მუშაობა დაიწყო სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი წესების თანახმად, რაც გულისხმობს, რომ - ხედვა და მისია გუნდურად, ორგანიზაციის თანამშრომლების აქტიური მონაწილეობით უნდა ჩამოყალიბდეს და ხელი შეუწყოს არა მხოლოდ თანამშრომელთა ჩართულობას შინაარსის ფორმულირებაში, არამედ შემუშავებული "პროდუქტის" (ხედვის და მისიის) მიმართ საკუთრების გრძნობის გაღვივებას, ორგანიზაციისადმი ერთგულებას, შრომითი მოტივიაციის ამაღლებას და დასახული მიზნების მიღწევას.

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების და სტრატეგიული განვითარების გეგმის შედგენის სამუშაო ჯგუფის გეგმის, ასევე ჯგუფის სხდომების ოქმების თანახმად სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება დასრულდება 2023 წლის ივნისის ბოლოს. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავების პროცესშია, თუმცა დირექციასთან გასაუბრებით, დადგინდა, რომ ხელახლა გადამუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ პედსაბჭოზე, მშობელთა კრებებზე, სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. რამდენადაც სკოლა მეთოდოლოგიის თანახმად მოქმედებს და შემუშავებული აქვს სამუშაო ჯგუფის გეგმა, შეიძლება ითქვას, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ. **შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის დროს დადგინდა, რომ პირველ სართულზე, დიდ ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სკოლის არსებული მისია, რითაც დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა, რაც დადასტურდა დირექციის წარმომადგენლებთან გასაუბრებითაც, რომ განახლებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ და ხელმისაწვდომ, თვალსაჩინო ადგილას (საინფორმაციო დაფაზე) იქნება გამოკრული, გასაჯაროვდება სკოლის ფეისბუკ გვერდზე, გაცნობილი იქნება მშობელთა და კლასის კრებებზე (2023- 2024 სასწავლო წლის პირველი სემესტრის დასაწყისი). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, რომელიც მინიჭებულია ბრძანების საფუძველზე (2005 წლის 13 სექტემბრის # 448-ე ბრძანება). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელი დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1;
- 2023-2024 ს/წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- ბრძანება სსიპ სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სკოლის ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგები.
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის და სტრატეგიული განვითარების გეგმის შედგენის სამუშაო ჯგუფის გეგმა;
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ-ის ბრძანება # 2- 74 სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა მეთოდოლოგია, რომელიც აღწერს სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების ზოგადი მიდგომებს, მოთხოვნებს და სამუშაო პროცესებს.

მეთოდოლოგიის თანახმად სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება შემდეგ მიდგომებს: გუნდური მუშაობა, **თანამონაწილეობა, გამჭვირვალობა**, **სამართლიანობა, მიზანშეწონილობა** და **სოციალური პასუხიმგებლობა**. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია წარმოადგენს გრძელვადიანი დაგეგმვის დოკუმენტს, რომელიც აღწერს სკოლის სამომავლო განვითარების პრიორიტეტებსა და საქმიანობებს. მასში აღწერილია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც განხორციელდება სკოლისათვის გრძელვადიანი - სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი - ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება.

სტრატეგიული პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით, სკოლამ მთავარ ორიენტირად განსაზღვრა სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა და დაგეგმვის პროცესი შემდეგ ეტაპებად წარმოადგინა: ინფორმაციის შეგროვება, კვლევა, ანალიზი (SWOT), სამოქმედო/სტრატეგიული გეგმების მონიტორინგი და შეფასება, მისიის, ხედვის, ღირებულებების ჩამოყალიბება, სამოქმედო გეგმის შემუშავება, დამტკიცება, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა, სტრატეგიული გეგმის შემუშავება, დამტკიცება, სტრატეგიული გეგმის გადახედვის ფაზა. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ასევე სკოლის ფუნქციონირებისთვის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისას, სამუშაო ჯგუფის მიერ განსახილველი საკითხები:

1. სკოლის მართვის დემოკრატიული სისტემის განვითარება
2. მოსწავლეებში სწავლა –სწავლების ხარისხის ამაღლება, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა და თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი განათლების მიცემა
3. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა.
4. მშობელთა და საზოგადოების დაინტერესებული ნაწილის ჩართულობის ამაღლება.
5. კლასგარეშე მუშაობის ეფექტური წარმართვა
6. მატერიალური ბაზისა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება
7. სკოლის ფინანსური მართვა

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტით, სკოლას ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმის გადამუშავება შვიდწლიან გეგმად დაგეგმილი ჰქონდა 2024-2025 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, თუმცა ადგილზე ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენლებთან, ასევე სსიპ სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელ დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრებთან გასაუბრებით, მათ მიერ ჩატარებული სხდომის ოქმით და შემუშავებული გეგმის თანახმად, დადგინდა რომ მათ დაწყებული აქვთ შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მუშაობა შესაბამისი მეთოდოლოგიის გათვალისწინებით.

<u>აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის, რომელიც ღირებულებებს,იქნება ციკლური და დაეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს, შემუშავების საბოლოო ვადად განისაზღვრა 26.06.2022 – 06.09.2023), პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრა საჯარო სკოლის სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელი დროებითი სამუშაო ჯგუფია. შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკად და ამ რისკის დადგომის ალბათობად განისაზღვრა ფორს-მაჟორული გარემოება 2%.</u>

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გაითვალისწინა სკოლის პოზიცია და გასცა შესაბამისობის რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს სტრატეგიული გეგმის შემუშავება, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (26.06.2022 – 06.09.2023), რომელიც დაეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს.ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილადაა დაკმაყოფილებული.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

სკოლამ თვითშეფასებასთან ერთად წარმოადგინა 2022-2023 ს/წლის სამოქმედო გეგმა, ხოლო ადგილზე ვიზიტის პერიოდში 2023-2024 ს/წლის სამოქმედო გეგმის პროექტი. სკოლამ სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავებისას იხელმძღვანელა წინა სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შეფასებით, რომელიც დაეყრდნო დირექტორის მოადგილის, კლასის დამრიგებლების ანგარიშებს. გარდა ამისა, გაითვალისწინა ახალი გამოწვევები და მეტი განვითარებისათვის გამოყო 5 ძირითადი მიმართულება. ესენია:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავება/განახლება და ორგანიზაციული განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

- მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა.

სამოქმედო გეგმის პროექტის შესწავლით დადგინდა, რომ სკოლას გააზრებული აქვს ყოველწლიური თვითშეფასების მნიშვნელობა, მაგრამ ვერ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმიდან გამომდინარე ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რამდენადაც სტრატეგიული განვითარების გეგმა არ იყო შემუშავებული. **აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის, რომელიც დაეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას, შემუშავების ვადად განისაზღვრა (26.06.2022 – 15.09.2023).პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრა საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელი დროებითი სამუშაო ჯგუფი. შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკად და ამ რისკის დადგომის ალბათობად განისაზღვრა ფორს-მაჟორული გარემოება 2%.**

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გაითვალისწინა სკოლის პოზიცია და გასცა შესაბამისობის რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შემუშავება, გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის მიერ, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (26.06.2022 – 15.09.2023), რომელიც დაეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას.და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. ინდიკატორის მოთხოვნები არის მეტწილად დაკმაყოფილებული.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**

წარმოდგენილ 2023-2024 ს/წლის სამოქმედო გეგმის პროექტში სრულად არ არის წარმოდგენილი ის საკითხები, რომლის შესახებ ინფორმაციასაც უნდა მოიცავდეს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა {არ არის აღწერილი: მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ამოცანები, აქტივობები, განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი სტრუქტურები/პირები, შესაბამისი აქტივობის შესრულების ინდიკატორები, საჭირო რესურსები და ინფორმაცია ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ (ბიუჯეტის შესაბამის მუხლი, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა)}. ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა უნდა გამომდინარეობდეს სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმიდან, ხოლო როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა შემუშავებული არ ჰქონდა. **აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის, რომელიც**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

დაეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას, შემუშავების ვადად განისაზღვრა (26.06.2022 – 15.09.2023).პასუხისმგებელ პირებად განსზღვრულია საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელი დროებითი სამუშაო ჯგუფი. შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკად და ამ რისკის დადგომის ალბათობად განსაზღვრულია ფორს-მაჟორული გარემოება 2%.

ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის პოზიცია და გასცა შესაბამისობის რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შემუშავება, გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის მიერ, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (26.06.2022 – 15.09.2023),, რომელშიც აღწერილი იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნები არის მეტწილად დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- სსიპ სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელი დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1;
- 2023-2024 ს/წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- ბრძანება სსიპ სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის და სტრატეგიული განვითარების გეგმის შედგენის სამუშაო ჯგუფის გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;**

მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სკოლაში დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი ახორციელებს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში მინიმუმ ერთხელ. შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ - სამოქმედო გეგმის წლიური შესრულების ანგარიშის საფუძველზე, რაც გულისხმობს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ასევე სამოქმედო გეგმის შუალედური შეფასებაც, რამაც შეიძლება გამოკვეთოს რიგი პრობლემური საკითხები ან სკოლაში მიმდინარე რომელიმე პროცესის გაუმართაობა. იდენტიფიცირებული პრობლემების ან პროცესებში შეფერხებების აღმოფხვრის მიზნით, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე შეიმუშავებს გაუმჯობესების გეგმას და წარადგენს მას დირექტორთან შესათანხმებლად. აქვე აღნიშნულია, რომ წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით. ანგარიშის საფუძველზე გადაიხედება სტრატეგიული გეგმა და განისაზღვრება მასში ცვლილებების შეტანის საჭიროება. მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში საფუძვლად ედება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით დგინდება, რომ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების ზოგადი მიდგომები, მოთხოვნები და სამუშაო პროცესები. შესაბამისად **წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;**

მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგის და შეფასების განხორციელება ყოველი წლის ბოლოსთვის იგეგმება. წარმოდგენილი **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;**

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგებზე სამეურვეო საბჭო ყოველი წლის 10 დეკემბრამდე დირექტორისგან იბარებს ანგარიშს, ხოლო დირექტორი თავის მხრივ პედსაბჭოს წარუდგენს, რაც მასთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დადასტურდა. **წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.**

მეთოდოლოგიის თანახმად და სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოყენებული იქნება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება და საქმიანობის რეგულაციები“ ვხვდებით სკოლაში მოქმედ სტრუქტურული ერთეულების/პირების გაწერილ ფუნქციებს. ასევე სკოლა ხელშეკრულებით არეგულირებს დასაქმებული პირების ფუნქციებს, რომელიც რეგულირდება საშტატო განრიგით.

დასაქმებული თანამშრომლების საშტატო ერთეულები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლის საშტატო ნუსხით. სკოლაში დასაქმებულია დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, სსმ პირის ასისტენტი, დარაჯი, დამლაგებელი. დასაქმებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია კონკრეტული ფუნქციები. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები. სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაციისთვის ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის და ,,საჯარო სკოლის წესდების შესახებ’’ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების მიხედვით და თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლაში დასაქმებულია პირების, რომლებიც ითავსებენ, როგორც ადმინისტრაციულ, ასევე საგაკვეთილო პროცესს, ფუნქციები გამიჯნულია, არ ხდება ფუნქციათა აღრევა, ან გადაკვეთა, რაც თავისთავად ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის საშტატო განრიგი;
- გაფორმებული საკადრო ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

სკოლაში დასაქმებული პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით, ხელშეკრულებებით და სკოლის შინაგანაწესის მიხედვით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საკუთარი ორგანიზაციული მოწყობა. სკოლის სტრუქტურა მოიცავს: სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციას (დირექტორი, დირექტორის მოადგილე და ბუღალტერი), პედაგოგიური საბჭოს, საგნობრივ კათედრებს, მასწავლებელთა ხარისხის განვითარების ჯგუფს, მოსწავლეთა თვითმართველობას) სკოლა სარგებლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლების წესდებით, სადაც გაწერილია საჯარო სკოლისთვის განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურის სავალდებულო რგოლების სამუშაო აღწერილობები, ხოლო სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე დასაქმებული პირების/ სტრუქტურულ ერთეულების უფლება-მოვალეობები წარმოდგენილია შრომითი ხელშეკრულებით. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;**

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სკოლას პერსონალის მართვის ერთიანი ხედვა დოკუმენტის სახით აქვს მომზადებული, თუმცა სკოლას პრევენციულ და ინტერვენციულ პერსონალის მართვის პოლიტიკის კუთხით წარმოდგენილი აქვს ასევე პერსონალის დანიშვნის, გათავისუფლების ბრძანებები, რომელიც რეგულირდება ხელშეკრულებებით, სკოლის შინაგანაწესით. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;**

სკოლა პერსონალს არჩევს კანონმდებლობის შესაბამისად, შიდა და გარე ვაკანსიის გამოცხადების გზით, ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით; სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად, სკოლაში დაცულია მასწავლებლის შერჩევის მიზნით გამოცხადებული ვაკანსიის კომისიის შექმნის ბრძანება, ვაკანსია გამოცხადებულია მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე, წარმოდგენილია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ გათვალისწინებულ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. ამას ადასტურებს საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისობა პერსონალის პირად საქმეებთან. **შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;**

პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტიდან გამომდინარე ადმინისტრაციული სტრუქტურების წარმომადგენლების და პედაგოგების მონაწილეობითი და გუნდური მუშაობა იკვეთება მაგალითად კათედრების მუშაობაში. აგრეთვე სკოლაში ვიზიტის დროს და ინტერვიუებითაც. **შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.**

სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- კონკურსის გამოცხადების ბრძანება;
- სპეციალური მასწავლებლის აყვანის წესი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით. დოკუმენტში გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები, გაკვეთილზე დაკვირვება/შეფასების, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. ადმინისტრაციის ინფორმაციით სკოლის დირექცია და კათედრები ახორციელებენ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებას, ხდება უკუკავშირის მიცემა, კათედრაზე ხორციელდება ერთობლივი გაკვეთილების დაგეგმვა-განხორციელება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით პერსონალის განვითარება ხდება საჭიროებიდან გამომდინარე მასწავლებლის სახლთან თანამშრომლობით, შესაბამისი ტრენინგებით. შეფასებისა და მხარდაჭერის ჯგუფის სამოქმედო გეგმაში იკითხება საჭიროებების გამოვლენისა და რეაგირებისთვის მზაობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

სკოლაში შექმნილია ხარისხის ჯგუფი, წარმოდგენილია ხარისხის ჯგუფის დებულება, რომლის მიხედვით ხარისხის ჯგუფმა ხელი უნდა შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. ამავდროულად სკოლის სტრატეგიული გეგმით გაცხადებულია რომ სკოლა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით: ითანამშრომლებს უნივერსიტეტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც სკოლის პედაგოგებს გაუწევენ კვალიფიციურ დახმარებას ტრენინგებისა და სემინარების სახით. სკოლა პერიოდულად ჩაატარებს მასწავლებელთა საქმიანობის მონიტორინგს და გააკეთებს შედეგების ანალიზს, რის საფუძველზეც მოხდება წარმატებული მასწავლებლების წახალისება; ხელს შეუწყობს პედაგოგთა ჩართულობას კონფერენციებსა და სხვა მსგავს საგანმანათლებლო ღონისძიებებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან ყველა საჭირო პირობაა შექმნილი, რათა მოხდეს სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების ინტეგრაცია. კაბინეტები კეთილმოწყობილია და აღჭურვილი ყველა საჭირო ინვენტარით. ასევე საკლასო და სარეკრეაციო ზონები შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. ასევე სკოლის შინაგანაწესში წარმოდგენილია შრომის პირობების დაცვის წესები. დაწესებულის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრაზე მოხდება ახალბედა მასწავლებლის მხარდაჭერა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში, ასევე სკოლის შინაგანაწესში გაწერილია თანამშრომელთა წახალისების წესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- გაკვეთილებზე დასწრების უკუკავშირი;
- კათედრის ოქმი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;**

სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა და კონტროლი გარკვეულწილად ხორციელდება ხარიხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. კერძოდ: 1. კათედრების მიერ ხორციელდება სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასება და შემდგომი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

გაუმჯობესება. 2.სკოლის მხრიდან ნაკლებად, თუმცა მასწავლებლის სახლის დახმარებით ხორციელდება ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;**

საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის შინაგანაწესში. გაწერილია დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში. სკოლის საქმიანობის მმართველობით პროცესები აღწერილია სკოლის ადმინისტრაციულ და უმაღლესი მმართველობითი რგოლის საქმიანობაში, ხოლო ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია და ფუნქციურად აღწერილია სხვა სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობებში. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში იდენტიფიცირებულია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;**

გასაჩივრების პროცედურები განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით. საჩივრების განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოებია სამეურვეო საბჭო და დისციპლინარული კომიტეტი. სკოლაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებსაც საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე განიხილავს შესაბამისი ორგანო, მაგალითად, დისციპლინური გადაცდომების შესახებ საჩივრებს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი, დისციპლინური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება სამეურვეო საბჭოში არის შესაძლებელი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.**

პერსონალისა და მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები მკაფიოდაა გაწერილი შინაგანაწესსა და მასწავლებელთა შრომით ხელშეკრულებებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

- დისციპლინარული კომიტეტის ოქმი;
- ხელშეკრულებები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;**

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პირობებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებების ჩატარების გზებს, შიდა და გარე კომუნიკაციის მართვის პრინციპებს, საინფორმაციო საშუალებების (ვებ. გვერდი, ელ-ფოსტა, სოციალური მედიის არხები) მართვისა და განვითარების სტრატეგიებს. წესი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და რეაგირების ფორმებს (მუხლი 8). წესის თანახმად საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირის შედეგები გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; ანალიზს წარმართავს საინფორმაციო მენეჯერი საკითხთან დაკავშირებული მასწავლებლების ჩართულობით.

სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით სკოლის შესახებ ყველა საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია განთავსდება სკოლის სოციალურ ქსელში, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლება მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიება. მასწავლებელს, მშობელსა და მოსწავლეს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში პასუხისმგებელი პირი არის დამრიგებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

დამრიგებელს ევალება სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნოს შემდეგი დოკუმენტაცია: სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის კოდექსი, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, ევაკუაციის გეგმა, საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმა და ქცევის წესები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა; სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.**

ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით. ყველა სტრუქტურული რგოლის მუშაობის მთავარი მიზანი სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების შესრულების ხელშეწყობაა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- **საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;**
- დამრიგებლის სამოქმედო გეგმა;
- სკოლის წესდება;
- სამეურვეო საბჭოს და დისციპლინარული საბჭოს არჩევნების ოქმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;**

დირექტორის ბრძანებით შემუშავებულია სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. სკოლაში, ფიზიკური უსაფრთხოების დაცვისთვის გამოყოფილია: 2 მანდატური, 2 დარაჯი და მორიგე მასწავლებლები. პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა არსებული ნორმატიული აქტი და შესაბამისი ორგანოების რეკომენდაციები. კაბინეტი უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით რომელიც ნიავდება ბუნებრივი ვენტილაციის გზით და აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით: სამედიცინო ტახტი, სასწორი, სიმაღლის საზომი, საკაცე, მაცივარი, კარადები რომლებშიც განთავსებულია ყველა ის მედიკამენტი, ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები, რომელთა გამოყენება დასაშვებია სკოლის მოსწავლეების მიმართ. სკოლას არ ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი, თუმცა არის ექთანი, რომელიც აწარმოებს ყოველდღიურ ჩანაწერებს, სკოლას აქვს შემუშავებული საგანგებო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

მართვის გეგმა, თუმცა ამ ეტაპზე არ აქვს შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სკოლამ წარმოადგინა წერილი (21/06/2023), რომელიც გაეგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით.

სახანძრო უსაფრთხოების მიზნით შენობის სართულებზე გამოკრული საევაკუაციო გეგმები არ შეესაბამება მოთხოვნილ წესებს და არ არის შემუშავებული შესაბამისი ორგანოს მიერ. ყველა სართულზე განთავსებულია 2 ცეცხლმაქრი, რომელთა ნაწილიც არ არის შესაბამისი წესით და ვადებში დამუხტული. სკოლას არ აქვს სიგნალიზაციის სისტემა, არ არის დამონტაჟებული ჰაერის დეტექტორები. სკოლამ ვერ წარმოადგინა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.
სკოლის შიდა სივრცეები და პერიმეტრი კონტროლდება ვიდეოკამრით, თუმცა წარმოდგენილი ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა ვერ უზრუნველყოფს ვერც სკოლის შიდა (კიბის უჯრედები საერთოდ არ კონტროლდება) და ვერც სკოლის გარე პერიმეტრის სრულად კონტროლს. სკოლამ მიმდინარე წელს წერილით მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს რათა მოხდეს სკოლაში სამეთვალყურეო ვიდეო თვალის მონტაჟი. სკოლას არ აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა თუმცა იგი რეაბილიტირებულია და არსებობს შენობის პასპორტი და გეგმა რეაბილიტაციამდე. . სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რასთან დაკავშირებითაც მიეცა შესაბამისი რჩევა - უზრუნველყოს სკოლა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტით ან საკუთრი კადრი გადაამზადოს ამ მიმართულებით.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის უზრუნველყოფის საბოლოო ვადად განისაზღვრა (20.08.2023 - 01.08.2024), ხოლო შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის უზრუნველყოფის საბოლოო ვადად განისაზღვრა (22.06.2023-31.03.2024). ორივე დოკუმენტთან მიმართებით პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრნენ: სკოლის დირექტორი, ბუღალტერი, მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. ფინანსურ მხარდამჭერად განისაზღვრა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, ხოლო სხვა ჩართული მხარეებად (გარდა დაწესებულებისა) რესურსცენტრი და შემსრულებელი/მომწოდებელი ორგაიზაცია. შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკად და ამ რისკის დადგომის ალბათობად განისაზღვრა შესაბამისი უწყების რეაგირების დაგვიანება და/ან დაფინანსების შეფერხება,. 50%

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გაითვალისწინა სკოლის პოზიცია და გასცა შესაბამისობის რეკომენდაციები:

- სკოლამ უზრუნველყოს აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, სტანდარტებთან შესაბამისობის (მეტწილი შესაბამისობა) უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (20.08.2023 - 01.08.2024);
- სკოლამ უზრუნველყოს აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ, სტანდარტებთან შესაბამისობის (მეტწილი შესაბამისობა) უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (22.06.2023-31.03.2024).

ინდიკატორი მოთხოვნები მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლას, დირექტორის ბრძანების საფუძველზე, შემუშავებული აქვს - უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი და ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც იკრიბება სემესტრში ორჯერ, განიხილავს არსებულ სიტუაციას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას ჰყავს 2 მანდატური და დირექტორის ბრძანებით დანიშნული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომლებიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ზრუნავენ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე.
სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანებით დამტკიცებულ №06/ნ ბრძანების მოთხოვნებს. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ხორციელდება მანდატურის და სკოლის თანამშრომლების საშუალებით. სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს დარაჯი. ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი, სამინისტროს ნომერი; მანდატურის/უფლებამოსილი პირის მობილური ტელეფონის ნომერი; წარმოდგენილი დოკუმენტაციით მოსწავლეებისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა ხდება კლასის ხელმძღვანელების მიერ კლასის საათზე. სკოლას, სასწავლო წლის მანძილზე, განხორციელებული აქვს საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ბულინგის წინააღმდეგ და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. სკოლამ ვერ წარმოადგინა მეთოდოლოგია სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასების შესახებ, თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავების ვადად განისაზღვრა 2023 წლის 01 დეკმბერი, ხოლო პასუხისმგებელ პირად - სკოლის დირექტორი. რისკი განისაზღვრა 0 პროცენტით.

ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის პოზიცია და გასცა შესაბამისობის რეკომენდაცია:

სკოლამ უზრუნველყოს მეთოდოლოგიის შემუშავება, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასების შესახებ, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.12.2023).

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები არის მეტწილად დაკმაყოფილებული.

3. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;**

ფსიქოემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით სკოლას ჰყავს სპეცმასწავლებელი. ხელშეკრულებაში გაწერილია მისი ფუნქციები. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობები ჩანს სკოლის სადამრიგებლო პროგრამით წარმოდგენილი კლასის საათის თემებში, რომლებიც მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე. სკოლის ინფრასტრუქტურა, კერძოდ, ეზოში მოწყობილი სპორტული მოედანი, დერეფნები ხელს უწყობს შესვენებაზე მოსწავლეების სოციალიზაციის პროცესს. რესურსოთახში სხვადასხვა პროექტების ფარგლებში წარმოდგენილი მრავალფეროვანი ნამუშევრები, ქმნის შთაბეჭდილებას რომ სასკოლო საზოგადოებას აქვს სკოლის მიმართ დადებითი, ემოციური და მიკუთვნილობის განცდა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;**

კოლაში შემუშავებულია სანიტარულ-ჰიგიენური დაცვის მექანიზმები. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში დასაქმებულია დამლაგებლები, რომელებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სასწავლო ინვენტარის (მერხები, მაგიდები, თაროები, კომპიუტერები და სხვა) გაწმენდას საწმენდი საშუალებებით. კარადების, სათავსოების, უჯრების მოწესრიგებას და ყოველდღიურად სველი წესით დამუშავებას. განსაკუთრებული კონტროლია დაწესებული სანიტარული კვანძების (ტუალეტი, ნიჟარები, უნიტაზები) სისუფთავეზე. დამლაგებლების მუშაობას ყოველდღიურ მონიტორინგს უწევს სკოლის ექთანი. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად არის გამოყოფილი ცალკე ოთახი (ადმინისტრაციის განმარტებით აქვთ დამხმარე სათავსოები). საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ნარჩენების კალათი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;**

სკოლას საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირი, საქმეთამმართველი. მას ხელშეკრულებით ევალება სამსახურეობრივი მოვალეობის შედეგად მიღებული მოსწავლეების და თანამშრომელთა პერსონალური ინფორმაციის დაცვა. სკოლის დირექტორის ბრძანებით N 2-13, 15.02.2021, დამტკიცებულია სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;**

სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. საქმისწარმოებისა და ბუღალტრულ დოკუმენტაციაზე წვდომა აქვს მხოლოდ ხელშეკრულებით უფლებამოსილ პირებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.**

სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რაც დასტურდება მრჩეველთა საბჭოს ოქმით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ექთნის ხელშეკრულება;
- წერილი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს სამეთვალყურეო ვიდეო თვალის მონტაჟთან დაკავშირებით;
- დირექტორის ბრძანებით შემუშავებული სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

- საგანგებო მართვის გეგმა;
- წერილი (21/06/2023), რომელიც გაეგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით;
- სპეცმასწავლებლის ხელშეკრულება;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები;
- დირექტორის ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმების დამტკიცების შესახებ;
- ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები;
- საქმეთამმართველის ხელშეკრულება;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სკოლა განლაგებულია 20414 კვ/მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ფართზე. შენობის საერთო ფართია-3520 კვ. მ; სართულის რაოდენობა - 3 ; სკოლას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2015-2016 წელს.

სკოლაში ირიცხება 386 მოსწავლე. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და სასკოლო დაფით. არის კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პროექტორით და ეკრანით, ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის ხელმისაწვდომია ინტერნეტი (არის Wi-Fi), სკოლას აქვს სხვადასხვა თვალსაჩინოებები და აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას აქვს ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და კომპიუტერული ლაბორატორია, რომლებიც შეიცავს სხვადასხვა დასახელების ხელსაწყოებსა და თვალსაჩინოებებს. სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, რომელიც განთავსებულია პირველ სართულზე ასევე აქვს სკოლის ეზოში გარე სპორტული მოედანი. სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, უცხოენოვანი წიგნები, დამხმარე სახელმძღვანელოები, პერიოდიკა და ა.შ. სკოლის შემოსასვლელში განთავსებულია პანდუსი, რაც შშმ მოსწავლეს აძლევს შენობაში შესვლისა და გადაადგილების შესაძლებლობას. პირველ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

სართულზე განთავსებულია სსსმ მოსწავლეთათვის რესურსოთახი, რომელიც მთლიანად ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე და აღჭურვილია ინდ. გეგმებით განსაზღვრული გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების მისაღწევად საჭირო რესურსებით. სკოლას აქვს ადაპტირებული სველი წერტილი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;**

ინფრასტრუქტურა საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. გარე და შიდა სპორტულ დარბაზში რეგულარულად ტარდება სპორტული ღონისძიებები, ლაბორატორიებში ხდება საგაკვეთილო პროცესის წარმართვა ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის, ასევეა ექიმის კაბინეტი და ადაპტირებული რესურსოთახი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;**

სკოლის ბიბლიოთეკას აქვს სამკითხველო მაგიდები, სკამები. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლის ერთ-ერთი შესასვლელით შეუძლია ეტლით მოსარგებლე პირს ისარგებლოს. სსსმ პირისთვის პირველ სართულზე მოწყობილია რესურსოთახი და ადაპტირებული საპირფარეშო. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;**

შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. დერეფნები, სკოლის ეზო, ღია და დახურული სპორტული მოედანი, კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).**

სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის (ისტ-ის მიმართულებით), მოწყობილია კომპიუტერულ კლასი, სადაც განთავსებულია პროექტორი და ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები.
ბუნებისმეტყველებისთვის-საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, შესაბამისი ლაბორატორიული აღჭურვილობით.
საბაზო და საშუალო საფეხურები: საბუნებისმეტყველო მიმართულებით ფუნქციონირებს ლაბორატორია, რომელიც განთავსებულია ცალკე საკლასო ოთახში, დგას სადემონსტრაციო მაგიდები აღჭურვილი STEM საგნების გაკვეთილებისთვის საჭირო ინვენტარით.
სპორტის გაკვეთილებისთვის-ღია და დახურული სპორტული მოედანი შესაბამისი ინვენტარით.
საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული ციფრული რესურსების განხორციელებისთვის სკოლაში არის კომპიუტერებით აღჭურვილი კომპიუტერული კლასი.
სამივე საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდი განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკაში. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, სადაც გაწერილია ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. ბიბლიოთეკაში არის როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები ასევე მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა. შემთხვევითი პრინციპით შერჩეული სახელმძღვანელოების დათვალიერებით დგინდება, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი;
- ინვენტარიზაცია.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკა მოძველებულია, შეუფერხებლად მიმდინარეობს მუშაობა. სკოლას ციფრული ტრანსფორმაციის გეგმაში გათვალისწინებული აქვს მისი განახლება. საჭიროებიდან გამომდინარე სკოლაში წამოჭრილი პრობლემას გადაჭრას, ემსახურება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის აიტი სპეციალისტი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.**

სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია 18 კომპიუტერი; კომპიუტერული ლაბორატორია უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მიზნობრივად იმუშაონ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;**

სკოლაში არსებობს საქმისწარმოების წესი. საქმისწარმოება მიმდინარეობს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელსაც უზრუნველყოფს საქმისმწარმოებელი. საქმისმწარმოებლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. სკოლაში , ასევე წარმოებს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილი და დალუქულია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიიღება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;**

ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ბრძანებით გამოყოფილი ჰყავს პასუხისმგებელი პირი. **შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. დირექტორის განმარტებით, ანგარიშების წარდგენა შესაბამის სტრუქტურებთან ხდება ვადებისა და პროცედურების დაცვით, რაც დასტურდება 2022 წლის 10 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმით (სკოლის დირექტორის წლიური ანგარიშის წარდგენა). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- გატარების ჟურნალები;
- ერთიანი ელექტრონული სისტემა.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;**

სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ვებგვერდი. სამომავლოდ იგეგმება მისი შექმნა და აქტიურად გამოყენება. ამ მიზნით სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი ქალაქ გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსთან შუამდგომლობის თხოვნით სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან (წერილი 19/06/2023 MES 7 23 0000716814) რათა დროულად შეუქმნას სკოლას აღნიშნული ვებ - გვერდი.
ამ ეტაპზე, სასკოლო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, სკოლა იყენებს: ოფიციალურ facebook გვერდს, ელექტრონულ ფოსტას: tkviavi@mes.gov.ge, სასკოლო აქტივობების ბლოგს, Teams-ის პლატფორმას. მშობლების სწრაფი ინფორმირებისათვის - მესენჯერის დახურულ ჯგუფებს.
როგორც უკვე აღინიშნა ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა ვებგვერდი, თუმცა სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმის თანახმად შესრულების საბოლოო ვადად განისაზღვრა 2024 წლის 11 იანვარი (აქვე უნდა აღინიშნოს, გეგმაში ტექნიკური შეცდომაა დაშვებული და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

2024 წლის ნაცვლად მითითებულია 2023 წელი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა მიერ გადამოწმდა და დადგინდა, რომ სკოლას ამ ეტაპზე უკვე აქვს ვებგვერდის შესაბამისი გვერდი, რომელიც განთავსებულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის გვერდზე - https://skolebi.emis.ge/, შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა - შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული საკუთარი ვებგვედის შექმნა უზრუნველყოს შესაბამის ვადებში.აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; სკოლის facebook გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე, რომელიც მუდმივად განახლებადია. წარმოდგენილი **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;**

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი (სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ-ის ბრძანება # 2- 84 21 ივნისი 2023). წესი განსაზღვრავს სკოლის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პირობებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებების ჩატარების გზებს, შიდა და გარე კომუნიკაციის მართვის პრინციპებს, საინფორმაციო საშუალებების (ვებ. გვერდი, ელ-ფოსტა, სოციალური მედიის არხები) მართვისა და განვითარების სტრატეგიებს. წესი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და რეაგირების ფორმებს. მართალია ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს ვებგვერდი, მაგრამ აღნიშნული წესით დასტურდება, რომ სკოლა სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს გამოიყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

სკოლას აქვს ვებგვერდის შესაბამისი ქართული გვერდი, რომელიც განთავსებულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის გვერდზე - https://skolebi.emis.ge/, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.**

სკოლის საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს ელექტრონულ ფოსტა tkviavi@mes.gov.ge და სკოლის ოფიციალური ფეისბუკ-გვერდი https://www.facebook.com/profile.php?id, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის სიახლეებისა და მიღწევების შესახებ, ასევე სკოლას აქვს ვებგვერდის შესაბამისი ქართული გვერდი, რომელიც განთავსებულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის გვერდზე - https://skolebi.emis.ge/. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფეისბუკ-გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id;
- ელექტრონულ ფოსტა: tkviavi@mes.gov.ge;
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი (სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ-ის ბრძანება # 2- 84 21 ივნისი 2023;
- რესურსცენტრის უფროსთან შუამდგომლობის თხოვნით, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან, ვებგვერდის შექმნასთან დაკავშირებით. (წერილი 19/06/2023 MES 7 23 0000716814).

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

სკოლა დეფიციტურია, რადგან ის მცირე ბიუჯეტიანია და ვაუჩერული დაფინანსება ნაწილობრივ ყოფნის ხელფასებს. დანაკლისის შესავსებად (ხელფასი, კომუნალური გადასახადები, ჰიგიენის საშუალებები მათ შორის ავტორიზაციის გადასახადი) სკოლა დამატებით ფინანსდება განათლების სამინისტროსგან. სკოლა ყოველი თვის ბოლოს შუამდგომლობისთვის განათლების სამინისტროსთან, წერილობით მიმართავს ქ. გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრს. მიმართვა დაიწყო 2023 წლის თებერვლიდან. პრობლემა გამოიწვია ნაშთის ამოწურვამ და მოსწავლეთა კონტიგენტის შემცირებამ. სკოლა ამ ეტაპზე გეგმავს ტენდერის გამოცხადებას კვების ობიექტთან დაკავშირებით. შესაბამისად იჯარიდან შემოსული თანხა, ასევე ბანკის სარგებელი მოხმარდება სასკოლო-სასწავლო გეგმითა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პროცესების შეუფერხებლად წარმართვას. წარმოდგენილი **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ბაზრის კვლევასა და შესყიდვების გეგმის ცვლილებაზე პასუხისმგებელი პირი. სამინისტროს დახმარებით სასკოლო-სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესი არ ფერხდება. სკოლას წლის ბოლოს სამეურვეო საბჭოსთვის წარდგენილი აქვს წლიური ფინანსური ანგარიში. წარმოდგენილი **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

დასტურდება (მტკიცებულებები):

- წლიური ფინანსური ანგარიში;
- შესყიდვების გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა მოვალეობები, ასევე მათი წახალისების ფორმები - მუხლი 11. მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი. შინაგანაწესით რეგულირდება ასევე დისციპლინასთან დაკავშირებული საკითხები: მუხლი 16. მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები; მუხლი 17. მოსწავლის მიერ დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები მუხლი 19. მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი, მუხლი 24. სკოლაში ჩაცმულობის წესი. შინაგანაწესში მოსწავლეთა უფლებები მკაფიოდ არ არის განსაზღვრული, მხოლოდ სხვადასხვა მუხლშია აღწერილია ის საკითხები რომლებიც დასაქმებულის/მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა უფლებების დაცვას ეხება. ამ მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლაში მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. დოკუმენტის ერთი თავი სწორედ მოსწავლის უფლებებსა და თავისუფლებებს ეხება და მასში აღწერილია შემდეგი საკითხები: ზოგადი განათლების მიღების უფლება; საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ცოდნის უფლება; სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლება; გასაჩივრების უფლება; ნეიტრალურობა და არადისკრიმინაციულობა; გამოხატვის თავისუფლება; შეკრების თავისუფლება; გაერთიანების თავისუფლება; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა; რწმენის თავისუფლება; ძალადობის დაუშვებლობა, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და სხვა. წესები შემუშავებულია კანონმდებლობის სრული დაცვით.

სკოლას შემუშავებული აქვს ასევე - უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი. ამ დოკუმენტის ერთერთი მთავარი მიზანი სხვა საკითხებთან ერთად, სწორედ ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელშიც გაწევრიანებულები არიან როგორც საშუალო ისე საბაზო საფეხურის მოსწავლეები, ისინი მონაწილეობას ღებულობენ დისციპლინურ კომიტეტში და სამეურვეო საბჭოში, სადაც ახდენენ თავიანთი უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას. ექსპერტთა მიერ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;**

სასკოლო საზოგადოებისთვის რეგულაციების გაზიარების მიზნით სკოლაში შემუშავებულია შესაბამისი მექანიზმები. კერძოდ, დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესი და „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლაში მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“ გააცნოს მოსწავლესა და მის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების გაცნობა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 14 კალენდარული დღის ვადაში. ვიზიტის პერიოდში შინაგანაწესი გამოკრული იყო ყველა სართულზე. იმისათვის, რომ სკოლა დარწმუნებული იყოს მოსწავლეების ინფორმირებულობის შესახებ გასაჩივრების წესის თაობაზე, ყველა დამრიგებელი კვლავაც ჩაატარებს საუბრებს აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. შემუშავებულია მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია).
2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისისათვის სკოლაში დაგეგმილია მშობლებთან ინფორმირების წერილობითი შაბლონის შემუშავება და მოსწავლეების ჩართულობით განხორციელდება გაკვეთილზე ქცევის წესების შემუშავება **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.**

ექსპერტების მიერ გადმოწმდა არსებული მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებები, ასევე ახალი ხელშეკრულებების ფორმები და დადგინდა, რომ მათში ასახულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები, ასევე ინფორმაცია მოსწავლის პერსონალურ მონაცემებთა გამოყენების შესახებ, სასწავლო და დასვენების, უქმე დღეების მოქმედების ვადის და შეწყვეტის წესის, დავის გადაწყვეტის, მხარეთა რეკვიზიტების და დამატებითი პირობების შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლაში მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები;
- მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებები და ახალი ფორმები;
- მშობელთა კრებების ოქმები;
- თვითმმართველობის დებულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ-ის ბრძანებაით # 2- 82 დამტკიცებულია სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;**

ექსპერტთა მიერ დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების გადამოწმების შედეგად დასტურდება, რომ მოსწავლეების ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის" მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხოლო კლასისა და საფეხურის დაძლევის ბრძანებები ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნული სასწავლო გეგმის" 35-ე მუხლის მე-4 პუნქტს. ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ითქვას, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურის (სკოლა მოსწავლეებს ტრანსპორტით ემსახურება), მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციას აცნობენ მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სასწავლო წლის დაწყების წინ დამრიგებლების მეშვეობით, ისინი ვალდებული არიან გააცნონ მათ ასევე სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის უფლებები და მოვალეობები, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ახალი სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა და ინფორმაცია სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობის შესახებ. შინაგანაწესის თანახმად, სკოლა ვალდებულია აღნიშნული დოკუმენტი განათავსოს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას, რაც დადასტურდა ვიზიტის პერიოდში ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგად.
მეხუთე კლასიდან მოსწავლეები იწყებენ მეორე უცხოური ენის შესწავლას, შესაბამისად შემუშავებულია უცხოური ენის არჩევის წესი, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების მიღება ხდება მშობელთა კრებაზე. კლასის დამრიგებელი მშობლებს ასარჩევად სთავაზობს მინიმუმ ორ ენას და კრებაზე დაწვრილებით განიხილება შეთავაზებული ენების შესწავლის დადებითი და უარყოფითი მხარეები. თითოეული ენის პროგრამა, სირთულე და შესაძლო პრობლემები. ყველა მშობლის აზრის გათვალისწინებით ფორმდება შესაბამისი ოქმი, რაზეც ხელს აწერს მეხუთე კლასის მოსწავლეთა ყველა მშობელი. სასწავლო წლის მიწურულს, ტრადიციისამებრ, ხდება მომავალ პირველკლასელთა ვიზიტი სკოლაში (ღია კარი), რომლის მიზანი სკოლის მიმართ მოსწავლეთა მხრიდან პოზიტიური მოლოდინის შექმნას ემსახურება. უახლოეს მომავალში სასწავლო წლის დასრულებამდე სკოლას დაგეგმილი აქვს აღნიშნული ვიზიტი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ სკოლის ყველა საჭირო ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

სკოლის პერსონალი და მასწავლებლები, პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისას, ხელმძღვანელობენ სკოლის მიერ შემუშავებული, კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით. სკოლის დირექცია უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლის ინფორმირებას საგანმანათლებლო სიახლეების, აქტივობების და რესურსების შესახებ, სკოლის პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სხვადასხვა აქტივობების შესახებ განხორციელდება სატელეფონო კავშირის, ინდივიდუალური შეხვედრების, სოციალური ქსელის და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, კანონმდებლობის დაცვით. მომავალში იგეგმება მსგავსი ინფორმაციის მიწოდება სკოლის ვებგვერდის საშუალებითაც. შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ-ის ბრძანებაით # 2- 82 დამტკიცებულია სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ-ის ბრძანება N2-64 საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიერ საშუალო საფეხურის დაძლევისა და მათი სკოლიდან ამორიცხვის შესახებ (27 მოსწავლე);
- სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლაში მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

სკოლას შემუშავებული აქვს „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“, რომელიც დამტკიცებულია საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ-ს მიერ. დოკუმენტის შემუშავების მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. ამასთან, აღნიშნული წესი შესაძლოა გამოყენებულ იქნას იმ მოსწავლეების ადაპტაციის პროცესის გასამარტივებლად, რომელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას ართულებს ენობრივი ბარიერის არსებობა. ეს წესი შესაძლოა გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლეს, ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი მიზეზებისგან დამოუკიდებლად, გააჩნია სასკოლო პროცესთან ადაპტაციის პრობლემები. დოკუმენტით განსაზღვრულია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრონციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები, დეზადაპტაციის ნიშნები, დეზადაპტაციის პროცესისას განსახორციელებელი ღონისძიებები, წარმატებული ადაპტაციის ნიშნები, რეკომენდაციები მოსწავლის წარმატებული ადაპტაციისას, პირველკლასელთა ადაპტაცია, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაცია. ყველა წესი შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

წარმოდგენილი დოკუმენტის „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“ თანახმად სკოლა სრულყოფილად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებაზე, შესაბამისად ყველა კლასი აღჭურვილია ასაკის შესაბამისი მერხებით და სკამებით. შშმ პირთა ადაპტაციისთვის სკოლის შესასვლელში ჩაშენებულია მყარი პანდუსი, სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი. სსსმ მოსწავლეთათვის სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია რესურსოთახი, რომელიც სრულად ადაპტირებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი. სკოლაში განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ პირველკლასელთა პირველ სასწავლო დღეს, გეგმავენ შესაბამის ღონისძიებებს და სამომავლოდაც აპირებენ ტრადიციის გაგრძელებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

სკოლის მასწავლებლებმა საგნის ექსპერტებთან გასაუბრების დროს დაადასტურეს, რომ ისინი განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას და მზაობას გამოთქვამენ მომავალშიც რეგულარულად გასცენ განმავითარებელი უკუკავშირები, რაც მათ მოსწავლეებს სიძნელეების დაძლევაში და პროგრესის დანახვაში უკეთ დაეხმარება. მასწავლებლის მიერ გამოყენებული განმსაზღვრელი შეფასება მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომი იქნება როგორც ზეპირი კომუნიკაციის ასევე ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგების თანახმად, სკოლა აცხადებს მზაობას გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გაუწიოს მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სკოლას საქმისწარმოების წესში გაწერილი აქვს ყველა წარმოების კანონმდებლობით დადგენილი წესები და ვადები, რომლებიც შესაბამისობაშია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებთან.

შინაგანაწესის თანახმად, მოსწავლეებს, გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, შეუძლიათ ისარგებლონ გამოცდების ჩაბარებას ექსტერნის წესით, ისარგებლონ ასევე საშემოდგომო გამოცდის ჩაბარების უფლებით. როგორც ექსტერნის წესის შესახებ, ასევე საშემოდგომო გამოცდის უფლების შესახებ ყველა მოსწავლე ინფორმირებული იქნება დამრიგებლების მიერ. ასევე მოსწავლეებს და მათ მშობლებს, იმ შემთხვევაში, თუ არ აკმაყოფილებთ სემესტრული ნიშნები, სასწავლო გეგმით გაწერილ ვადებში შესაძლებლობა ექნებათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

განცხადების საფუძველზე სემესტრული გამოცდის საშუალებით აიმაღლონ შეფასებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობების გათვალისწინებით თუ ვიმსჯელებთ, სკოლას აქვს მზაობა, მომავალშიც მხარი დაუჭიროს და კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისება და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის გაუმჯობესების მიზნით და იმის გასარკვევად, თუ რა მიმართულებით არის საჭირო გააქტიურება, სკოლა გეგმავს მოსწავლეთა ზეპირ თუ წერილობით გამოკითხვებს. მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრების ჩართულობით. გამოკითხვების შედეგების გათვალისწინებით დაიგეგმება პროექტები და სხვადასხვა აქტივობა. მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება წინადადებების ყუთის დადგმაც.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- თვითმმართველობის დებულება;
- თვითმმართველობის სხდომის ოქმი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ-ის ბრძანებაით # 2- 78 დამტკიცებულია - სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის პროფესიული ორიენტაციისა დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი, რომლითაც, სხვა საკითხებთან ერთად, განსაზღვრულია სკოლის ადმინისტრაციის ფუნქცია-მოვალეობები: უზრუნველყოს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგვმის პროგრამის სამივე კომპონენტის (სასწავლო სესია, ექსკურისია, შეხვედრები სხვადასხვა სპეციალობის წარმომადგენლებთან, სკოლის კურსდამთავრებულებთან) განხორციელება; უზრუნველყოს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგვმის სასწავლო სესიები დამხმარე მასალით (ტექსტის ამობეჭდვა, საბეჭდი ფურცლები, მარკერები, პროექტორი – არსებობის შემთხვევაში და სხვა); ლოჯისტიკურად უზრუნველყოს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ექსკურსიები (ექსკურიების ტრანსპორტირება, ექსკურსიების განხორციელების თანადაფინანსების წყაროები, დასაქმების ობიექტი, საგანმანათლებლო პროფესიული და უმაღლესი დაწესებულება, საგრანტო პროექტები).

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ პროფესიული ორიენტაციის მიზნით სკოლას მემორანდუმი აქვს გაფორმებული პროფესიულ სასწავლებელთან - კოლეჯ ,,განთიადთან", რომლის ფარგლებში მიმდინარე სასწავლო წლის პირველ სემესტრში მოსწავლეებმა გაიარეს სტილისტის კურსი და რომლის განხორციელებაც მომავალ სასწავლო წელსაც იგეგმება. გამოცდილებების გაზიარების მიზნით სკოლა გეგმავს წარმატებულ კურსდამთავრებულებთან, სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრებს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს მზაობა **პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომი გახადოს მოსწავლეებისთვის. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;**

როგორც უკვე აღინიშნა სკოლას შემუშავებული აქვს მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს განახლებული და სანდო ინფორმაციის მიწოდებას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

სკოლას დაგეგმილი აქვს კითხვარების შემუშავება მოსწავლეებისთვის რითაც სკოლა გეგმავს დაადგინოს მოსწავლეთა პროფესიული მიდრეკილებები და ინტერესები. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით სკოლას აქვს სრული მზაობა პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომი გახადოს მოსწავლეთათვის, შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სკოლას დაგეგმილი აქვს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მხარდამჭერი მომსახურების გარკვეული პერიოდულობით განახლება და გაუმჯობესება. როგორც აღინიშნა, სკოლა შეიმუშავებს კითხვარებს, რითაც მიიღებს უკუკავშირს მის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული აქტივობების შესახებ, ხოლო სსსმ მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერისთვის შეიმუშავებს ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმებს და მონიტორინგის შედეგებს ასახავს ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში.

სკოლას მიეცა რჩევა - შეიმუშავოს შესაბამისი მეთოდოლოგია, რომელშიც ასახავს, თუ როგორ მოახდენს ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გაწეული მომსახურების შეფასებას და რომელ ინტრუმენტებს გამოიყენებს ამისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ-ის ბრძანებაით # 2- 78 დამტკიცებული - სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის პროფესიული ორიენტაციისა დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი,

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;**

სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების პროგრამა და დებულება, რომელიც განმარტავს სსსმ მოსწავლის ცნებას, ადგენს სკოლაში მათი მიღების პროცედურას, ხელს უწყობს ამ ბავშვებისათვის სასურველი და ადეკვატური გარემოს შექმნას და ინკლუზიური განათლების ეფექტურ მართვას. ინკლუზიური განათლების სასკოლო პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო აძლევს თითოეულ მოსწავლეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უნარ-ჩვევების თანაბარ შესაძლებლობას.

დებულების თანახმად, სკოლა იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ყველა ბავშვი სავალდებულო განათლებით და ხელი შეუწყოს სსსმ მოსწავლეს შესაძლებლობების, პიროვნული თვისებების, ნიჭის გამოვლენასა და განვითარებაში.

სკოლაში დასქმებულია 1 სპეციალური მასწავლებლები. მომავალი სასწავლო წლისთვისაც შეიქმნება ინკლუზიური განათლების დანერგვის მონიტორინგის ჯგუფი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას ამეტაპზე ჰყავს სსსმ მოსწავლეები და აქვს მათთან მუშაობის წარმატებული გამოცდილება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**

როგორც უკვე აღინიშნა სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება. სსსმ მოსწავლეების წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სკოლას ჰყავს ოთხი სსსმ მოსწავლე, მათთვის შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, შექმნილია ისგ ჯგუფები, სადაც გაერთიანებულია ყველა საგნის მასწავლებელი, ბავშვის მშობელი და სპეციალური მასწავლებლი. თითოეული ჯგუფის მიერ შემუშავებულია მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე და საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ისგ ჯგუფი იკრიბება სემესტრში ორჯერ და აფასებს მოსწავლის მიღწევებს, სირთულეებს, საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები მოსწავლის სწავლის პროცესის მიმართულებით. სპეციალური მასწავლებელი ინდივიდუალურ მეცადინეობებს უტარებს სსსმ მოსწავლეებს, დახმარების სახით რეკომენდაციებს სთავაზობს საგნის მასწავლებლებს, ორგანიზებას უკეთებს ისგ ჯგუფების სამუშაო შეხვედრებს. ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგს სკოლა ახორციელებს სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ. ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის განხორციელების მიზნით შექმნილი ჯგუფი ატარებს მონიტორინგს და ადგენს დასკვნას მონიტორინგის შედეგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

შესახებ, რომელსაც შედგენიდან არაუგვიანეს 7 დღისა წარუდგენს სამინისტროს. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით დგინდება რომ სკოლას აქვს მზაობა, მომავალშიც წარმატებით განახორციელოს სსსმ მოსწავლეების მხარდაჭერა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ოქმები;
- სსსმ მოსწავლეებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;
- სამოქმედო გეგმა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);**

სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლაში მოსწავლეები დადიან ორი სოფლიდან და მათ ტრანსპორტით მომსახურებას ფინანსურად უზრუნველყოფს მერია, შესაბამისად ხელშეკრულებაც მძღოლთან გაფორმებულია მერიის მხრიდან. ტრანსპორტის ტექნიკური გამართულობაც კონტროლდება მათი მხრიდან. სკოლა აკონტროლებს მომსახურების ხარისხს, აწარმოებს ტაბელს, რომელსაც შემდეგ გადასცემს მერიის სამსახურს. მოსწავლის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით, ყველანაირი ექსკურსიის უფლების მოპოვება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ტრანსპორტის გამართულობას, მედპერსონალის თანხლებას, 150 კილომეტრის რადიუსის დაცვას, მშობლების ნებართვებს, ექსკურსიის გეგმას, დღის რეჟიმს.
ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. სკოლაში დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბების მიზნით, დაგეგმილია მუდმივი თანამშრომლობა კათედრებს, სადამრიგებლო რგოლსა და სამივე საფეხურის მოსწავლეებს შორის. მდგრადი განვითარების მიზნების განსავითარებლად 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს, სხვადასხვა საგნობრივი კლუბის შექმნას. მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს სასწავლო ექსკურსიებს. ამ ეტაპზე, სკოლას არ აქვს იმის ფინანსური შესაძლებლობა, რომ თავად დააფინანსოს მსგავსი ღონისძიებები, აქედან გამომდინარე, ექსკურსიები იგეგმება მშობელთა ინიციატივით მათი განცხადების საფუძველზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.**

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში არსებული ყველა მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. მოსწავლეთა ტრანსპორტის მომსახურების უსაფრთხოების წესების დაცვის მონიტორინგს ახორციელებს მუნიციპალიტეტი, ხოლო სასკოლო ექსკურსიების მოწყობისთვის საჭირო პროცედურების დაცვას აკონტროლების სკოლის დირექტორი. შესაბამისად სკოლა მომავალშიც გააგრძელებს უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ტრანსპორტით მომსახურების ტაბელი.
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი ყუჩრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სახელმწიფო ენა

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია სკოლის მიერ განაცხადის გაკეთების ეტაპზე არ იყო შემუშავებული, თუმცა დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კათედრა კურიკულუმს შეიმუშავებს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესებისა და შეხედულებების გათვალისწინებითა და მათი აქტიური ჩართულობით. სკოლა გეგმავს, რომ ამ ეტაპზე 2023-2024 სასწავლო წლისთვის შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო-შაბლონი დაარედაქტიროს. ამ პროცესში ის დაეყრდობა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტს, რომელიც შემუშავებულია სკოლის მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა

დაწყებით საფეხურზე მათემატიკის კურიკულუმები მუშავდება დაწყებითების კათედრაზე სასკოლო საზოგადეობის წევრთა ინტერესებისა და შეხედულებების გათვალისწინებით. მის შემუშავებაში აქტიურად არიან ჩართულნი კათედრის წევრები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და მზაობას სასწავლო პროცესის დასაგეგმად. შემუშავების დროს გათვალისწინებულია სასკოლო თემის პრიორიტეტები და ჩართულია სასკოლო საზოგადოება, მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე იკრიბებიან, განიხილავენ გასული სასწავლო წლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ცდილობენ დაგეგმონ კურიკულუმის ისეთი ჩარჩო, რომელშიც აღმოფხვრილი იქნება წინა სასწავლო წლის პრობლემები, იმის გათვალისწინებით რომ მშობელი სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილია აქტიურად თანამშრომლობენ მათთან, ახდენენ შეხვედრებს, მშობელთა კრებაზე გააცნობენ კურიკულუმში გაწერილ შუალედურ და გრძელვადიან მიზნებს, ისმენენ მშობლების მოსაზრებას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს რა პრობლემას წააწყდნენ მოსწავლეები და რა არის ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზი, სკოლას აქვს გამოცდილება კომპლექსური დავალების შესრულებამდე მშობელთა ინფორმირებულობის მიზნით მშობელთა ბარათების გამოყენების.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს უცხოური ენების კათედრის შემაჯამებელ ოქმად მოხსენიებული დოკუმენტი, რომელიც ჰოლისტურად გვიქმნის წარმოდგენას თუ როგორ გეგმავს სკოლა 2023-24 სასწავლო წლის წარმართვას. სწორედ ამ ოქმზე და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობითა შეიძლება დავასკვნათ, რომ უცხოური ენების კათედრას სასწავლო წლის კურიკულუმის პროექტი/მაკეტი ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად აქვთ შემუშავებული და რომ მისი შექმნისას გაითვალისწინეს მოსწავლეთა ასაკის მიხედვით გათვალისწინებული ინტერესები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმასა და კათედრის ოქმებში მკაფიოდ იკვეთება, რომ სასკოლო კურიკულუმების შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო განახლება წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. სასწავლო პროცესის ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სწავლა-სწავლება ეფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებს. სკოლა ზრუნავს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე, ითვალისწინებენ რა მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. - სსსმ მოსწავლეებისთვის კურიკულუმის შედგენაში აქტიურად არის ჩართული სპეციალური მასწავლებელი, სწორედ მასთან თანამშრომლობით ხდება აქტივობებისა და დავალებების ადაპტირება მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე, როგორც პედაგოგებთან საუბრისას იკვეთება, ზემოხსენებულის გათვალისწინებით იგეგმება კურიკულუმის შემდგომი დახვეწა-განვითარება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სკოლის თვითშეფასების ფორმის ნარატივიდან და სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავებული დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები გადამუშავდება შესაბამისი მეთოდოლოგიების მიხედვით. რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის ინტერვიუდან ჩანს რომ კათედრალური კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, გათვალისწინებული მოსწავლეების ინტერესები და ხდება მშობლებისთვის ინფორმაციის გაზიარებ. შემდგომში სასურველია სკოლამ დოკუმენტაციის საფუძველზე ნათლად წარმოადგინოს კურიკულმების შემუშავების მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. პედაგოგები კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში ერთმანეთთან თანამშრომლებენ, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, განიხილავენ წინა წლის შედეგებს, მოსწავლეთა ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს და სწორედ ამის გათვალისწინებით, ქმნიან კურიკულუმებს მუსიკასა და ხელოვნებაში. კათედრის პედაგოგებს აქვთ კომუნიკაცია მშობლებთან როგორც პირისპირ, ასევე სოციალური ქსელების საშუალებით. ზოგადად, პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა მათი სწორი ხედვა და დამოკიდებულება კურიკულუმებთან დაკავშირებით, გაცნობიერებული აქვთ სწავლების გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, თუმცა სასურველია, რო, კომპლექსური დავალებები აისახოს ხელოვნების კურიკულუმშიც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლას აქვს წარმოდგენილი სასკოლო კურუკულუმის შემუშავების და განვითარების მექანიზმები, რომელიც მორგებულია მოსწავლის ინტერესებზე და მათ საჭიროებებზე, სკოლას წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებები, სკოლა აქტიურად მუშაობს და ახორციელებს პროექტულ სწავლებას, კათედრა აქტიურად მუშაობს კომპლექსურ დავალებებზე, ხარვეზების არსებობის შემთხვევაში კათედრა იკვლევს ხარვეზებს და სწავლა-სწავლების პროცეს შესაბამისად ანხორციელებს, რაც კათედრასთან გასაუბრების დროს უფრო მეტად გამოიკვეთა იქმნება კომპლექსური დავალებები,რომელიც მოსწავლეების საჭიროებების მიხედვით მუშავდება.სკოლამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

წარმოადგინა მეთოდოლოგია სადაც ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები,შესაძლებლობები და პრიორიტეტები,სადაც იგრძნობა მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლის და დირექციის აქტიური ჩართულობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

თვითშეფასების კითხვარის მიხედვით სკოლას აღწერილი აქვს თუ როგორ მუშაობენ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაზე, განვითარებაზე. მოსწავლეთა ინტერესზე მორგებულ კომპლექსური ტიპის ,პროექტული ტიპის დავალებზე,, რომ საგნობრივი კათედრები განიხილავენ კომპლექსური დავალებების შესრულებისას გამოვლენილ ხარვეზებს და ერთობლივივად გეგმავენ მათი გაუმჯობესების გზებს. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობა, თუ ვინ და რა ფორმით მონაწილეობს სასწავლო პროცესის დაგეგმვაში-მოსწავლე, მშობელი ,მასწავლებელი ,დირექცია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სახელმწიფო ენა

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კერძოდ, საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს. შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს. კათედრის წევრებთან და მშობლებთან იგეგმება შეხვედრები, სადაც არჩევენ კომპლექსურ დავალებებს მათი ინტერესების შესაბამისად. მოსწავლეთა ინტერესების დასადგენად სკოლა იყენებს კითხვარს. გამოკითხვის შედეგების ანალიზით დგინდება, რა ტიპის დავალებებია მათთვის სახალისო და რაზე გაუჭირდათ მუშაობა. სკოლა გეგმავს ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით გაწეროს შუალედური მიზნები, ასევე, უფრო მეტად გააქტიუროს მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა

სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში დაწყებითი საფეხური ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, ამ პროცესს ხელს უწყობს წინასწარ დაგეგმილი შეხვედრები კათედრის წევრებთან და მშობლებთან, კომპლექსური დავალებები ისე აქვთ შერჩეული,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

რომ მოსწავლეთა ინტერესის სფეროს მოიცავს, მასწავლებლებმა ინტერვიუირების დროს აღნიშნეს, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა შედეგების ანალიზს, რა იყო მათთვის ყველაზე სახალისო და რაზე გაუჭირდათ მუშაობა, რისთვისაც იყენებენ წინასწარ შედგენილ თვითშეფასების კითხვარს. მოსწავლეთა ინტერესიდან გამომდინარე სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები. მაგ :პროექტი სათაურით: გაACTიურდი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებზე დაყრდნობით, რომლებშიც ჩამოთვლილია თუ რა თემებისა და რა ქვეთავების გავალას აპირობენ ამა თუ იმ კლასში უცხოური ენის პედაგოგეგები, შეიძლება მივიჩნითო,რომ გასავლელი თემები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი მზაობისა და ინტერესების გათვალისწინებით. წლიური სამოქმედო გეგმა კი გვაწვდის ინფორმაციას, რომ მომდევნო -2023-24 სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას სკოლამ გაითვალისწინა მოსწავლეთა მიმდინარე სასწავლო წლის მიღწევები, რაც გაანალიზეს და შესაბამისი ცვლილებები განახორციელეს2023-24 წლის სასწავლო გეგმაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები

სკოლის მიერ მოწოდებული კურიკულუმის მიხედვით, ნათლად ჩანს თუ როგორ აპირებენ კომპიუტერულ ტექნოლოგიებში თემების გავლას მასწავლებელი, ყველა თემა მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს ითვალისწინებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სკოლის ფიზიკური აღზრდის პედაგოგებთან ინტერვიუდან .გამოიკვეთა, რომ სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში 2023-24 სასწავლო წლიდან დაგეგმილია არსებული რესურსებიდან გამომდინარე პრიორიტეტული თემების განსაზღვრა. ყველა კლასში ფიზიკური აღზრდის თითოეული თემისთვის კომპლექსური დავალებების განხორციელება და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მომზადდება. კურიკულუმის შემუშავების და მოდიფიკაციის პროცესი ითვალისწინებს მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების აქტიურ ჩართულობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და გასაუბრების საფუძველზე ჩანს, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. კურიკულუმის შემუშავება განხორციელდება სკოლაში დასაქმებული მუსიკისა და ხელოვნების პედაგოგებისა და დირექციის აქტიური მონაწილეობით. სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და ასაკობრივი თავისებურებები.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კათედრასთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურუკულუმის შემუშავების დროს პედაგოგები სასკოლო კურუკულუმს ამუშავებენ მოსწავლებეების საჭიროების, შესაძლებლობების, მშობელთა ინტერესებს გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

თვითშეფასების კითხვარის მიხედვით და გასაუბრებეის შედეგებზე დაყრდნობით სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ცოდნას ,შესაძლებლობებს, მშობელთა ინტერესებს, სასკოლო პრიორიტეტებს და რეალიზების მექანიზმებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სახელმწიფო ენა

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი შედგენილია კათედრის წევრთა რეკომენდაციის, მშობელთა ინტერესებისა და მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით. სკოლა გეგმავს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკურლუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების სრულად ჩართვას, კერძოდ, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას კომპლექსური დავალებების შერჩევისას, მათთვის მრავალფეროვანი სასკოლო პროექტების შეთავაზებას, მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებას. სკოლას გააზრებული აქვს, რომ ამგვარი მიდგომით სასკოლო საზოგადოებას გაუჩნდება მიკუთვნებულობის განცდა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

მათემატიკა

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების, კათედრის წევრების რეკომენდაციის და მშობლის ინტერესებიდან გამომდინარე. კურიკულუმში გამოცდილებაზე დაყრდნობით გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები, ინტერესის სფერო და ისეა გაწერილი კომპლექსური დავალების შუალედური და გრძელვადიანი მიზნები. რასაც ადასტურებს სკოლის დოკუმენტაციაში მოცემული კათედრების შეხვედრების ოქმები თავისი შინაარსით, ასევე მშობელთა კრებები და სხვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები

უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი ოქმით და მათთან ჩატარებული ინტერვიუთი დგინდება, რომ 2023-24 სასწავლო წლის კურიკულუმის დანართების შექმნაში უცხოური ენების ყველა პედაგოგი აქტიურად იყო ჩართული. ისინი ახდენდნენ აზრთა ურთიერთ გაზიარებას/შეჯერებას მომდევნო სასწავლო წელს კი აპირებენ შეადგინონ კითხვარი, მოსწავლეთა/მშობელთა ბარათები, რათა უზრუნველყონ კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები

წარმოდგენილი დოკუმენტაცია (შემაჯამებელი ოქმი, სამოქმედო წლიური გეგმა) და მასწავლებლებთან ინტერვიუ ცხადყოფს, რომ 2023-24 ს.წ-ის კურიკულუმების შექმნაში აქტიურად მონაწილეობდნენ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სკოლაში შემუშავდა დაწყებითი საფეხურის ფიზიკური აღზრდის კურიკულუმები. კათედრების მიერ. მომავალ სასწავლო წლისთვის გათვალისწინებულია კურიკულუმის მონიტორინგთან დაკავშირებით სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტის დანერგვა. რაც ხელს შეუწყობს სრულად გამოვლინდეს სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

კათედრის წევრებთან გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, საგნობრივი ექსპერტების რეკომენდაციების შესაბამისად. ესთეტიკური საგნების კურიკულუმების შემუშავება განხორციელდა კოლეგებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე. მუსიკისა და ხელოვნების კურიკულემებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, საჭიროებები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. მუსიკის საგანში ყველა კლასში თემების მიხედვით არის დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, ხელოვნების საგანში კი ხდება კომპლექსური დავალებების შერჩევა.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლის კურუკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზიგადოების მიერ. საზოგადოებრივი მეცნიერებების კურუკულუმი შემუშავებულია მესამე თაობის ეოვნული გეგმის შესაბამისად. მასში ასახულია სასკოლო საზოგადოების საჭიროებები, ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები.2023-2024 წლის სასკოლო კურუკუმის განვითარებას სკოლა გეგმავს სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნის მასწავლებლების მიერ კოლეგებთან (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებთან) თანამშრომლობით. მასში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, საჭიროებები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. ასევე კათედრა მომავალ სასწავლო წელს გეგმავს სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან და აქტიურად ჩართვას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სახელმწიფო ენა

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, მოქმედი საგნობრივი კურიკულუმები ატვირთულია სკოლის onedrive-ზე, ასევე messenjer სასაუბროს საშუალებით მშობლებს ეგზავნებათ კომპლექსური დავალების ბარათები. სკოლა გეგმავს 2023-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

2024 სასწავლო წლისათვის საგნობრივი კურიკულუმი დაწყებით საფეხურზე სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის ხელმისაწვდომი და საჯარო გახადოს. აღნიშნავს, რომ ამისთვის მას შეუძლია ნებისმიერი ფორმა და მისთვის რელევანტური საშუალებები გამოიყენოს, თუმცა არ საუბრობს ამ საშუალებებზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა კურიკულუმის გასაზიარებლად ასევე იყენებს პირისპირ შეხვედრებს მშობლებთან, რადგან ყველას არა აქვს წვდომა ინტერნეტზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **მათემატიკის** საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც მოქმედია განთავსებულია და გაზიარებულია სკოლის onedrive-ზე. ასევე messenjer ჩატების საშუალებით გაზიარებულია მშობლებთან ,,კომპლექსური დავალების ბარათები“ მშობლებისათვის. ახალი სასწავლო 2023-2024 სასწავლო წლისათვის დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომი და საჯარო იქნება სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისათვის. რაც გულისხმობს იმას, რომ ამისათვის სკოლა იყენებს მისთვის სხვადასხვა რელევანტური საშუალებებს; პირადი შეხვედრებით, სკოლის საინფორმაციო დაფით, საგანმანათლებლო პლატფორმები (Teams). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა

ამ ეტაპზე არ არის წარმოდგენილი რაიმე დოკუმენტი თუ როგორ ახდენენ უცხოური ენების პედაგოგები კურიკულუმის დანართების გაზიარებას სასკოლო საზოგადოებასთან. თუმცა, პედაგოგებთან ინტერვიუმ გამოავლინა, რომ მათ აქვთ გამოცდილება მშობელთა ბარათების მშობელთა კრებაზე გაზიარების და რომ მომდევნო სასწავლო წელსაც გეგმავენ მშობელთა ჩართვას და მათ ინფორმირებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები

თვითშეფასების ფორმიდან ჩანს, რომ მშობლები ჩართულნი არიან სასკოლო ცხოვებაში, სკოლას აქვს სოციალური გვერდი სადაც მუდმივად იდება ყველა ის აქტივობები, რომლებიც ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის, ტექნოლოგიების კუთხით გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ აქვთ მოწესრიგებული ისტ ოთახი, სადაც მოსწავლეებს გაკვეთილების შემდგომაც შეუძლიათ სხვადასხვა პროექტებზე მუშაობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და კათედრასთან შეხვედრის დროს გამოიკვეთა, რომ დამრიგებლებს აქვთ აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან, რათა მუდმივად იყვნენ ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის სოციალურ გვერდზე აქტიურად ქვეყნდება სხვადასხვა მათთვის საინტერესო ინფორმაცია.კათედრა გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მიწოდებულ ფიზიკური აღზრდის კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოს. აღნიშნული ჩარჩო განხილული იქნა კათედრაზე, რომლის მიხედვითაც სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურისა და მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით შემუშავდა 1-6 კლასის ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც კიდევ ერთხელ გადამუშავდება სასწავლო წლის დასაწყისამდე.. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა

კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ინფორმაციის გაზიარება ხდება როგორც პირისპირ შეხვედრებზე, ასევე ონლაინ სივრცეში One Drive-ისა და Messenger-ის საშუალებით. მშობლებს ეგზავნებათ კომპლექსური დავალებების ბარათები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

თვითშეფასებიდან ირკვევა რომ სკოლას აქვს აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან, სკოლას აქვს სოციალური გვერდი რომელზეც ქვეყნდება სხვადასხვა ინფორმაცია, სკოლის მიზნების, აქტიურობის შესახებ. მომავალი წლიდან სკოლა გეგმავს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობებებას სხვადასხვა მიმართულებით, ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების, პედაგოგების ურთიერთდასწრებას და ა.შ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

წარმოდგენილია თუ რა ფორმით და ხერხებით მოხდება კურიკულუმის გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ. თვითშეფასების კითხვარის მიხედვით მუდმივად ხდება ინფორმაციის გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებთან მშობლებთან.ის გაზიარებულია სოციალურ გვერდებზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

კითხვარების მეშვეობით სწავლა-სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად მშობელთა გამოკითხვას და მათი ხედვის გათვალისწინებას მთელი სასწავლო წლის მანძილზე.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კათედრის ოქმები;
- სასკოლო პროექტი;
- სკოლის თვითშეფასება;
- კურიკულუმები;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

სახელმწიფო ენა- დაწყებით საფეხურზე სახელმწიფო ენის კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კერძოდ, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის აქტიურ ჩართულობასა და მის პიროვნულ განვითარებას, რასაც ადასტურებს მოსწავლეთა მიერ შესრულებული წარმოდგენილი ნამუშევრები. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება, გააანალიზონ განვლილი პროცესი და დაგეგმონ იგი მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- მათემატიკის კათედრაზე შემუშავებული დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს, არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დანერგვისა და განვითარების გზას, რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებში, კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები, ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. ინტერვიურების დროს კარგად გამოიკვეთა მასწავლებლების სამომავლო ხედვა, სწორი აქცენტები გააკეთეს კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე, როგორც გრძელვადიანი მიზნის საშუალებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა- წარმოდგენელი კურიკულუმის ჩარჩოების/დოკუმენტაციის საშუალებით და ასევე ინტერვიუირების პროცესში გაცემული პასუხებით, უცხოური ენის სწავლა-სწავლების პროცესზე პასუხისმგებელნი პირნი ჰოლისტურად გვიქმნინან წარმოდგენას, რომ მათ მიერ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე. იყენებენ რა პროექტული შინაარსის დავალებებს მოსწავლეებს აძლევენ შესაძლებლობას კეთებისა და კვლევის პროცესში თავდ მოახდინონ სწავლის კონსტრუირება, თუმცა სამწუხაროდ ასეთი დავალებები, უმეტესად ყველა კლასისთვის სემესტრში მხოლოდ ერთი აქვთ, მოსწავლეთა უწყვეტი განვითარებისათვის კი აუცილებელია/სასურველია ყველა თემაში ახდენდეს მასწავლებელი მოსწავლეთა დაინტერესებას რეალურ ცხოვრებასთანა ახლოს მყოფი , მოსწავლეთა ინტერესებისა და განვითარების უახლოეს დონესთან დაკავშირებული კომპლექსური/პროექტული შინაარსის მქონე დავალებებით.მაგრამ, შეიძლება ითქვას ,რომ დავალების ძირითადი საკითხები , რომლებსაც უცხოური ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია გვიჩვენებს (მაგალითად; პირველი კლასის 2023-24 სასწავლო წლისთვის გაწერილი კურიკულუმის ჩარჩო; „პოსტერი თემაზე “ My Pet” ასევე მე-3 კლასის დავალება „ My dream holiday” ; და ა.შ.)ცხადყოფს, რომ კათედრას აქვს მზაობა წარმართოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ჩართულობით, მათივე ინტერესების და მაზობისა შესაბამისად.თუმცა , მიმაჩნია, რომ აუცილებელ;ია მომდევნო სასწავლო წლისთვის წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში მკაფიოდ იკითხებოდეს რა კონტექსტ მაგალითზე დაყრდნობით მოახდენენ მოსწავლეები ცოდნის კონსტრუირებას ამა თუ იმ კომპლექსური დავალების ფარგლებში და თუ რომელ ქვეცნებებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

/ქვესაკითხებს მიემართება კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი შუალედური მიზნები/კომპლექსური დავალებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები- დაწყებით საფეხურზე, კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმები (მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6) ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც აისახება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. ეს კარგად ჩანს თვითშეფასების ანგარიშში და სასკოლო სასწავლო გეგმაში. კომპლექსური ბუნების დავალების იდეებში ჩანს რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, მოქალაქეობა (ეთიკა და პასუხისმგებლობა). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- ე.ს.გ გეგმით გათვალისწინებული ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის 1- 4 კლასის და დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის შედეგად წარმოდგენილი 5-6 კლასის კურიკულუმები, სადაც გამოიკვეთა ისეთი თემების დამატების საჭიროება. რომლებიც მოსწავლეებს გაიყვანს სამივე სამიზნე ცნებაზე, რომლის მზაობას ინტერვიუს დროს გამოხატავს პედაგოგი, მომავალი სასწავლო წლისათვის უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ: გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე, შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებისა და შესაძლებლობების გამოვლენაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის საჭიროებები, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპები, კერძოდ, გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა, ხდება სასწავლო მასალის ეტაპობრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ცნებების განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა. მუსიკის კურიკულუმში ყველა სავალდებულო თემა იყო წარმოდგენილი შესაბამისი ქვეცნებებით (მცირედი ხარვეზი იყო პირველ კლასში, რაზედაც მითითებულ იქნა კათედრასთან შეხვედრაზე). კომპლექსური დავალებები კავშირშია მოსწავლეთა ყოველდღიურ ცხოვრებასთან. ხელოვნების კურიკულუმში არის მცირედი ტექნიკური უზუსტობები - არ არის დანომრილი ცნებები, ზოგჯერ გამორჩენილია ქვეცნებები, მაგრამ მთლიანობაში ორივე საგნის კურიკულუმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის კურუკულუმის ჩარჩო III-IV მე და საზოგადოების და V-VI ჩვენი საქართველოს კურუკულუმი მე და საზოგადოების კურიკულუმში სამიზნე ცნებები ზუსტ დეტალიზაციას არ იძლეოდა შესაბამისი უკუკავშირის საფუძველზე სკოლამ წარმოადგინა გაუმჯობესებული ვერსია.
ჩვენი საქართველოს სასკოლო კურუკულუმში სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო თემა იყო ჩაშენებული, თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნებით, საკითხები წარმოდგენილი იყო თემის შესაბამისად და განსაზღვრული იყო რესურსებით, რომელსაც2023-2024 წლის სასწავლო წლისთვის განახორციელებენ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო. (I-IV და VIკლასები). დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოდგენილია შემდეგი სახით - პირველი და მეორე კლასის კურიკულუმის ჩარჩოები გაწერილია ძველი სტანდარტის მიხედვით. დანარჩენი კლასების (III და IV) კურიკულუმში წარმოდგენილია თემები, საკითხთა კლასტერები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და რესურსები. რაც შეეხება მეხუთე და მეექვსე კლასის კურიკულუმებს გაწერილია სავალდებულო თემები. საკითხთა კლასტერები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და რესურსი. ინტერვიუს დროს მათ ისაუბრეს ახალი სტანდარტის მიხედვით რა გრძელვადიანი მიზნები აქვთ,
სკოლა აღნიშნული უზუსტობების გასწორებას და კურიკულუმის საბოლოო ვერსიაზე მუშაობას ზაფხულის განმავლობაში გეგმავს. რაც შეეხება მეხუთე და მეექვსე კლასის კურიკულუმს გაწერილია სავალდებულო თემები.საკითხთა კლასტერები,სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და რესურსი. ინტერვიუს დროს მათ ისაუბრეს ახალი სტანდარტის მიხედვით რა გრძელვადიანი მიზნები აქვთ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

სახელმწიფო ენა- დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელთა შესასრულებლად მოსწავლეს ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები დასჭირდება და სიღმისეულად გააზრებინებს მასალას. მომავალი სასწავლო წლისთვის საგნობრივი კათედრა გეგმავს კურიკულუმებში გაითვალისწინოს ყველა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

სავალდებულო თემის ფარგლებში ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგისა და სამიზნე ცნების დამუშავება. თემატურ მატრიცებში ნაბიჯების მიხედვით გაიწერება ის აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებში გააღრმავებს ფუნქციურ უნარებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- დაწყებით საფეხურზე, მათემატიკაში, კურიკულუმი მიემათება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ ნათელია , მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. მაგალითად, "ვირტუალური ფერმა", „მხიარული სტარტები" . „ცხოველთა კვება" და სხვა, დავალებების შესრულებისას გამოიკვეთება მოსწავლეების კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, რეალური პრობლემების გადაწყვეტა, ეფექტური კომუნიკაცია, შეძლებენ ცოდნის კონსტრუირებას და ისტ-ის გამოყენებას. პედაგოგებთან ინტერვიუსას გამოჩნდა, რომ ისინი ამისთვის კოორდინირებულად მუშაობენ პარალელურ კლასებში, შეიმუშავებენ ერთობლივ ხედვებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ატარებენ საჩვენებელ, ინტეგრირებულ გაკვეთილებს, რასაც ასევე მეტი შემართებით გააგრძელებენ მომდევნო კურიკულუმების კიდევ უფრო დასახვეწად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა-დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების (ინგლისური, რუსული) სასწავლო პროგრამის ჰოლისტურად აღმწერი დოკუმენტები-კურიკულუმის ჩარჩოები წარმოგვიდგენენ რა კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების იდეებს/ძირითად საკითხებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ფუნქციურ კომპონენტური ექვსივე უნარის სათანადოდ დამუშავებას, ვინაიდან კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წახალისებს, მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები- დაწყებით საფეხურზე, კურიკულუმი მიემათება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეების კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი კოორდინირებულად მუშაობენ პარალელურ კლასებში, შეიმუშავებენ ერთობლივ ხედვებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ატარებენ საჩვენებელ, ინტეგრირებულ გაკვეთილებს, რასაც ასევე მეტი შემართებით გააგრძელებენ მომდევნო კურიკულუმების კიდევ უფრო დასახვეწად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-დაწყებითი კლასების დამატებითი მოთხოვნის საფუძველზე გადმოგზავნილ კურიკულუმებში, ნათლად არის ჩამოყალიბებული გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, სტანდარტის საფეხურებრივი შედეგები და სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები, აგრეთვე კურიკულუმის განხორციელების პროცესში გაწერილია თემებთან შესაბამისი სპორტული ინვენტარი და სასწავლი ელექტრონული რესურსები, სკოლას მიეცა რჩევა გაზარდოს კურუკულუმებში გაწერილი თემების რაოდენობა, რაც ერთ მნიშვნელად განაპირობებს ე.ს.გ. სასწავლი გეგმის გრძელვადიან მიზნებზე გასვლას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - შემუშავებული საგნობრივ კურიკულუმებში მიემართება გრძელვადიან სასწავლო მიზნებს და ასევე გათვალისწინებულია სიღრმისეული სწავლების პრინციპები და მეთოდოლოგია. კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები შექმნილია საგნის სტანდარტის მიხედვით, გათვალისწინებულია სტანდარტის გრძელვადიანი მიზნები, საფეხურის შედეგები, მკვიდრი წარმოდგენები, თემები და საკითხები. შერჩეული კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული/შემოქმედებით აზროვნებას, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები კათედრა გამოხატავს მზაობას ერთობლივი მუშაობით შექმნან კომპლექსური დავალებები,შესაბამისი კონტექს მაგალითებით, მაგალითი შედარებისთვის, რაც გლობალური ფუნქციური უნარების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- კათედრას აქვს მზაობა ერთობლივი მუშაობით შეჯერდნენ კომპლექსური დავალების პირობებზე და კარგად გამოიყენონ კონტექსტ მაგალითები რაც გლობალური ფუნქციური უნარების კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, კოლაბორაციის, მოქალაქეობსა და ხასიათია და ნებელობის განვითარებაზეა ორიენტირებული. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სახელმწიფო ენა- სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. კერძოდ, შექმნილია ისგ-ის ჯგუფი, რომელიც შეისწავლის სსსმ მოსწავლის საჭიროებებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

რომ კერძოდ, მასწავლებლები სწავლობენ მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებს, სესაძლებლობებს და ამის გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს, იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს, აძლევენ მოსწავლეებს პროდუქტის ფორმის არჩევანის შესაძლებლობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- დაწყებითი საფეხურის მათემატიკის სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიური სწავლების მიდგომებს. აღნიშნული საფეხურის მასწავლებლები პირველ რიგში ცდილობენ გამოკვეთონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათების, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებისა და მსგავსი სტრატეგიებით, ამის გათვალისწინებით ნერგავენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს და უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. სკოლის დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ამ მიმართულებით სკოლაში დაიგეგმა და განხორციელდა დიფერენცირებულ მიდგომაზე ორიენტირებული გაკვეთილების ციკლი, რომელსაც პირველ რიგში ახორციელებენ სკოლის ლიდერი მასწავლებლები და გამოცდილების გაზიარების შემდეგ მთელი კათედრა. ასევე სკოლის დოკუმენტაციიდან და მათემატიკის მასწავლებლებთან ინტერვიუსას დადასტურდა, რომ მათ აქვთ საკმარისი გამოცდილება სსსმ მოსწავლეებთან წარმატებული მუშაობისა, შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც მორგებულია სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები- დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ოქმი, რითაც ცხადია, რომ სკოლა გეგმავს ინკლუზიური სწავლების მონიტორინგს და შესაბამისად იგივე დოკუმენტი გვაცნობებს, რომ სკოლას ჰყავს სსსმ მომსწავლე/ები , მაგრამ დოკუმენტებში არ იკითხება როგორ აპირებს იმუშაოს მასწავლებელმა თითოეულ მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით./არ არის წარმოდგენილი როგორ ახდენს მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე რესურსების ან/და კომპლექსური დავალების პირობის დიფერენცირებას.თუმცა ინტერვიუირებისას გაცემულმა პასუხებმა, ცხადყო მათი მუშაობის მეთოდები ინკლუზიური მოდგომების გათვალისწინებით.ზეპირ სიტყვიერად განიხილეს ერთი დავალება, რისი ადაპტირებაც მათ განახორციელეს მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები- სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში სრულად არის წარმოდგენილი დიფერენცირებული სწავლების პრინციპები. სკოლას, სასკოლო სასწავლო გეგმით აქვს დამტკიცებული ინკლუზიური მიდგომა, რაც დასტურდება დანართი 2.1.2 ში წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა და ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა) ასევე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში 4.2.1 კრიტერიუმში ნათლდ არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ჩამოყალიბებული სკოლა როგორ ახორციელებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით წარმოდგენილი დანართების სახით. ჩანს, რომ სკოლაში შექმნილია მოქნილი სასწავლო გარემო, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სსიპ გორის ტყვიავის საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმაში, სკოლას გაწერილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი და სსმ მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართვის მექანიზმები. სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესის დიფერენციალურ და ინკლუზიური მიდგომებს, ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში კი გაწერილია აქვთ მათთვის თვალსაჩინოების შეძენა და მათი პერიოდულად განახლება. სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგება, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, ზემოდ აღნიშნული მომავალში განაპირობებს მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას ფიზიკური აღრზრდის სასწავლო პროცესში.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- საგნობრის კურიკულუმებში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომა, რაც აისახება კომპლექსური დავალების პირობასა და საეტაპო აქტივობებში. პედაგოგებთან საუბრისას დადგინდა, მომდევნო სასწავლო წლიდან სსსმ მოსწავლეებისთვის დაგეგმილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმებზე გაყრდნობით სასწავლო პროცესის წარმართვა. სსსმ მოსწავლეებისთვის მოხდება კომპლექსური დავალებების ადაპტირება მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები-სკოლა გეგმავს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, სსსმ მოსწავლეებისთვის, მათვის შეიქმნება ადაპტირებული კომპლექსური დავალებები მათი შესაძლებლობებისა და საჭიროების მიხედვით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესი სრულად ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს,რადგან საბუნებისმეტყველო კათედრას აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებზე მუშაობის გამოცდილება, რაც აისახება კომპლექსური დავალების პირობასა და კონკრეტულ აქტივობებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

სახელმწიფო ენა- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების სისტემა. პირველ-მეოთხე და მეხუთე კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება, ხოლო მეხუთე კლასის მეორე სემესტრსა და მეექვსე კლასში ორივე სემესტრში მოსწავლეები ფასდებიან როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებებით. განმსაზღვრელი შეფასებით ფასდება მოსწავლის მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება დაწყებით საფეხურზე ხორციელდება მასწავლებლის ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირით, წამახალისებელი მითითებებით, თვითშეფასებით. კომპლექსური დავალება ფასდება განმავითარებელი შეფასებით ტაქსონომიის მიღწევის დონის შესაბამისად, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი მასალა (ტაქსონომიის დონის განსაზღვრა, აღწერა და მასწავლებლის მიერ გაცემული განმავითარებელი შეფასება). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- .განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. დაწყებით საფეხურზე სკოლაში დანერგილია ობიექტური და გამჭირვალე შეფასების სისტემა. გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, განმავითარებელი კომენტარი, ზეპირი და წერილობითი უკუკავშირები (ელ. ჟურნალის კომენტარები).შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებთან, მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკატორებს შორის. მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის; მოსწავლეთა შეფასების შედეგები განიხილება კათედრაზე; პედაგოგებთან ინტერვიუსას გაირკვა, რომ დაწყებთი საფეხურის პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს. დაწყებით კლასებში კომპლექსური დავალებების შეფასება ხდება განმავითარებელი შეფასებით სოლო ტაქსონომიის შესაბამისად. დაწყებითი საფეხურის კათედრას შემუშავებული აქვთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

განმავითარებელი შეფასების რუბრიკები: დისკუსიის, ინფორმაციის მოძიების, პრეზენტაციის, სხვადასხვა წერითი სამუშაოს და სხვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები- დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელებიც გვაჩვენებს ,ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის დონეს, თუმცა არ იკითხება კონკრეტულად ერთი დავალების ფარგლებში, როგორ მისცემს მასწავლებელი მოსწავლეს კონსტრუქტივისტულ რეკომენდაციებისკომპლექსურ დავალებაში დამუშავებულ კონკრეტულ საკითხთა კლასტერთან მიმართებით. ასევე, უცხოური ენის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუსბირკები ვერ გვაჩვენებს კორელაციას მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკაოტრებს შორის, მხოლოდ ინტერვიუზე გასაუბრებისა მიღებული ინფორმაციით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლა შეძლებს მომდევნო 2023-24 სასწავლო წლიდან მოსწავლეებს მისცენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი უკუკავშირი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები -საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში არის წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, რასაც მასწავლებელი იყენებს კომპლექსური დავალებების შესრულების დროს, ასევე ახდენს მოსწავლეთა შეფასებას განმსაზღვრელი შეფასებისთ. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ განმსაზღვრელ შეფასებას იყენებენ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- 1-6 კლასის კურიკულუმებში გაწერილი თემებთან (რომლის რაოდენობის გაზრდა სასურველია მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში) და დაგეგმილი კომპლექსური დავალებებთან დართული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის საფუძველზე წარმოადგინა სკოლამ და მათ განვითარებაზე და დახვეწაზე პედაგოგი გამოხატავს მზაობას: რომლის შედეგაც შეფასების რუბრიკები საშუალებას მისცემს მოსწავლეების ცოდნა შეფასდეს ობიექტურად და მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნოით გამოიკვეთა, რომ ესთეტიკის კათედრის პედაგოგებს შემუსავებული აქვთ გამჭვირვალე, ვალიდური და სანდო შეფასების სოსტემა. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, კომპლექსური დავალების შეფასებისთვის განმავითარებელი შეფასების სახით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ისინი იყენებდნენ SOLO ტაქსონომიას. SOLO ტაქსონომიით ხდებოდა მოსწავლეთა ცოდნის შეფასება დონეების მიხედვით, ხოლო განმსაზღვრელი შეფასებისთვის პედაგოგები იყენებდნენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. პედაგოგებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ კათედრა გეგმავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი (მე-5 და მე-6 კლასებისთვის) შეფასების რუბრიკების შექმნას თითოეული თემის ფარგლებში სამინისტროს მიერ ავტორიზაციის ქოუჩინგის ფარგლებში მიწოდებული მოდელის მიხედვით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- მოსწავლეთა შეფასების შედეგები განიხილება კათედრაზე; პედაგოგებთან ინტერვიუსას გაირკვა, რომ დაწყებთი საფეხურის პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს. დაწყებით კლასებში კომპლექსური დავალებების შეფასება ხდება განმავითარებელი შეფასებით სოლო ტაქსონომიის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგების მიერ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

სახელმწიფო ენა- . საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კათედრა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას. კერძოდ, მასწავლებლები აანალიზებენ განხორციელებულ სამუშაოებს. 2023-2024 წლისათვის სკოლა გეგმავს, დახვეწოს სწავლა-სწავლების პროცესში არსებული წარმატებული გამოცდილება და გამოავლინოს პრობლემები, რაც გამოიხატება მასწავლებლის პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლის ინსტრუმენტების გამოყენებაში, რომელზე დაფუძნებითაც პედაგოგებს შეუძლიათ აწარმოონ რეფლექსიური დიალოგი, გამოკვეთონ საკუთარი საჭიროებები და გაუზიარონ კოლეგებს ინოვაციური მიგნებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

მათემატიკა- დაწყებითი საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას , კერძოდ, სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხდება წინარე გამოცდილებისა და გაანალიზების საფუძველზე. ამისათვის მათემატიკის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მიერ იწერება განხორციელებული სამუშაოების ანალიზი, რომელმა კომპლექსურმა დავალებამ , რომელმა პროექტმა გამოიწვია მოსწავლეთა მეტი დაინტერესება, ყოველივე ამის გათვალისწინებით დაწყებითი გამოკვეთს პრიორიტეტებს, გეგმავს სასკოლო აქტივობებს. ერთად აანალიზებენ და გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმს. ეს ყველაფერი გამოიკვეთა როგორც სკოლის დოკუმენტაციაში, ასევე მათთან ინტერვიუს დროს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი სახელად „ერთწლიანი სამოქმედო გეგმა“, რომელშიც პასუხისმგებელი პირები გვეუბნებიან, რომ სკოლამ შეიმუშავა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის დანართები გასული წლის სამოქმედო გეგმის რეფლექსიაზე დაყრდნობით, რაც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდო, რომ ასევე მოხდა უცხოური ენების დანართების მომზადება მომდევნო სასწავლო წლისთვის წინარე წლის რეფლექსიაზე, თუმცა კონკრეტულად რომელიმე უცხოური ენის 2023-24 ს.წ. შემუშავებაში თუ რა გაითვალისწინეს ამას არცერთი დოკუმენტი (არ) გვეუბნება. შემაჯამებლ ოქმში კი უცხოური ენების პედაგოგებს უწერიათ, რომ არ აქვთ სადიაგნოსტიკო შეფასების გამოცდილება, მაგრამ მომდევნო სასწავლო წლისთვის კი უკვე იციან/დაგეგმილი აქვთ თუ როგორ მოახდენენ მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსიტრებას, რასაც უკვე , გაითვალისწინებენ კუმრიკულუმის დაგეგმვაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები- მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები (მასწავლებელთა და მოსწავლეთა თვითშეფასების ანალიზი, სამუშაო ჯგუფების შეხვედრის ოქმები) ასახავს წინარე გამოცდილების გათვალისწინებას, ახლის დაგეგმვის პროცესში. რაც ადასტურებს, რომ სკოლას შეუძლია დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს წინარე გამოცდილება, მოახდინოს მისი ანალიზი და გაითვალისწინოს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და ხარისხის ჯგუფის დებულებიდან, აგრეთვე კათედრის თავმჯდომარის ინტერვუიდან გამომდინარე იკვეთება რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში, გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გამოცდილების ანალიზი და კეთდება უკუკავშირი, საჭიროების შემთხვევაში პედაგოგებს ეძლევათ რეკომენდაციები..შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას. კერძოდ, კათედრის სხდომებზე ხდება განხორციელებული კომპლექსური დავალებების ანალიზი, პედაგოგებს ეძლევათ უკუკავშირი. კათედრა ითვალისწინებს წინა სასწავლო წელს განხორციელებული კომპლექსური დავალებების გამოცდილებას ახალი კომპლექსური დავალებების განხორციელების დროს.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეტა რომ, ისინი შექმნილ სასკოლო კურუკულუმს განავითარებენ სწასვლის დაწყებამდე, განსაზღვრულ კომპლექსურ დავალებებს შესაბამისი აქტოვობებით გამყარებენ და გაითვალისწინებენ წლინა წლს პრაქტიკულ გამოცდილებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან, შეხვედრისას, პედაგოგებმა აღნიშნეს რომ, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას და თითოეული აქტივობის დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნა წინა სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების გამოცდილება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კურიკულუმები;*
- *ადაპტირებული კომპლექსური დავალებები.*

შეფასება:

- ■ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

სახელმწიფო ენა- სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კერძოდ, სკოლის დაწყებით საფეხურზე იგეგმება ინტერაქტიული გაკვეთილები, რომლებიც ორიენტებულია არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. განხორციელდა კომპლექსური დავალებები: ამბის, კომიქსების შექმნა, მოთხრობის დაწერა, პერსონაჟის როლის მორგება, ეპიზოდის დასათაურება და ნახატით გადმოცემა. შეიქმნა დიდი წიგნები. მოთხრობების წერისას მოსწავლეები, თავიანთი ინტერესის შესაბამისად, ირჩევენ თემას, პერსონაჟს და პრობლემას. წარმოსახვის უნარების განვითარება იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ახალი სასწავლო წლისთვის სკოლა დაწყებით საფეხურზე გეგმავს კომპლექსური დავალებების რევიზიას როგორც რაოდენობის, ისე შინაარსის მიხედვით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

მათემატიკა- დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა თავისუფლად გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები, ხდება მათი ინიციატივების წახალისება და შეხედულებების გათვალისწინება. ამ მიზნით საგაკვეთილო პროცესში გამოიყენება კომპლექსური დავალებები. სკოლაში ხდება შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე ზრუნვა. ამ მიზანს ემსახურება სხვადასხვა ტიპის საკლასო თუ კლასგარეშე აქტივობები. დაწყებითი საფეხურის მათემატიკის პედაგოგები გეგმავენ ინტერაქტიულ გაკვეთილებს, რომელიც ორიენტებულია არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. მასწავლებლებმა ინტერვიუსას ხაზი გაუსვეს იმას, რომ ამ მხრივ ჯიპრაიდის პროექტში ჩართულობამ კარგი გამოცდილება მისცა მათ, ასევე აღნიშნეს რომ ახალი სასწავლო წლისათვის იგეგმება კომპლექსური დავალებების რევიზია, როგორც რაოდენობის, ისე შინაარსის მიხედვით და დაწყებითი კლასებისათვის შეირჩევა კიდევ უფრო საინტერესო და შემოქმედებითი უნარებზე გათვლილი დავალებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები - იმ თემებში სადაც წარმოდგენილი კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომ პროექტულ დავალებების იდეები შეიძლება ვთქვათ, რომ მოსწავლე ამგვარ სასწავლო გარემოში გარანტირებულად შეძლებს იყოს შემოქედებით პროცესში აქტიურად ჩართული და მოახდინოს კეთების პროცესში ცოდნის კონსტრუირება. თუმცა ასევე დაბეჯითებით ვერვ ვიტყვი რა ხდება იმ თემებში სადაც მხოლოდ საკითხთა ჩამონათვალს გვაცნობს უცხოური ენების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები. სასურველია წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ძირითადი საკითხები უფრო ფართოდ გაიწეროს იმ თემებისთვის სადაც წარმოდგენილი აქვთ, რათა უფრო ცხადად იკითხებოდეს დაგეგმილი კომპლექსური შინაარსის დავალებების რაობა/ მიმართება გრძელვადიან მიზნებთან (სამიზნე ცნებებთან და შედეგებთან). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები- საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობა იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რადგან შუალედური მიზნები განსაზღვრულია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეებით, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტებით (კათედრის ოქმი, სასკოლო პროექტები). სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის შედეგად ჩანს, რომ სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეები ყავდეს ჩართული აქტიურ შემოქმედებით პროცესში, ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სკოლა და საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში მომდევნო სასწავლო წელსაც ორიენტირებული იქნება მაღალ სააზროვნო უნარებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები და მაში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები, და 1-6 კლასებში მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები სადაც ჩართულია მოსწავლეებთან ერთად მშობლები. უზრუნველყოფენ მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით სასწავლო პროცესში ჩართვას, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, მუსიკისა და ხელოვნების საგნებში მუშაობის პროცესს სისტემატიურად ახორციელებენ კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით. ესთეტიკის კათედრის პედააგოგების თქმით, ასეთი სტილის მუშაობა სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს მოსწავლეთა ავტონომიურობასა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას. სასწავლო პროცესის წარმართვისას ერთერთი უმთავრესი მიზანია მოსწავლის მოტივაციის, ჩართულობისა და შემოქმედებითი უნარების განვითარება, რაც მიიღწევა კომოლექსური დავალებების საშუალებით, ისეთებიც, როგორიცაა მაგალითად, მუსიკის საშუალებით ქალაქის მარშრუტის აღწერა, ზღაპრის სიუჟეტის სხვადასხვა ეტაპისთვის მუსიკალური ფრაგმენტების მისადაგება, კომპიუტერული თამაშის მსვლელობის აღწერა საუნდტრეკების, მუსიკალური და ხმის ეფექტების საშუალებით და სხვ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები-სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლის დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი კათედრა გეგმავს აქტიურად კომპლექსური დავალებების განხორციელებას, სხვადასხვა პროდუქტების გამოყენებით,რაც მოსწავლეების საზროვნო უნარების განვითარებას უწყობს ხელს. ახალი სასწავლო წლისთვის სკოლა დაწყებით საფეხურზე გეგმავს კომპლექსური დავალებების გადახედვა მონიტორინგს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- მომდევნო სასწავლო წელის კურიკულუმები მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას შეუწყობს ხელს. სკოლაში მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება/რეალიზება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

სახელმწიფო ენა- . დაწყებით საფეხურზე ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ შემდეგ სტრატეგიებს: შესასვლელი გონებრივი იერიში, ვიცი, მინდა ვიცოდე, გავიგე. წინარე ცოდნის დასადგენად დაწყებით საფეხურზე სკოლა გეგმავს 2023-2024 სასწავლო წლისთვის დიაგნოსტიკური შეფასების ერთიანი სასკოლო სისტემის დანერგვას, რომელიც სასწავლო წლის დასაწყისში ჩატარდება და რომლის შედეგებიც გათვალისწინებული იქნება ახალი ცოდნის კონსტრუირებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- მათემატიკის კათედრის მასწავლებლები დაგეგმვისას ითვალისწინებენ კლასის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახდენენ ახალი ცოდნის დაშენებას. იყენებენ სხვადასხვა აქტივობებს მოსწავლეთა ცოდნის დასადგენად (მაგ. სადიაგნოსტიკო ტესტი, შესავლელი ბილეთები, შემაჯამებელი კითხვარი) , ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზზე, თუ როგორ ხდება სწავლა -სწავლების პროცესში მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინება და მასზე დაყრდნობთ ახალ კურიკულუმის აგება, სადაც თითოეული მოსწავლის მზაობა, შესაძლებლობები და ინტერესებია გათვალისწინებული. ეს გვაძლევს საშუალებას რომ დავასკვნათ სწავლა სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები- წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში , განსაკუთრებით იმ თემებში სადაც კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების ძირითადი საკითხებია ასახული, შუალედური მიზნები იმგვარად არის დაგეგმილი, რომ იგი ცალსახად ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებას, რაც თავისმხრივ უზრუნველყოფს ახალი ცოდნის მარტივად და მოსწავლისთვის საინტერესო ავთენტურ კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას. თუმცა , სასურველია სკოლამ წარმოადგინოს დოკუმენტი, რომელშიც ასახული იქნება თუ რით გამოკვეთეს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და რაზე დაყრდნობით გადაწყვიტეს აღნიშნული სასწავლო გეგმის/ კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების დაგეგმვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები- დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმის ჩარჩოში, მოცემული კომპლექსური ბუნების დავალების იდეები და გამოყენებული რესურსები გვაჩვენებს, რომ მოსწავლეები შექმნიან საინტერესო პროდუქტებს და მოხდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ცოდნის ტრანსფერი, რაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დავასკვნათ, ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლების სკოლაში განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალებები ითვალისწინებენ , რომ მათზე მუშაობისას პროცესში განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - პედაგოგებთან საუბრისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, სწავლას აღმოჩენის გზით. სწავლება ემყარება განვითარების პრინციპს - ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. ამ მიზნების მიღწევას ხელს უწყობს კომპლექსური დავალებების განხორციელება. ასე ხდება მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურება და ესგ-ს შედეგების მიღწევა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივ კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებები,კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში ბუნებრივად აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; მეტაკოგნიური უნარების ხელშეწყობაზე, რაც ინტერვიუს დროს აღნიშნეს პედაგოგებმა. კომპლექსური დავალება კარგი საშუალებაა თვითშეფასებისთვის. მოსწავლეები ასახელებენ იმ სტრატეგიებს, რომელიც გამოიყენეს, რა მოეწონათ, რა არ მოეწონათ, როგორ მიაღწიეს მიზანს. მოსწავლეთა პროგრესისათვის პორტფოლიოების წარმოება ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშაულებაა. ამ ეტაპზე დაწყებით კლასებში ამისი პრაქტიკა სკოლას არ აქვს, თუმცა გეგმავენ მოსწავლეთა პორტფოლიოების წარმოების პრაქტიკა დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში დანერგონ, რათა თითოეულმა მოსწავლემ და მასწავლებელმა შეძლოს მონიტორინგი გაუწიოს საკუთარი სწავლა/სწავლების პროგრესს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგები უფრო კომპლექსურად მიუდგებიან სასწავლო პროცესს და ყველა მასწავლებელი შეეცდება ყოველდღიურად გამოიყენონ ასეთი მიდგომები,რომ სასწავლო პროცესი მუდმივად იყოს განახლებადი და აქტიური. ფიქრობენ დაესწრონ ტრენინგებსა და გაეცნონ მეთოდურ ლიტერატურას, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

სახელმწიფო ენა- დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, კერძოდ მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, გააანალიზონ საკუთარი მიღწევები, გამოიყენონ თვითშეფასება. მოსწავლეები ასახელებენ იმ სტრატეგიებს, რომლებიც გამოიყენეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას, რა მოეწონათ, რა არ მოეწონათ, როგორ მიაღწიეს მიზანს. აფასებენ თანატოლებს, აკეთებენ თვითშეფასებას. სკოლას გაცნობიერებული აქვს, რომ მოსწავლეთა პროგრესისთვის ეფექტური საშაულებაა პორტფოლიოების წარმოება, რომლის გამოცდილებაც სკოლას დაწყებით საფეხურზე ამ ეტაპზე არა აქვს, თუმცა მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას, დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში დანერგონ მოსწავლეთა პორტფოლიოების წარმოება, რათა მათ შეძლონ, საკუთარი სწავლა/სწავლების პროცესის მონიტორინგის განხორციელება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებები, საგნობრივ ოქმებში აფიქსირებს კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში ბუნებრივად აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; მეტაკოგნიური უნარების ხელშეწყობაზე, რაც ინტერვიუს დროს აღნიშნეს პედაგოგებმა. კომპლექსური დავალება კარგი საშუალებაა თვითშეფასებისთვის. მოსწავლეები ასახელებენ იმ სტრატეგიებს, რომელიც გამოიყენეს, რა მოეწონათ, რა არ მოეწონათ, როგორ მიაღწიეს მიზანს. მოსწავლეთა პროგრესისათვის პორტფოლიოების წარმოება ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშაულებაა. ამ ეტაპზე დაწყებით კლასებში ამისი პრაქტიკა სკოლას არ აქვს, თუმცა გეგმავენ მოსწავლეთა პორტფოლიოების წარმოების პრაქტიკა დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში დანერგონ, რათა თითოეულმა მოსწავლემ და მასწავლებელმა შეძლოს მონიტორინგი გაუწიოს საკუთარი სწავლა/სწავლების პროგრესს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები- გაანალიზებული აქვს რა სკოლას კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რასაც მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები გვეუბნება და ასევე მოვახდინეთ რა გასაუბრება აღნიშნულ საკითხთან მიმართებით,შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა იცავს/ამართლებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთ ძირითად კონცეფციას და მუშაობის პროცესი ისე მიჰყავთ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

რომ მოსწავლეებს აფიქრებენ სწავლის სწავლაზე და შესაბამისად ეხმარებიან მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები- კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპლექსური დავალებების იდეებმა და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან მასწავლებლებმა აღნიშნა, რომ საგაკვეთილო პროცესში იყენებენ მეტაკოგნიტურ უნარებზე მიმართულ კითხვებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-სწავლა-სწავლების პროცესში სკოლაში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე , რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - მოწოდებულ დოკუმენტაციაზე და პედაგოგებთან გასაუბრებაზე დაყრდნობით ჩანს, რომ ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, კათედრა ითვალისწინებს სწავლა-სწავლების პროცესში მეტაკოგნიციაზე დაფუძნებულ აქტივობებს, მაგალითად, კომპლექსური დავალებების თვითშეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები -სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, რათა მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- პედაგოგებთან გასაუბრისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, რათა მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

სახელმწიფო ენა- .სკოლას გაცნობიერებული აქვს, რომ კომპლექსური დავალებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია სწორედ ისაა, რომ მისი შესრულება მოითხოვს ცოდნათა სამივე კატეგორიის ურთიერთდაკავშირებულად გამოყენებას. საგნობრივ კურიკულუმში შეტანილია სწორედ ისეთი კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც მოითხოვს მოსწავლეებისგან თეორიულ ცოდნას, მის რეალიზებასა და პრაქტიკაში გამოყენებას. შესაბამისად, მოსწავლეები შეძლებენ საკუთარი ცოდნის ურთიერთდაკავშირებას და ამ ცოდნათა ერთობლიობით საბოლოო პროდუქტის შექმნას. სკოლა გეგმავს 2023-2024 სასწავლო წლის კურუკულუმებში აქცენტი გაკეთოს მსგავსი კომპლექსური დავალებების დაგეგმვა-განხორციელებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- სასწავლო პროცესი დაწყებით საფეხურზე ეფუძნება საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას და დანაწევრებული, ფაქტობრივი ცოდნის გარდა, ემსახურება ერთი საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სხვა საგნის ჭრილში დანახვასა და სამყაროს მთლიანობის აღქმას. კომპლექსური დავალებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია სწორედ ისაა, რომ მისი შესრულება მოითხოვს ცოდნათა სამივე კატეგორიის ურთიერთდაკავშირებულად გამოყენებას, დაწყებითი საფეხურის მათემატიკის სასწავლო კურიკულუმები შეიქმნა მსგავსი კომპლექსური დავალებების განხორციელებაზე, სადაც მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას, მაგალითად მესამე კლასში კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალება გეომეტრიაში, რომლის პირობას წარმოადგენდა მოსწავლეებს საკუთარი ფანტაზიით და შესაძლებლობებით აეგოთ ,,ჩემი საოცნებო სახლი“ მაკეტი, სადაც თეორიულ ცოდნაზე დაფუძნებით მოახდინეს პროექტის დაგეგმარება და ნასწავლი სივრცული გეომეტრიული ფიგურების გამოყენებით შექნეს სასურველი მაკეტი. არსებულ დავალებაში მოსწავლეებმა შეძლეს საკუთარი ცოდნის ურთიერთდაკავშირება და ამ ცოდნათა ერთობლიობით საბოლოო პროდუქტი მაკეტის შექმნა. 2023-2024 სასწავლო წლის კურუკულუმებში აქცენტი კეთდება მსგავსი დავალებების განხორციელებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები-წარმოდგენილია რა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთანა მჭიდრო კორელაციაში მყოფი მიზნების ძირითადი საკითხები, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს მოახდინონ ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება მაგ. „შექმენი პოსტერი თემაზე -My dream Holidays” ან კიდევ “ პსოტერის მეშვეობით ისაუბრე თემაზე- “ My

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

room“ ამგავრი დავალებები უდაოდ განაპირობებს მოსწავლეს ,რომ მოახდინონ როგორც დეკლარატიული, ასე პროცედურული და პირობისეული ცოდნის რეალიზება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები-კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილ კომპლექსური დავალების იდეებზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან გასაუბრებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. რადგან საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები იყენებენ ცოდნის სამივე კატეგორიაზე მიმართულ კითხვებს და აქტივობებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის ფიზიკური აღზრდის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. რომელიც ორიენტილებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- პედაგოგებთან საუბრისას გაირკვა, რომ სწავლა-სწავლების პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. რაზეც მეტყველებს ორივე საგანში (ხელოვნება/მუსიკა) შექმნილი სასკოლო კურიკულუმები. სასწავლო პროცესი აგებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე და ხელს უწყობს სამიზნე ცნებების გააზრებას სხვადასხვა კონტექსტში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის და განხორციელება ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, დეკლარატიულ, პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე, მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი, რაც ოცდამეერთე საუკუნის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს,რასაც ადასტურებს საზოგადოებრივ მეცნიერებაზე შექმნილი სასკოლო კურიკულუმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- პედაგოგებთან საუბრისას გაირკვა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაზეც მეტყველებს ბუნებისმეტყველებაში შექმნილი სასკოლო კურიკულუმები. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სახელმწიფო ენა- სკოლას გააზრებული აქვს, რომ ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება ავტომატურად ნიშნავს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებას. 2023-2024 სასწავლო წლისთვის კურიკულუმის თემატური დაგეგმვა, კომპლექსური ბუნების დავალებები, პროექტული ტიპის აქტივობები, რაზეც აიგება კურუკულუმი, სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- სასწავლო პროცესში დიდი ყურადღება ექცევა საგანთაშორის კავშირების დამყარებას და ცოდნის სისტემატიზაციას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ტრანსფერის უნარის განვითარებას. ამ მიზნით დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. კურიკულუმებში ასაულია ერთიანი მიდგომა, გზა ერთი კომპლექსური დავალებიდან მეორე კომპლექსურ დავალებამდე. ამ გზის გავლით კი მოსწავლეები მოახდენენ ცოდნათა ორგანიზების ურთერთდაკავშირებას. წარმოდგენილ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება სამიზნე ცნებისაკენ, ყველა კომპლექსური დავალება ეხება კონკრეტულ ქვეცნებას და ქვესაკითხს, რომელიც უკავშირდება სამიზნე ცნებებს. იგივე სამიზნე ცნებებს უკავშირდება მონათესავე ბუნების სხვა საკითხები, ქვეცნებები, ქვესაკითხები, რაც ხელ შეუწყობს მოსწავლეებში კავშირების დანახვას და გააზრებას, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები- იმ თემებში სადაც წარმოდგენილია კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების ძირითადი საკითხები , მარტივია ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეები ეცნობიან აღნიშნულ დავალებებს ახალ თემაზე გადასვლისთანავე(ინტერვიუირებისასაც დაადასტურეს ეს პედაგოგებმა) და შესაბამისად ეს „უკუსვლით დაგეგმვის“ მიდგომაც დაეხმარებათ მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებაში. რაც შეეხება ცოდნათა ურთიერთ დაკავშირებას, ვისურვებდი უფორ მეტი სიცხადისთვის წარმოდგენილი ჰქონოდათ ინტეგრირებული კომპლექსური დავალების ნიმუში,თუმცა, ინტერვიუმ მაჩვენა, რომ სკოლას აქვს გამოცდილება საგანთა შორის გაკვეთილების ინტეგრირებისა(ინგლისური და ი.ს.ტ-ის საგნებს შორის, რუსულისა და ისტორიის საგნის ინტეგრირება „ პეტრე პირველისა და იმ პერიოდის საქრთველოს მართველის მსგავსება განსხვავება რუსულ ენაზე“ და ა.შ). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ტექნოლოგიები- სკოლის მიერ წარმოდგენილი პროექტების მსვლელობისას განხორციელებული აქტივობების გაცნობისას, დასტურდება რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ასევეა საგან კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევს .**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლა ითვალისწინებს სწავლა-სწავლების პროცესში ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. ამ მიზანს ემსახურება კომპლექსური დავალებები, სადაც ხდება სამიზნე ცნებების დამუშავება სხვადასხვა კონტექსტში. გაკვეთილებზე გამოყენებულ აქტივობებსა და კომპლექსურ დავალებებში მოცემული კითხვები მოსწავლეებს ეხმარებათ დაფიქრდნენ და გაანალიზონ ცოდნათა ურთიერთკავშირი. მაგალითად, განიხილონ მუსიკის მახასიათებლები სხვადასხვა კონტექსტში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლელები ორიენტირებულნი არიან მოსწავლეებში გაზარდონ სწავლა-სწავლების მექანიზმები, ისინი მოსწავლებს ფასილიტაციას უწევენ სწავლა-სწავლების პროცესში ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთდაკავშირებაში ამისთვის ისინი იყენებენ განმავითარებელ შეფასებებს, სიტყვიერ კომენტარებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგები პირად შეხვედრებსა და საგნობრივ ოქმებში აფიქსირებენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას, დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით,ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ამასთანავე, პედაგოგები ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში, იმისათვის, რომ მოსწავლეებში გაიზარდოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები, რაც წარმატებული სწავლის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმები;
- სასწავლო პროექტები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

სახელმწიფო ენა- სკოლას გააზრებული აქვს, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტები საფეხურების მიხედვით განსაზღვრავს სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნებს, რის საფუძველზეც იგეგმება წლიური კურიკულუმები. სასწავლო პროცესის მართვა დაფუძნებულია სასწავლო კურიკულუმზე, რომელსაც უზრუნველყოფს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, მიემართება სწავლა-სწავლების პროცესისაკენ და ხელს უწყობს კონსტრუქტივისტული სწავლების მიდგომებს. სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმი, ასევე, რეალიზებული კომპლექსური დავალებები მიმართული იქნება სწავლა-სწავლების პროცესში სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის გააზრებულ კავშირზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- სკოლას დაწყებით საფეხურის მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში შერჩეულია საკითხები ისე რომ შესაძლებელია თემის დამუშავება, მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები- წარმოდგენილია რა მესამე თაობის ე.ს.გ.-ს გრძელვადიანი მიზნების მიხედვით გაწერილი შუალედური მიზნების ძირითადი საკითხები უცხოურ ენებისთვის, შემოთავაზებული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლე მივიდეს განზოგადებამდე და ნასწავლ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოაყალიბოს მკვიდრი წარმოდგენები საგნის გრძელვადიანი მიზნებთან(შედეგებსა და სამიზნე ცნებებთან) მიმართებით.მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ გამთლიანება დანაწევრებით მიღებული ცოდნისა.თუმცა აუცილებელია წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარცოებში უფრო მეტი სიცხადისთვის გაიწეროს ამა თუ იმ დაგეგმილი კომპლექსური დავალებით მასწავლებელი რომელ გრძელვადიან მიზანს- სსსამიზნე ცნებას და რომელ ქვეცნებას/ქვესაკითხს ამუშავებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები - სკოლის მიერ საგან, კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, რომლისკენაც სწავლა-სწავლების პროცესი მიემართება, ასევე წარმოდგენილია საგნობრივი საკითხები და რესურსები მუშაობისთვის. მასწავლებელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მასწავლებელი იაზრებს საკითხის მნიშვნელობას და აქვს ხედვა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-1.სკოლის ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესი. კურიკულუმში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობას და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით.. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ ხელი ეწყობა სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებების გათავისებას სხვადასხვა კონტექსტში. კურიკულუმის ჩარჩოში თემები და საკითხები შესაბამისობაშია, განსაზღვრულია ცნებები და ქვეცნებები, მითითებულია შესატყვისი რესურსები, მუსიკის საგანში მითითებულია კონტექსტ-მაგალითები, კომპლექსური დავალებების იდეა, მაგალითები შედარებისთვის. ხელოვნებაში მიმდინარეობს კომპლექსური დავალებების შერჩევა. ყოველივე ეს დაეხმარება მოსწავლეებს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- დაწყებით საფეხურზე კურუკულუმი მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ჩაშენებულია გრძელვადიანი მიზნები ყველა სამიზნე ცნება სტანდარტით განსაზღვრული, მათი მკვიდრი წარმოდგენები, მასწავლებლები სწავლის დაწყებამდე კურუკულუმის დახვეწაზე იმუშავებენ, სადაც გაწერენ კონტექსტ მაგალითს, დავალების იდეას და მაგალითებს შედარებისთვის გამოიყენებენ რათა სწავლა-სწავლების პროცესი საინტერესოდ წარიმართოს დაწყებით საფეხურზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- საბუნებისმეტყველო კათედრას საგნობრივი კურიკულუმის ბუნებისმეტყველების საგანში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

სახელმწიფო ენა- სკოლას გააზრებული აქვს, რომ სწავლა არის მოსწავლის პიროვნული ზრდისა და განვითარების პროცესი და ის მიმართულია როგორც მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი, ასევე სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. დაწყებითი კლასის მოსწავლეთა ჩართულობით სკოლა ახორციელებს სხვადასხვა სახის აქტივობას, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-ემოციური განვითარებისაკენ და გამოხატავს მზაობას ამ მიმართულებით მომავალშიც გააგრძელოს მუშაობა. კერძოდ, დაწყებით საფეხურზე 2023-2024 სასწავლო წელს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით სკოლა გეგმავს ისეთი აქტივობების განხორციელებას, რომლებიც მოსწავლეს დაეხმარება პოზიტიური ურთიერთობების დამყარებაში, გუნდური მუშაობის, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების მართვის უნარების ჩამოყალიბებაში. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კონტექსტი ემსახურება არა მხოლოდ საკითხის შინაარსობრივ შესწავლას, არამედ მოსწავლეთა პიროვნულ, ფსიქო–სოციალურ და ემოციურ განვითარებას. სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მხარდამჭერი გარემო, მოსწავლეები გრძნობენ , რომ მათი ხმა ესმით და მნიშვნელოვანია, კომპლექსური დავალებები, განმავითარებელი შეფასებები და კომენტარები, დამრიგებელთა მიერ ჩატარებული კლასის საათები, ექსკურსიები, გასვლითი ღონისძიებები, ყველაფერი ეს მოსწავლეებს ეხმარება საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენაში, თვითშეფასების ამაღლებაში, სოციალური უნარების განვითარებაში და ემოციების მართვაში. დაწყებით საფეხურზე მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ძირითადი თემებია განსაზღვრული.კათედრას ამ ეტაპზე საგნობრივი კონტექტსტების ნაწილი აქვს შერჩეული კონკრეტული დავალების განხორციელებისათვის,თუმცა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და ისაუბრეს მასწავლებლებმა თუ როგორ წარმიმართება მათი სასწავლო პროცესი კურიკულუმის მიხედვით , რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

უცხოური ენები- ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი უხოური ენების კურიკულუმის ჩარჩოებში დამუშავებულია ე.ს.გ. უცხოური ენების სტანდარტით გათვალისწინებული თემატური ბლოკებში შემოთავაზებული თემები, რომელთა მცირე ნაწილი (სემესტრში ერთი) მუშავდება ავთენტური შინაარსის მქონე შუალედური მიზნებში/კომპლექსური შინაარსის დავალებებში, აღნიშნული დავალებები კი ცალსახად შეუწყობს ხელს ფუნქციურ კომპონენტური უნარების განვითარებას და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები- სკოლის მიერ საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი, კურკულუმის ჩარჩოში სხვადასხვა მიმართულებით არის კომლექსური ბუნების დავალებების იდეები, მათ შორის სამიზნე ცნება ციფრული მოქალაქეობის ფარგლებში, რაც გვაძლევს ისმის დასკვნის საშუალებას, რომ მასწავლებელი იაზრებს და საგნობრივი კონტექსტი ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- 2. სკოლაში სასწავლო პროცესი და საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლის სხვადასხვა მეთოდები თეორიული, პრაქტიკული, .კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს მათ შორის ქართული ტრადიციული სპორტის სახეობების ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს, აგრეთვე მოსწავლეების მიერ შექმნილი ნახატები და ბუკლეტები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- მოწოდებული დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ სკოლისთვის მნშვნელოვანია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაც. ამ მიზნით შერჩეული საგნობრივი კონტექსტები - აუდიო და ვიდეო რესურსები, ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კონტექსტები შერჩეულია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები საჭიროებები და ასაკობრივი თავისებურებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

საზოგადოებრივი მეცნიერებები- დაწყებით საფეხურზე პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი გამოიყენებენ მოსწავლეების პიროვნულ განვითარებისთვის სხვადასხვა რესურსებს მოსწავლეების შესაძლებლობიდან გამომდინარე:ცხრილების, დიაგრამების, ფოტო-ვიდეო რესურსების გამოყენებით სხვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება: ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემები, რუკები, სურათები, ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სახელმწიფო ენა- დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითრებას. შეფასება უზრუნველყოფს მრავაფეროვანი ინტრუმენტებს გამოყნებას სხვადასხვა მიზნობრიობით; განმავითარებელი შეფასება მოიცავს მოსწვლის ძლიერ და გამოსასწორებელ მხარეებს და ხელს უწყობს მისი განვითარების პროცესს. სკოლა, ძირითადად, იყენებს მიმდინარე განმავითარებელ შეფასებას მასწავლებლების მიერ გაკვეთილზე გაკეთებული განმავითარებელი კომენტარის სახით. ამ ეტაპზე სკოლაში წერილობითი შეფასება ყველა განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე არ კეთდება, თუმცა ზეპირ რეკომენდაციებს მოსწავლეები იღებენ როგორც მიმდინარე დავალებებში, ასევე შემაჯამებელ სამუშაოებში. სკოლა 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმში უპირატესობას მიანიჭებს მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სტანდარტის შედეგების მიღწევის დასადგენად სოლო ტაქსონომიის გამოყენებას, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებელს, დაადგინოს თითოელ სამიზნე ცნებასთან მიმართებით რა ცოდნა მიიღო მოსწავლემ, რამდენად ახერხებს ამ ცოდნის გამოყენებას, შესაბამისად მისცემს განმავითარებელ რეკომენდაციებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია შეფასების ზოგადი რუბრიკები, რომელთა გამოყენებაც ხდება მათემატიკის კათედრის მიერ. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა წარმოადგინეს კათედრაზე შექმნილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც გამოიყენეს განხორციელებული კომპლექსური დავალების შემდგომ, სადაც კარგად ჩანს ჰოლისტური მიდგომა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

უცხოური ენები-სასკოლო კურიკულუმში მოცემული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. კერძოდ, მოსწავლის შეფასების მიზნით წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ვალიდურია სანიმუშოდ წარმიდგენილი კომპლექსური დავალებისა და ახდენ მოსწავლის მიღწევების დეტალურ ანალიზს თითოეული სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებთან მიმართებით,ამგვარ რუბრიკაზე დაფუძნებული უკუკავშირი კი ხელს შეუწყობს მოსწავლეთა განვითარებას, როგორც საგნის ასევე პიროვნულ ჭრილში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები - სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა და ასევე კათედრების მიხედვით შეფასების რუბრიკები. კომპიუტერული ტექნოლოგიები მიეკუთვნება მათემატიკის კათედრას, განვიხილე მათემატიკის კათედრის დოკუმენტაცია სადაც ჩანს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რომელიც საჭიროებს დახვეწას და რომლის მზაობასაც გამოხატავ სკოლა მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. დაწყებითი საფეხურზე ფიზიკურ აღზრდაში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობის და თვითკონტროლის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების გაცნობიერებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის შეფასების სისტემა ეყრდნობა მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. განმავითარებელის შეფასების მექანიზმად სკოლას აღებული აქვს სტანდარტის შედეგების მიღწევის სოლო ტაქსონომია. ესთეტიკის კათედრის მასწავლებლები ერკვევიან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსში, თავად ქმნიან განმავითარებელ/განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს (განმსაზღვრელ შეფასებებს მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან). შეფასების მექანიზმი მათ გააზრებული აქვთ, როგორც მოსწავლის განვითარების მექანიზმი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

საზოგადოებრივი მეცნიერებები- დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივ კათედრაზე მასწავლეებს აქვთ განმავითარებელი შეფასების ფორმა სოლო ტაქსონომისს მიხედვით, სამომავლოდ ისინი შეიმუშავებენ კომპლექსური დავალების განმავითარებელ ფორმას, გადაწყვეტილი აქვთ მათ რომ სადიაგნოსტიკო ტესტს შეიტანენ კვლევის მიმართულებით რომ შეაფასონ მოსწავლეების მიღწევები სემსეტრში ერთხელ.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებს გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, ისინი ერკვევიან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსში, თუმცა ჯერ არა აქვთ შექმნილი შეფასების რუბრიკები. კათედრა მომდევნო სასწავლო წლისთვის შეიმუშავებს რუბრიკებს ყველა თემასთან მიმართებით,აწარმოებს მოსწავლეთა დაკვირვებას, დიაგნოსტიკური წერის ანალიზს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

სახელმწიფო ენა- .სკოლის თვითშეფასების ფორმიდან ირკვევა, რომ დაწყებით საფეხურზე პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კლასებში, ასევე მეხუთე კლასის პირველ სემესტრში მოსწავლეები ფასდებიან განმავითარებელი შეფასებებით, ხოლო Vკლასის მეორე სემესტრიდან და VI კლასში მოსწავლეები, ასევე, ფასდებიან განმსაზღვრელი შეფასებით, წინასწარ შედგენილი შეფასების რუბრიკით. სკოლა გეგმავს, რომ 2023-2024 სასწავლო წლისათვის საგნობრივი კათედრებზე შეიმუშაონ დახვეწილი შეფასების სქემები, რათა შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- შეფასება არის ვალიდური, მოსწავლეებმა იციან, რომ შეფასდებიან მხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც მასწავლებელმა მათ გააცნო. შეფასება არის გამჭვირვალე , მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. შეფასება არის გამჭვირვალე. იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. დახვეწილი, მკაფიო და არაორაზროვანი შეფასების სქემა შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის უზრუნველყოფს თანაბარ სამართლიანობას ყველა მოსწავლის მიმართ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

უცხოური ენები-სკოლას წარმოდგენილი აქვს სანიმუშო განსმაზღვრელი შეფასები რუბრიკები რუსული ენსითვის სადაც მოსწავლეებს ქულა ეწერებათ შემდეგ კრიტერიუმებში " დროის ლიმიტის დაცვა, თანამშრომლობითი უნარები"და სხვა ამგვარი, რაც ცხადია არ ითვლება ვალიდურად, ვინაიდან უცხოური ენების სტანდარტით წარმოდგენილი ინდიკატორები ამას არ ითვალისწინებს/არ სთხოვს მოსწავლეს. ამიტომ აუცილებელია ყველა შეფასების რუბრიკა ეფუძვნებოდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების ინდიკატორებს. თუმცა ასევე იგივე შეფასების რუბრიკების დოკუმენტში გვხვდება განმსაზღვრელი სეფასების რუბრიკის ერტი ნიმუში- ინგლისური ენისა, რომელებიც დეტალურ სურათს გვიხატავს, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეების შეფასებას ამავე საგნის შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით. ეს კი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური და სანდო, რაც შეეხება შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას, ამის დაკვირვების საშუალება ამ ეტაპზე მხოლოდ დოკუმენტაციის ბაზაზე ნაკლებად ხერხდება.თუმცა, ინტერვიუს პასუხებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა აანალიზებს შეფასების სისტემის გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და მექანიზმების განხორციელება სკოლაში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-4.სკოლის დაწყებითი საფეხურის. მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ მათ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდის შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, რომლის მიზანი იქნება სრულად დააკმაყოფილოს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობა, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - პედაგოგებთან საუბრისა და მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლა გეგმავს მოსწავლეთა შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. შეფასების სისტემა იქნება შესაბამისი სასწავლო მიზნებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

მიმართებით, კრიტერიუმები დაეყრდნობა დავალების პირობას და იქნება მოქნილი, დავალებაზე მორგებული.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- კათედრასთან საუბრის დროს პედაგოგები აღნიშნავენ რომ ისინი შეფასების ინსტრუმენტებს რუბრიკების სხვადასხვა ფორმატს გამოიყენებენ რათა ნათელი გახდეს მოსწავლეების საჭიროებები და ამ მიმართულებით იმუშაონ და გააზიარებენ მიღწევებს და ხარვეზებს , შეფასების რუბრილები თითოეული თემის ფარგლებში იქნება წარმოდგენილი.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან ინტერვიუდან და აგრეთვე მათ მიერ შექმნილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, კათედრა გეგმავს სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშაონ ისეთი შეფასების კრიტერიუმები სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. სკოლაში შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით თითოეული თემის ფარგლებში იმოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი 10- ქულიანი შეფასების სისტემა.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

სახელმწიფო ენა- სკოლას ამ ეტაპზე არა აქვს, მაგრამ გამოხატავს მზაობას, სამომავლოდ შეიმუშაოს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმები.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- სკოლის მიერ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს, ვადებსა და პირობებს. სასწავლო წლის ბოლოს ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგი/შეფასება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს კათედრაზე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის წარდგენაზე და განხილვაზე, თუ როგორ ხდება მოსწავლის პროგრესის დანახვა და რას ითვალსიწინებენ სამომავლოდ. .გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელზეც პასუხისმგებლობა აღებული აქვს სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

დირექციას და ხარისხის მართვის ჯგუფის წევრებს. მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მაწავლებლისთვის რეკომენდაციების მიცემა.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა- ინტერვიურებისას უცხოური ენების პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ 2023-24 სასწავლო წელს აპირებენ სადიაგნოსტიკო წერებს რაზეც დააფუძვნებენ კურიკულუმის ვერიფიკაციის მექანიზმს, თუმცა, სათანადო დოკუმენტაცია წარმოდგენილი არ აქვთ, რაც მ, მიმაჩნია, რომ აუცილებალდ წარმოსადგენია.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები- სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფი, დირექტორის მოადგილესთან და კათედრებთან ერთად ჩართულები არიან შეფასების სისტემის შექმნაში და მის მონიტორინგში. ხდება მოსწავლეთა შეფასების ანალიზი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-სკოლის წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ ჩანს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; .სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმიდან გამომდინარე სამომავლოდ სკოლა გეგმავს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმების შემუშავებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - კათედრას გაცნობიერებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმის მნიშვნელობა და ის გარემოება, რომ ვერიფიკაციის მექანიზმი გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში. როგორც გამოიკვეთა პედაგოგებთან საუბარში და სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან, ვერიფიკაციის პროცესს უზრუნველყოფს სკოლა, ხოლო კათედრები შეიმუშავებენ შეფასების კრიტერიუმებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა დროს შეფასების სისტემა გაითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას განახორციელებს საზოგადოებრივი კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-
მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა გაითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას განახორციელებს საბუნებისმეტყველო კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სახელმწიფო ენა- სკოლა უზრუნველყოფს დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. ამ მიზნით დაწყებითი საფეხურის კათედრები სამი წლით ინახავენ მოსწავლეთა მიერ ელექტრონული თუ მატერიალური სახით შესრულებულ კომპლექსურ დავალებებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვას და არანაკლებ 3 წლის ვადით შენახვას, რაც დადასტურდა გასაუბრების შედეგად, მასწავლებლებს ჰქონდათ ნიმუშის სახით წარმოდგენილი შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა- სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვას და არანაკლებ 3 წლის ვადით შენახვას, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები- სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სკოლა აღრიცხავს შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს და შეგროვებული დოკუმენტაცია გადაეცემა ადმინისტრაციას, შენახვისა და შემდგომი გამოყენების მიზნით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-სკოლაში წარმოებული ელოქტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - მოწოდებული დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ დაწყებითების კათედრაზე მოსწავლეთა კომპლექსური დავალებები ელექტრონული ან მატერიალური სახით ინახება სამი წლის ვადით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვას და არანაკლებ 3 წლის ვადით შენახვას, რაც დადასტურდა გასაუბრების შედეგად, მასწავლებლებს ჰქონდათ ნიმუშის სახით წარმოდგენილი შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-
პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ საბუნებისმეტყელო კათედრა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხდება მათი აღრიცხვა და შენახვა, ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმები
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

სახელმწიფო ენა- . სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას, კერძოდ, როგორც სასკოლო, ასევე საკლასო გარემო ყველა მოსწავლისათვის არის პოზიტიური, თანამშრომლობითი და მეგობრული, რაც მოსწავლეებს აქტიურად რთავს სასწავლო პროცესში, უმაღლებს მოტივაციას, მაღალი თვითშეფასების უნარს. ამ მიმართულებით დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები მომავალში გეგმავენ მრავალფეროვან აქტივობებს და პროექტებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა-. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას, კერძოდ როგორც სასკოლო ასევე საკლასო გარემო ყველა მოსწავლისათვის არის პოზიტიური, თანამშრომლობითი და მეგობრული. ამ უნარების განსავითარებელი საკითხები ასახულია სასკოლო სასწავლო. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები მომავალში გეგმავენ უფრო მრავალფეროვან აქტივობებს და პროექტებს, რაც დაეხმარება მოსწავლეებს მხარდამჭერი და მიმღებლობითი უნარების განვითარებაში, სასწავლო პროცესი კი უფრო პოზიტიური და მეგობრული იქნება. სკოლის თვითშეფასების ფორმაში განხილულია თანამშრომლობითი გარემოს მაგალითები, კათედრებზე, სკოლაში არსებულ სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის, შემუშავებულ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები, საგნობრივ ოქმებში განსაზღვრული პირობა, რომ მოხდება ყველა დავალების პირობის სრულყოფა, შესაბამისად კომპლექსური დავალების განხორციელებისას საჭირო რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის,მასწავლებლის მიერ გაცემული უკუკავშირი კი ხელს უწყობს მიმღებლობით და მხარდამჭერი გარემოს შექმნას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა-მასწავლებლები მომავალში გეგმავენ უფრო მრავალფეროვან აქტივობებს და პროექტებს, რაც დაეხმარება მოსწავლეებს მხარდამჭერი და მიმღებლობითი უნარების განვითარებაში, სასწავლო პროცესი კი უფრო პოზიტიური და მეგობრული იქნება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ტექნოლოგიები- სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია კოლეგიალური თანამშრომლობის კულტურა, რაც გამოიხატება საგნობრივ კათედრებზე დაგეგმილი მრავალფეროვანი აქტივობებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთან ინტერვიუდან გამომდინარე მოსწავლეს ყოველთვის სთავაზობდა მხარდამჭერ და მიმღებლობის გარემოს. ითვალისწინებდა მათ ინტერესებს და სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სპორტულ აქტივობებს. რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობის და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად. სამომავლოდ სკოლა გეგმავს შეიმუშავოს მოსწავლეებისთვის ახალი მრავალფეროვანი აქტივობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. ესთეტიკის კათედრა ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრასთან გასაუბრების დროს მასწავლეებთან ჩართულობის დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს შორის ურთიერთთანამშრომლობის დონე საკმაოდ მაღალია, ისინი ითვალისწინებენ ერთმანეთის მოსაზრებებს და ერთ კონკრეტულ მიმართულებამდე მიდიან და მკაფიოდ აღნიშნავენ რომ მოსწავლე მათთვის პრიორიტეტია და მაქსიმალურად ზრუნავენ და ქმნიან მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი.კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ისინი ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირსა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებს.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სახელმწიფო ენა- .სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე და მის შესაძლებლობებზე, სკოლა ზრუნავს ხელი შეუწყოს მოსწავლის თანამშრომლობითი უნარების განვითარებას, ჩართულობას და თვითრეალიზებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. სკოლა ზრუნავს თანასწორობის პრინციპებზე აგებული უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მოსწავლეებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, რაც ქმნის ეფექტურ გარემოს მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებისათვის. სკოლა დაწყებით საფეხურზე მომავალი წლიდან გეგმავს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უფრო მრავალფეროვანი აქტივობებისა და პროექტების შემუშავებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სკოლის დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს ,რომ ყველა მოსწავლეს აძლევენ საშუალებას ჩაერთონ სასწავლო პროცესში თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით,რაც მათ მაქსიმალურად გამოვლენის და თვითრეალიზაციის საშუალებას აძლევს მოსწავლეს ,ასევე იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს , შეფასებისათვის სხვადასხვა ინსტრმენეტებს, რათა დაინახონ თითოეული მოსწავლის პროგრესი. მათ მიერ შექმნილი კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმის და განვითარების დანახვის შესაძლებლობას, ზრუნვასა და მხარდაჭერეზეა აგებული, ეს კი დადებითად აისახება მოსწავლის თვითრეალიზებაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციაში კარგად ჩანს, რომ საგანმანათლებლო გარემო უზრუნველყოფს თითოეული ბავშვის აქტიურ ჩართულობას და მისი შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებას საგანმანათლებლო პროცესის ყველა ეტაპზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა- წამოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით, დგინდება, რომ მასწავლებლები ორიენტირებულები არიან თითოეული მოსწავლის საჭიროებაზე. პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. ესთეტიკის კათედრა ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის არის უწყვეტი კომუნიკაცია, მოსწავლეებს სისტემატიურად მიეწოდებათ უკუკავშირი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ტექნოლოგიები- სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. განხორციელებული აქვთ სხვადასხვა სახის პროექტები, კომპლექსური დავალებები, გათვალისწინებული აქვთ სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიან სასწავლო გეგმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელშიც ასახულია მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემო და ასევე თავისთავში მოიაზრებს განმავითარებელი შეფასებასაც. ფიზიკური აღზრდის პედაგოგები ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის მიერ შექმნილ კურიკულუმებზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმებში შერჩეული საკითხები სრულად შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას. სასწავლო პროცეში ჩართულია ყველა მოსწავლე. მათ აქვთ საკუთარი მოსაზრებების თავისუფლად გამოთქმის შესაძლებლობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კარგად ჩანს,რომ კათედრებზე და გაერთიანებების წევრთა შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, რაც მნიშველოვანია სკოლის წარმატებისათვის.ამის კარგი მაგალითია მაგ; სკოლის პრაქტიკაში დანერგილი აქტივობა ,,კრიტიკული მეგობარი,,სადაც ურთიერთდასწრების საფუძველზე ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და აძლევენ ეფექტურ უკუკავშირს. სკოლა სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში განსაზღვრავს თანამშრომლობის ფორმებს, მასწავლებლებს, სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის,შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები, საგნობრივ ოქმებში განსაზღვრული პირობა, რომ მოხდება ყველა დავალების პირობის სრულყოფა, შესაბამისად კომპლექსური დავალების განხორციელება საკლასო ოთახში შექმნის თანამშრომლობაზე ორიენტირებულ გარემოს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მათ მიერ შექმნილი კურიკულუმები ამაზე მეტყველებს. შერჩეული თემები, საკითხები სრულად შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს ძლიერი მხარეების განავითარებაში,ასევე, ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სახელმწიფო ენა- სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობასა და გუნდურობაზე, სასკოლო საზოგადოების წარმატებას ერთობლივი მუშაობა, გუნდურად პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, გამოცდილების გაზიარება წარმოადგენს. კერძოდ, კათედრების წევრების ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღება, სასწავლო ჯგუფებში საერთო პრობლემებზე მსჯელობა, გაკვეთილების ერთობლივი დაგეგმვა, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, „კრიტიკული მეგობრის“ რჩევების მიღება და გაზიარება. სკოლას მაგალითად მოჰყავს მეორე კლასში ერთობლივად დაგეგმილი და ჩატარებული გაკვეთილი თემაზე: ,,მეფე და მხატვარი“, რომლის ჩატარების შემდგომ შეხვედრის დროს გაანალიზდა გაკვეთილის ძლიერი და სუსტი მხარეები და იმსჯელეს პრობლემების დაძლევის სტრატეგიებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კარგად ჩანს (ესგ, კათედრის ოქმი,შეფასების რეუბრიკები,ხარისხის ჯგუფის ოქმი) ,რომ კათედრებზე და გაერთიანებების წევრთა შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, რაც მნიშველოვანია სკოლის წარმატებისათვის.ამის კარგი მაგალითია მაგ; სკოლის პრაქტიკაში დანერგილი აქტივობა ,,კრიტიკული მეგობარი,,სადაც ურთიერთდასწრების საფუძველზე ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და აძლევენ ეფექტურ უკუკავშირს. სკოლა სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში განსაზღვრავს თანამშრომლობის ფორმებს, მასწავლებლებს, სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის,შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები, საგნობრივ ოქმებში განსაზღვრული პირობა, რომ მოხდება ყველა დავალების პირობის სრულყოფა, შესაბამისად კომპლექსური დავალების განხორციელება საკლასო ოთახში შექმნის თანამშრომლობაზე ორიენტირებულ გარემოს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

უცხოური ენა- წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები- სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სადაც ნაჩვენებია ინტეგრირებული გაკვეთილები, სასკოლო პროექტები, გაკვეთილებზე ურთიერთ დასწრება, ადასტურებს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სკოლაში დამკვიდრებული გამოცდილება პედაგოგების თანამშრომლობის სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, სკოლაში ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება , მშობლებს აქვთ შესაძლებლობა დაესწრონ სკოლის დაწყებით საფეხურზე ჩატარებული სპორტულ ფესტივალებს. სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებას, პროექტ ული სწავლების გამოყენებით, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე ირკვევა, რომ მასწავლებლები კათედრებზე აქტიურად თანამშრომლობენ სასკოლო კურიკულუმის განვითარებაზე. სისტემატურად ხდება პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ურთიერთდახმარება. კათედრაზე ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, ეწყობა ღია გაკვეთილები (მაგალიტად მესამე კლასში თემატურ ბლოკში „ეთნოგრაფია და მუსიკა“). ეს ხელს უწყობს კათედრაზე პოზიტიური სამუშაო გარემოს შექმნას, რაც დადებითად მოქმედებს სასწავლო პროცესზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას;სასკოლო საზოგადოება არის კოლეგიალური, სასკოლო საზოგადოებას შორის არის აქტიური კომუნიკაცია, რაც სკოლის განვითარების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სასწავლო პროცესში მასწავლებლები ინტენსიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან, კათედრის წევრებთან,მოსწავლეთა თვითმმართველობასთან. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი და დინამიური. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სახელმწიფო ენა- სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას, ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობას, რომელიც მოიცავს აკადემიურ და პიროვნულ ზრდას, ზრუნვას, პატივისცემას, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობას და მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- პოზიტიური სასკოლო კლიმატი გულისხმობს ძლიერ თანამშრომლობით კავშირებს სასკოლო საზოგადოებას შორის, გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას, ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობით კავშირებს, რომელიც მოიცავს აკადემიურ და პიროვნულ ზრდას, ზრუნვას, პატივისცემას, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობას და მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. მაგალითად დაწყებითი კლასის მოსწავლეებმა ერთობლივად შექმნეს გაკვეთილზე ქცევის წესები, რომელიც დაფუძნებულია ურთიერთ პატივისცემაზე, მორალურ ღირებულებაზე, ჩართულობის შესაძლებლობაზე, რაც უქმნით მიკუთვნებულობის განცდას. გასაუბრების დროს შესამჩნევი იყო მასწავლებლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება. კათედრა თანამშრომლობს ერთმანეთთან , ატარებენ საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებებს, ჩართულები არიან სხვადასხვა პროექტებში და მოსწავლეებიც დიდი ინტერესით ერთვებიან ასეთ აქტივობებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა- კათედრის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. მასწავლებელი მოსწავლეს აღიქვამს, როგორც ინდივიდს თავისი სურვილებითა და ინტერსებით. მოსწავლე თავისუფლად გამოთქვამს საკუთარ აზრს, სვამს მისთვის საინტერესო კითხვებს. სასწავლო პროცესში მოსწავლეები და მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან რესურსებს და ამკვიდრებს ურთიერთობის წესებს ჯანსაღი ატმოსფეროს შესაქმნელად. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები- სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს, როგორც სასკოლო, ასევე საკლასო გარემოს ფორმირება, რასაც ახორციელებენ მასწავლებლები, დამრიგებლები, მთლიანად სკოლის გუნდი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-სკოლაში სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. თუმცა აქვს გაუმჯობესების მეტი მზაობა . სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის გასაუბრებიდან გამომდინარე ყოველთვის ატარებდნენ სპორტულ საკლასო და სასკოლო ღონისძიებებს . ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცესს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- სასწავლო პროცესში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული, ღია, მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. კათედრასს აქვს მზაობა იმისა,რომ ერთობლივად დაგეგმონ გაკვეთილები, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება. დაესწრონ ერთმანეთის გაკვეთილებს და გასცენ პოზიტიური უკუკავშირი. მასწავლებლებთან გასაუბრებისა და დოკუმენტაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ გაქვეთილზე ქცევის წესები მოსწავლეებთან ერთად იქმნება, მოსწავლეებს აქვთ არჩევანი განახორციელონ და წარადგინონ კომპლექსური დავალებები მათთვის სასურველი ფორმით, გამოთქვან საკუთარი არგუმენტირებული მოსაზრებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლაში შეინიშნება პოზიტიური დამოკიდებულება, მაღალ ნიშნულზეა მოსწავლის შესაძლებლობები და მათი ნებელობა, კომპლექსური დავალებებზე მუშაობა ხდება მათი უმალოდ ჩართულობით, მკაცრად არის დაცული მათი მოტივაცია, შესაძლებლობები და არჩევანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-სასწავლო პროცესში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული პოზიტიური და მიმღებლობითი გარემო.მასწავლებლებმა, პირისპირ ინტერვიუს დროს აღნიშნეს , რომ მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სადამრიგებლო პროგრამები;
- სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- შეფასების მასალები;
- სკოლის შინაგანა წესი.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

სახელმწიფო ენა- სკოლა 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისისთვის გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების გეგმის შემუშავებას. მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად სასწავლო წლის განმავლობაში. მონაცემების მიზნობრიობა, მათი შეგროვება და ვადების განსაზღვრა დაეხმარება სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას. მომავალი წლიდან სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით მასწავლებლები შეავსებენ თვითშეფასების რუბრიკას, რომლის საშუალებითაც დაადგენს, თუ რატომ იყვნენ ან არ იყვნენ მოსწავლეები ჩართული კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში, რამ იმუშავა კარგად, რამ დააბრკოლა მოსწავლეთა ჩართულობა, რაც დაეხმარება მომდევნო სასწავლო წლისთვის ეფექტიანი კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- სკოლასში ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება. სასწავლო პროცესის, აგრეთვე კურიკულუმით განსაზღვრულ მონიტორინგს ახორციელებენ საგნობრივი კათედრები, დირექცია და საგნობრივი ექსპერტები. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს საგნობრივი ქოუჩების მხარდაჭერა კურიკულუმის შემუშავების დროს. სკოლას აქვს მზაობა პერიოდულად მოახდინონ მონიტორინგი და შეფასება. სკოლა სამომავლოდ გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების ეფექტური მექანიზმის შექმნას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა- სკოლას დაწყებული აქვს მომავალი სასწავლო წლისთვის მონიტორინგისა და შეფასების ეფექტური მექანიზმის შექმნას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია კოლეგიალური თანამშრომლობის კულტურა, რაც გამოიხატება საგნობრივ კათედრებზე დაგეგმილი მრავალფეროვანი აქტივობებით.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-სკოლაში კურიკულუმით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები საჭიროებს სრულყოფას, სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკუმებისა და განხორცილებულ აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას. რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. რომელიც ნათლად არ ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციებში**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ესთეტიკის კათედრაზე ინტენსიურად იწარმოებს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება. პედაგოგები ერთმანეთს სისტემატიურად უზიარებენ კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებიდან მიღებულ გამოცდილებას და ერთად გეგმავენ ინტერვენციებს კურიკულუმის გასაუმჯობესებლად. მომავალ სასწავლო წელს კათედრა გეგმავს სწავლების ხარისხის მონიტორინგს, მოსწავლეების შედეგების კვლევას და ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვას. მათ შორის, თვითშეფასების რუბრიკას მატრიცისა და დაგეგმილი სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად, ასევე ყოველ სემესტრში დიაგნოსტიკურ შეფასებას (პირველი ინსტრუმენტის საფუძველზე), რაც ხელს შეუწყობს კურიკულუმის განვითარებასა და სასწავლო პროცესის განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები-
სკოლასში ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება. სასწავლო პროცესის, აგრეთვე კურიკულუმით განსაზღვრულ მონიტორინგს ახორციელებენ საგნობრივი კათედრები, დირექცია და საგნობრივი ექსპერტები. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს საგნობრივი ქოუჩების მხარდაჭერა კურიკულუმის შემუაშავების დროს. სკოლას აქვს მზაობა პერიოდულად მოახდინონ მონიტორინგი და შეფასება. სკოლა სამომავლოდ გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების ეფექტური მექანიზმის შექმნას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- 2023-2024 სასწავლო წლისთვის საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი,ხოლო შეთავაზებული 4 სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტიდან შეირჩა მეორე ინსტრუმენტი. პედაგოგებმა ერთმანეთთან შეთანხმებით დაგეგმეს მოსწავლეთა სადიაგნოსტიკო შეფასება ჩატარდეს ქიმია, ფიზიკასა და ბიოლოგიაში ყველა კლასში წელიწადში ერთჯერ;მიღებული შედეგებზე დაყრდნობით მონაცემების დამუშავება იგეგმება საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებისა და სკოლაში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სახელმწიფო ენა- დაწყებითი საფეხურის კათედრაზე ტარდებოდა ურთიერთდასწრების გაკვეთილები. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილ პრაქტიკას, აკვირდებოდნენ სასწავლო პროცესს, იღებდნენ ერთმანეთისგან უკუკავშირს, მსჯელობდნენ იმაზე, თუ რა უნდა გაეთვალისწინებინათ სამომავლოდ. 2023-2024 წლიდან სკოლა გეგმავს უფრო აქტიურად დანერგოს ურთიერთდასწრების პრაქტიკა. ასევე, სკოლაში განსაზღვრულია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც ვალდებულია მასწავლებელთა საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებასა და შეფასებაზე, რაც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა- სკოლის დაწყებით საფეხურის კათედრის წევრებს აქვთ ურთიერთდასწრების გამოცდილება USAID საბაზისო განათლების მხარდამჭერი პროგრამის ,,ჯიპრაიდისა'' და სკოლის ფარგლებში, კერძოდ მათემატიკისა და ქართულის დაწყებითი კლასების მასწავლებლები ესწრებოდნენ საგაკვეთილო პროცესს. USAID დაწყებითი განათლების პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, ჩატარდა ლიდერი მასწავლებლების საკლასო დაკვირვება. დაკვირვების შემდეგ მასწავლებელი ქოუჩებისგან/ტრენერისგან მიიღეს უკუკავშირი, რომელიც არის მასწავლებლის საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული განვითარების ერთერთი ყველაზე ეფექტური გზა. ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილ პრაქტიკას და ახდენდნენ დაკვირვებას და მსჯელობდენ იმაზე, თუ რა უნდა გაეთვალისწინებინათ სამომავლოდ. 2023-2024 წლიდან დაიგეგმა უფრო აქტიურად დანერგონთ ურთიერთდასწრების პრაქტიკა. ასევე სკოლაში განსაზღვრულია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელთაც ევალდებულებათ მასწავლებელთა საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება და შეფასება, რაც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა- კათედრის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა. შესაბამისად, წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით იგეგმება პრობლემების იდენტიფიცირება, წარმატების გაზომვა და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ტექნოლოგიები - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სადაც ნაჩვენებია ინტეგრირებული გაკვეთილები, სასკოლო პროექტები, გაკვეთილებზე ურთიერთ დასწრება, ადასტურებს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის სპორტისა კათედრასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ სკოლაში ხდება ფიზიკური აღზრდის გაკვეთილზე დასწრება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ რეფლექსიის შედგენა. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. იკვეთება რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით. ფიზიკური აღზრდის პედაგოგები ჩართული არიან აღნიშნულ პროცესში. რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრაზე სისტემატიურად მოხდება ურთიერთდასწრება, შემდეგ კი გაიცემა უკუკავშირი და რეკომენდაციები. აქედან გამომდინარე ახალი მიზნების დასახვა მოემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; კათედრის წევრები აქტიურად დაესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, განახორციელებენ მონიტორინგს, ერთმანეთს შესთავაზებენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- მასწავლებლებთან პირად საუბარში გაირკვა,რომ სკოლა და საბუნებისმეტყველო კათედრა სერიოზულად მუშაობს ამ მიმართულებით, გეგმავს მასწავლებელთა მხარდაჭერასა და დახმარებას, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და ხელშეწყობას. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; კათედრის წევრები ინტენსიურად დაესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, განახორციელებენ მონიტორინგს, ერთმანეთს შესთავაზებენ განვითარებაზე ორინტირებულ კონსტრუქციულ უკუკავშირს.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სახელმწიფო ენა- სკოლას გააზრებული აქვს, რომ მონიტორინგი და შეფასება ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებას. მუშაობის მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება კათედრებს, სკოლას საშუალებას მისცემს, რომ გამოკვეთოს არსებული პრობლემები და დაგეგმოს ამ პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობები. ახალ სასწავლო წელს სკოლა დაწყებით საფეხურზე გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- მუშაობის მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება კათედრებს, სკოლას საშუალებას მისცემს, რომ გამოკვეთოს არსებული პრობლემები და დაგეგმოს ამ პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობები. მონიტორინგის მეთოდოლოგია განსაზღვრულია სტრატეგიულ და სამოქმედო გეგემებში და პასუხობს კითხვებს: რა პრობლემის გადაჭრას ცდილობს კურიკულუმი, რა არის მისი მიზანი? ვერიფიკაციის მექანიზმი ემსახურება მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დახვეწას , გამოვლენილი სირთულეების გაანალიზებას . დაწყებითი კლასების მათემატიკის მასწავლებლები , პრობლემის მონიტორინგისა და შეფასების შემდეგ გეგმავს კონკრეტულ ნაბიჯებს მომდევნო სასწავლო წლისთვის.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა- მომავალი სასწავლო წლიდან კათედრა გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავებას, რომელიც დაეხმარება სასწავლო პროცესი ეფექტიანად წარმართვაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები - სკოლაში დაგეგმილია მონიტორინგის პროცესი, როგორც პრობლემის გადაჭრის ერთერთი გზას/საშუალება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-3. სკოლის პრობლემების მონიტორინგის და შეფასების განსაზღვრის იდენტიფიცირების შემდეგ, სკოლა გეგმავს 2023- 2024 სასწავლო წლისათვის შეიმუშაოს მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია და დაწყებით საფეხურზე ახალი კურიკულუმების დანერგვასთან ერთად მონიტორინგს და შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. სამომავლოდ უმჯობესი იქნება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - პედაგოგებს აქვთ გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად დაგეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. კერძოდ, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლებს ერთობლივად გეგმავენ პრობლემების გადაჭრის გზებს. მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს შეიმუშავოს დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტების შემუშავებასა და დანერგვას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლას გააზრებული აქვს, რომ მონიტორინგი და შეფასება ხელს უნდა უწყობდესს სკოლის დაგეგმვას, გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას.. მუშაობის მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება კათედრებს, საშუალებას მისცემს, რომ გამოკვეთოს არსებული პრობლემები და დაგეგმოს ამ პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობები. ახალ სასწავლო წელს სკოლა დაწყებით საფეხურზე გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმები;
- განხორციელებული შეფასების ანალიზი.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

სახელმწიფო ენა- სკოლას გააზრებული აქვს, რომ მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემა ეყრდნობა მოსწავლეზე ინფორმაციის შეგროვების მრავალფეროვან წყაროებს, რომ ჰოლისტური შეფასება დაეხმარება, მოსწავლე დაინახოს და შეაფასოს მრავალი კუთხით, დაინახოს მისი საჭიროებები და მიღწევები კონკრეტული უნარების მიმართულებით. სკოლა გეგმავს მომავალი წლიდან მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემის გაძლიერებას, შეგროვილი ინფორმაციის დოკუმენტირებას, რათა უკეთ შეძლოს მიმოხილვა და ანალიზი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- .მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე, არამედ, მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით. სკოლა გეგმავს მომავალი წლიდან მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემის გაძლიერებას. შეგროვილი ინფორმაციის დოკუმენტირებას, რათა უკეთ შევძლოთ მიმოხილვა და ანალიზი.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა-. კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეების შეფასება ხორციელდება არა მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტით, არამედ, კომპლექსური დავალების მიმდინარეობის პერიოდში, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით. სკოლა გეგმავს მომავალი წლიდან მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემის გაძლიერებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ტექნოლოგიები - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეების შედეგების, შემაჯამებლების ანალიზს და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით გეგმავენ შემდგომ ინტერვენციებს. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სამომავლოდ გეგმავენ აღნიშნული მიმართულებით მუშაობის გაძლიერებას და კურიკულუმში შეფასებისა და მონიტორინგის მდგრადი მექანიზმის უზუნველყოფას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-სკოლის დაწყებითი საფეხურის ფიზიკური აღზრდის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას, ფიზიკური აღზრდის პედაგოგის ინტერვიუდან გამომდინარე საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რომელიც მიმართულია მოსწავლის დადებითი მხარის წარმოსაჩენად და რჩევების ზუსტად და გასაგებად მიცემაში, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას და სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესებას. შემდგომში სასურველია სკოლამ განმავითარებელი შეფასების გადამუშავების დროს და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - კათედრას გაცნობიერებული აქვს ჰოლისტური შეფასების მნიშვნელობა და ის ფაქტი, რომ შეფასება უნდა მოხდეს მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით. მოწოდებულ დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ესთეტიკის კათედრაზე მოსწავლეთა შეფასება მოხდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი (მე-5 და მე-6 კლასები) შეფასებებით. ქოუჩინგის პროცესში უკვე შექმნილი სანიმუშო განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით თითოეული თემის ფარგლებში პედაგოგები შექმნიან განმსაზღვრელ და გამნავითარებელ შეფასების რუბრიკებს, შექმნიან და განახორციელებენ თვითშეფასების რუბრიკებს და ასევე აწარმოებენ მოსწავლეთა დაკვირვებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლას იაზრებს , რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის წინაპირობასა და ფაქტორებზე დაყრდნობით, რაც დაეხმარება მოსწავლის საჭიროების იდენტიფიცირებაში, მისი უნარების გამოვლენაში, რაც მისცემს უფრო ეფექტურად და მოსწავლის შესაძლებლობებზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის დაგეგმვის საშუალებას. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს ჰოლისტური შეფასების სქემის დახვეწას, რომელიც უფრო გააუმჯობესების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- კათედრა გეგმავს შეფასება მოახდინოს მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით; ამ საკითხზე მსჯელობენ და მუშაობენ კათედრის წევრები,რათა ახალი სასწავლო წლისთვის შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე ორიენტირებული და მორგებული გახდეს.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სახელმწიფო ენა- სკოლას გააზრებული აქვს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის წინაპირობასა და ფაქტორებზე დაყრდნობით, რაც დაეხმარება მოსწავლის მრავალი კუთხით იდენტიფიცირებაში, მისი უნარების გამოვლენაში, რაც მისცემს უფრო ეფექტურად და მოსწავლის შესაძლებლობებზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის დაგეგმვის საშუალებას. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს ჰოლისტური შეფასების სქემის დახვეწას, რომელიც უფრო გაუმჯობესებს მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის წინაპირობასა და ფაქტორებზე დაყრდნობით ,რაც საშუალებას გვაძლევს მოსწავლის მრავალი კუთხით იდენტიფიცირებას. გამოვავლინოთ სასწავლო პროცესში გამოყენებული მისი სხვადასხვა უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, პასუხისმგებლობა, არგუმენტირება, მსჯელობა, პრეზენტირება, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენება. სკოლის დოკუმენტაციაში დევს შესაბამისი აქტივობების შეფასების რუბრიკები. გასაუბრების დროს გაირკვვა, რომ მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა- კათედრაზე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები დახვეწის პროცესშია, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მრავალმხრივი მიმართულებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები - სკოლას კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში, ზოგადად აქვს წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგის და შეფასების პროცედურები. ამ დოკუმენტის თანახმად, კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით და სკოლის ინსტიტუციური განვითარებასთან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებასთან მიმართებით. შესაბამისად, სკოლა შედეგების ანალიზს ამ მიმართულებით გამოიყენებს. ასევე გასაუბრებიდან დადგინდა, რომ პედაგოგები ხედავენ ურთიერთდასწრებების და ე.წ. კრიტიკული მეგობრის პრაქტიკის მნიშვნელობას, რომელიც ეხმარება მათ საკუთარ პრაქტიკას დააკვირდნენ, გაანალიზონ და გაითვალისწინონ სამომავლოდ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-2. სკოლაში შეფასების რუბრიკები ფიზიკური აღზრდაში საჭიროებს დახვეწას და განვითარებას და რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება შეფასება მრავალი კონტექსტის გამოყენებით, რაც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გამოიკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შეფასებისას მათი შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინება, რის მზაობასაც გამოხატავს სკოლა **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, ინტერესები და შესაძლებლობები. განმავითარებელი შეფასება ძირითადად ვერბალურია და დაეხმარება მოსწავლეს სირთულეების დაძლევაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სამომავლო პერსპექტივებად კათედრა დაწყებით საფეხურზე განიხილავს მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენებას, შეფასებების რუბრიკების გამოყენებას, მოსწავლეების შესაძლებლობასა და საჭიროებებზე მორგებულ აქტივობებს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- კათედრა გეგმავს კომპლექსური დავალებებით სწავლებას, რათა შეძლონ მრავალფეროვანი კონტექსტის გამოყენება, აგრეთვე მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა,რომ საგაკვეთილო პროცესი განხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით(ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია, მოსწავლეზე დაკვირვება). შესაბამისად შეფასებაც წინასწარ შექმნილი შეფასების რუბრიკების საშუალებით განხორციელდება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3 შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

სახელმწიფო ენა- 2023 – 2024 სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს სასწავლო პროცესის ჰოლისტურად, მრავალი კუთხით შეფასებას, მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას, რაც მასწავლებელს გაუადვილებს მოსწავლის შეფასების პროცესს და დაანახებს მის მიღწევებსა და საჭიროებებს მრავალი კუთხით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვება მასწავლებლების, ასევე ხარისხის მართვის წევრებისა და დირექციის მეშვეობით. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები; სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მასწავლებელთა მიერ შეფასებისას გამოყენებული სხვადასხვა მეთოდები მაგ: დისკუსია, ექსპერიმენტი, ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, დისკუსიის შეფასებები. რასაც ადასტურებს სკოლაში ესგ-ზე დაყრდნობით შემუშავებული სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკებს და რაზეც პედაგოგებმა ისაუბრეს ინტერვიუს დროს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა- კათედრაზე იგეგმება სასწავლო პროცესის ჰოლისტურად, მრავალი კუთხით შეფასება, მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, რაც მასწავლებელს გაუადვილებს მოსწავლის შეფასების პროცესს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები - კათედრაზე მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მომავალშიც იგეგმება სასწავლო პროცესის ჰოლისტურად, მრავალი კუთხით შეფასება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსზღვრის მიზნით შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. .შესაბამისად 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება ფიზიკურ აღზრდაში სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით კათედრაზე დაგეგმილია სემესტრულად პირველი სადიოაგნოსტიკო ინსტრუმენტის გამოყენება. ასევე შეიქმნება განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლის მიხედვითაც ესთეტიკის კათედრის მასწავლებლები შეძლებენ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების უკეთ დადგენას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეფასებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

საზოგადოებრივი მეცნიერებები-საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა შეფასების სადიაგნოსტიკო შეფასების მეორე ინსტრუმენტზე შეჯერდა, მათ კათედრაზე დაგაწყვიტეს რომ მათი მოსწავლეების ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით უპირატესობა ენიჭება მეორე ინსტრუმენტს რაც გულისხმობს მოსწავლეებისთვის 45-90 წუთის ვადაში სადიაგნოსტიკო ტესტზე მუშაობას, შესაბამის რესურსებზე დაყრდნობით, კათედრა გეგმავს ჰოლისტური შეფასების ინსტრუმენტების დაგეგმვას, რაც მოსწავლეების შესაძლებლობის იდენტიფიცირებას მოახდენს, მასწავლებელი სამომავლოდ მოსწავლეების შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით იმუშავებს.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით საბუნებისმეტყველო კათედრა გეგმავს განახორციელოს სადიაგნოსტიკური შეფასების მე-2 ინსტრუმენტი „საკლასო წერა"-ის გამოყენებას; ასევე შექმნას და გამოიყენოს განმსაღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლის მიხედვითაც შეძლებენ დაადგინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, რაც უზრუველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეფასებას.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სახელმწიფო ენა- სკოლა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების შეფასებისას ითვალისწინებს მათს მრავალმხრივ უნარებს, რაც აძლევს მოსწავლეებზე მორგებული სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგმვის საშუალებას, ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა- სკოლის მიერ შეფასება წარმოებს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს ,რომ სკოლის პარალელური კლასები საგნების მიხედვით იყენებენ ერთნაირ კომპლექსურ დავალებებს, თუმცა კლასის საჭიროებებიდან გამომდინარე ახდენენ მათ მოდიფიცირებას და შესრულებულ დავალებას აფასებენ შესაბამისი შეფასების რუბრიკით. ასევე ამ ფაქტორებს ითვალისწინებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების დროს.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

უცხოური ენა- კათედრაზე მიმდინარე სასწავლო წლისთვის იგეგმება მოსწავლეთა შეფასების დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენება, სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორების გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭება განმავითარებელ შეფასებებს, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები- სკოლის მიერ მოწოდებული კურიკულუმის მიხედვით, ნათლად ჩანს თუ როგორ აპირებენ კომპიუტერულ ტექნოლოგიებში შეფასების წარმოებას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები მოსწავლეთა შეფასებისას ძირითადად იყენებენ განმავითარებელი შეფასებებს და სიტყვიერ კომენტარებს, შეფასებები ხდება საჭიროებებსა და მიღწევებში შესაბამისად, მაგრამ ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგებს დასახვეწი აქვს შეფასებები, რომელიც სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით მოხდება მომავალ სასწავლო წელს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით ესთეტიკის კათედრა გაითვალისწინებს სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორებს, ისეთებს როგორებიცაა მოსწავლეთა განწყობებსა და სასკოლო მზაობას, მათ უნარებსა და ინტერესებს, სასკოლო თემის მოლოდინებს სკოლის მიმართ, ხელისშემშლელი გარემოებები, მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში და ა.შ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა დაწყებით საფეხურზე გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს პროდუქტიული და მოიცვდეს სხვადასხვა მიმართულებას. შეფასება მიმართულია სხვადასხვა მიმართულებით: განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, მოსწავლეზე დაკვირვება, მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების დამუშავებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, კათედრა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს კომპლექსური და მოიცვას სხვადასხვა მიმართულება. შეფასება წარმართოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეზე დაკვირვება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმი.

შეფასება:

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

სახელმწიფო ენა- დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები მშობლებთან და მოსწავლეებთან განიხილავენ განვლილ სასწავლო წელს განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს, მათ ეტაპებს და საკითხებს, იგებენ, რომელმა მიდგომამ და მეთოდმა გაამართლა და რა საჭიროებს დახვეწას. ეს პროცესი მიმდინარეობს, უმეტესწილად, ზეპირსიტყვიერად. ამ მიმართულების დასახვეწად და გასაუმჯობესებლად 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისისთვის სკოლა გეგმავს შეიმუშაოს კურიკულუმების რევიზიის ინსტრუმენტი, რაც გააუმჯობესებს შეფასებისა და გადახედვის პროცესებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- სასწავლო წლის ბოლოს, საგნობრივი კათედრების მიერ ხდება სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული კურიკულუმის რევიზია და ანალიზი, რომლის ფარგლებშიც, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები, კათედრის წევრები, მშობლები და მოსწავლეები საუბრების და მსჯელობის მეშვეობით განიხილავენ განვლილ სასწავლო წელს განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს, მათ ეტაპებს და საკითხებს და შემდეგ, ამ მსჯელობის საშუალებით ვიგებთ რომელმა მიდგომამ და მეთოდმა გაამართლა და რა საჭიროებს დახვეწას. ამ პროცესების განხილვა ხორციელდება უმეტესწილად ზეპირსიტყვიერად საუბრების საშუალებით. გასაუბრებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს ჩატარებულ კომპლექსურ დავალებებზე და აღნიშნეს სხვადასხვა მიდგომები, რასაც იგივე კომპლექსურ დავალებებზე შეცვლიდნენ. 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისისთვის იგეგმება სკოლამ შეიმუშაოს კურიკულუმების რევიზიის ინსტრუმენტი, რაც გააუმჯობესებს შეფასების და გადახედვის პროცესებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა- კათედრას აქვს გამოცდილება და მომავალშიც გეგმავს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები - კათედრას აქვს გამოცდილება და მომავალშიც გეგმავს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-1.. კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის მიმართულებით როგორც ჩანს სკოლას მცირე გამოცდილება აქვს. თუმცა ქოუჩინგის შედეგად მღებული და არსებული გამოცდილების საფუძველზე სკოლამ სამომავლოდ 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისისთვის გეგმავს შეიმუშაოს შეფასების გადასინჯვის მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ესთეტიკური აღზრდა- პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე კათედრას არ აქვს კურიკულუმის განვითარების ა რევიზიის ინსტრუმენტი, თუმცა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება. კათედრის წევრები სისტემატიურად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილს, პოზიტიურ უკუკავშირს აძლევენ მასწავლებელს, ხარვეზის შემთხვევაში, აძლევენ რჩევებს და რეკომენდაციებს, წარმატებული აქტივობების შემთხვევაში, იზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას, ერთობლივად გეგმავენ მომავალ გაკვეთილებს.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- დაწყებით საფეხურზე მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება. კათედრის წევრები სისტემატიურად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილს, კონსტრუქციულ უკუკავშირს აძლევენ ერთმანეთს, ხარვეზის შემთხვევაში, აძლევენ რეკომენდაციებს, წარმატებული აქტივობების შემთხვევაში, იზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას, გეგმავენ მომავალ გაკვეთილებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება. კათედრის წევრები სისტემატიურად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილს, კონსტრუქციულ უკუკავშირს აძლევენ ერთმანეთს, ხარვეზის შემთხვევაში, აძლევენ რეკომენდაციებს, წარმატებული აქტივობების შემთხვევაში, იზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას, გეგმავენ მომავალ გაკვეთილებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

სახელმწიფო ენა- დაწყებით საფეხურზე სასწავლო წლის დასრულების შემდგომ განიხილება განხორციელებული კურიკულუმები. მოსწავლეებთან, მშობლებთან და პედაგოგებთან საუბრებში გამოკვთილი მიღწევებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას. კერძოდ, დადებით მხარეებს დანერგავს მომავალ კლასებშიც, ხოლო გამოვლენილი ხარვეზის გამოსასწორებლად განახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს, რაც გაუმჯობესებს სწავლა-სწავლების ხარისხს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

მათემატიკა- დაწყებითი საფეხურზე, მათემატიკის მასწავლებლები ერთად მუშაობენ კურიკულუმის შედგენისას. ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. ასეთი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია სრულ შესაბამისობაში იქნება ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა- კათედრაზე იგეგმება კურიკულუმის გაანალიზება და საჭიროებისამებრ გადამუშავება წინარე გამოცდილების გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები- სასწავლო წლის დასრულების შემდგომ იგეგმება განხორციელებული კურიკულუმების განხილვა. გამოკვთილი მიღწევებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. რომლებიც ითვალისწინებდნენ წინარე ცოდნის გამოცდილებას, ამის შედეგად სკოლის ფიზიკური აღზრდის 2023-24 სასწავლო წლის დაწყებითების კურუკულუმები რომლის რევიზიის მზაობასაც გამოხატავს სკოლა მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში სრულ შესაბამისობაში მოვა ახალი თაობის ე.ს.გ. მოთხოვნებთან.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ კათედრის მიერ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. რესურსი 12-ში მითითებულია თუ რა წინარე გამოცდილებას ფლობენ პედაგოგები და როგორ ცდილობენ პროცესების დახვეწასა და გამრავალფეროვნებას კომპლექსური დავალებებით, დიაგნოსტიკური წერებით, შეფასების რუბრიკებითა და სხვადასხვა აქტივობებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენაზე მიზნობრივად მუშაობენ საგნობრივი კათედრები. კათედრები ითვალისწინებენ კურუკულუმის განვითარების წინარე გამოცდილებას,დაწყებით საფხურზე მოხდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

კურუკულუმების რევიზია და მზაობასაც გამოხატავს სკოლა, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში სრულად დაამუშავებენ კურუკულუმს მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- კათედრა გეგმავს მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას გამოცდილების, მონიტორინგის შედეგების და შეფასების შედეგების გათვალისწინებით; მონიტორინგის აქტივობებს აკვირდება და მონიტორინგს უწევს სკოლაში არსებული ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაციის წევრები. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას მასწავლებლები გაითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

გადამუშავებული კურიკულუმები;

სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- ■ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სახელმწიფო ენა- კურიკულუმის განაცხადის წარდგენის ეტაპზე სკოლას არ ჰქონდა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, თუმცა საბაზო საფეხურზე სკოლა იყენებდა კურიკულუმის ძველ ჩარჩოს, რომელიც შემუშავდა სასკოლო საზოგადოების მიერ (საგნობრივი კათედრები, დირექცია ადმინისტრაცია). განაცხადის წარდგენის პერიოდისთვის კათედრამ შეიმუშავა საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო-პროექტის შაბლონი, რომელის საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბებას გეგმავს 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- მათემატიკაში, საბაზო საფეხურზე გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები . მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათემატიკის კათედრა ითვალისწინებს წინა წლის გამოცდილებას მომდევნო წლის კურიკულიმის დაგეგმვისას. წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები , მიგნებები , ანალიზის საფუძველი ხდება. რევიზიის შედეგად მიღებული შედეგების გათვალისწინებით გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმს. ირჩევენ ისეთ კომპლექსურ დავალებებს, რომლებმაც კარგად იმუშავა, მეტად გამოიწვია მოსწავლეების დაინტერესება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა -დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს უცხოური ენების კათედრის შემაჯამებელ ოქმად მოხსენიებული დოკუმენტი, რომელიც ჰოლისტურად გვიქმნის წარმოდგენას თუ როგორ გეგმავს სკოლა 2023-24 სასწავლო წლის წარმართვას. სწორედ ამ ოქმზე და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობითა შეიძლება დავასკვნათ, რომ უცხოური ენების კათედრას სასწავლო წლის კურიკულუმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

პროექტი/მაკეტი ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად აქვთ შემუშავებული და რომ მისი შექმნისას გაითვალისწინეს მოსწავლეთა ასაკის მიხედვით გათვალისწინებული ინტერესები.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- საბაზო საფეხურზე სკოლაში შემუშავებული კურიკულუმის მეთოდოლოგია მექანიზმები ზოგადად გაწერილია სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში და სკოლის თვითშეფასების ფორმის ნარა ტივში. აგრეთვე ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი ინტერვიუში ადასტურებს რომ კათედრალური კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, გათვალისწინებულია მოსწავლეების ინტერესები, ხდება მშობლებისთვის ინფორმაციის გაზიარებ. მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში კი შემუშავებული საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები დაიხვეწება შესაბამისი მეთოდოლოგიების მიხედვით. რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს; შემდგომში სასურველია სკოლამ მეტად ნათლად ასახოს წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კურიკულუმების შემუშავების მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ ესთეტიკის კათედრაზე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია მოიცავს წინა წლის კურიკულუმის განხორციელების პროცესის ანალიზსა და შეფასებას, მოსწავლეთა შედეგების ანალიზსა და ტიპიური საჭიროებების დადგენას, სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტების გათვალისწინებას. პედაგოგები კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში ერთმანეთთან თანამშრომლებენ, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას და ერთობლივად ქმნიან კურიკულუმებს მუსიკასა და ხელოვნებაში. კურიკულუმის შექმნისას პედაგოგები ითვალისწინებენ გრიფირებულ და დამხმარე სახელმძღვანელოებს, სხვა სასწავლო რესურსებს, განსაზღვრავენ, რომელ თემებს, საკითხებსა და ქვესაკითხებს ასწავლიან მომდევნო სასწავლო წელს, რა შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებებს იყენებენ თემის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად და რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები-საბაზო საფეხურზე მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ საზოგადოებრივ კათედრაზე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია მოიცავს წინა წლის კურიკულუმის განხორციელების პროცესის ანალიზსა და შეფასებას, მოსწავლეთა შედეგების ანალიზსა და ტიპიური საჭიროებების დადგენას, სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტების გათვალისწინებას. პედაგოგები კურიკულუმებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

მუშაობის პროცესში ერთმანეთთან თანამშრომლებენ, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას და ერთობლივად ქმნიან კურიკულუმებს გეოგრაფიის, მოქალაქეობის და ისტორიის მიმართულებით. კურიკულუმის შექმნისას პედაგოგები ითვალისწინებენ გრიფირებულ და დამხმარე სახელმძღვანელოებს, სხვა სასწავლო რესურსებს, განსაზღვრავენ, რომელ თემებს, საკითხებსა და ქვესაკითხებს ასწავლიან მომდევნო სასწავლო წელს, რა შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებებს იყენებენ თემის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად და რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. შეხვედრებზე მიმდინარეობს მსჯელობა მასწავლებლებს შორის კლასებისა და მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებზე. შესაბამისად, კურიკუმების შედგენის დროს იგეგმება, მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები. მშობლისა და მოსწავლის ინტერესები დადგენილ იქნა გამოკითხვის მეთოდით. მათი უკუკავშირების საფუძველზე არის დაგეგმილი რიგი აქტივობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სახელმწიფო ენა- საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კერძოდ, საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს. შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს. კათედრის წევრებთან და მშობლებთან იგეგმება შეხვედრები, სადაც არჩევენ კომპლექსურ დავალებებს მათი ინტერესების შესაბამისად. საგნობრივი კათედრა გეგმავს, მომავალი სასწავლო წლიდან უფრო მეტად გააქტიუროს მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ინტერესების დასადგენად მასწავლებლები იყენებენ კითხვარს. გამოკითხვის შედეგების ანალიზით დგინდება, რა ტიპის დავალებებია მათთვის სახალისო და რაზე გაუჭირდათ მუშაობა. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მასწავლებლები გეგმავენ გაწერონ შუალედური მიზნები. სკოლა გეგმავს, 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმში სრულად ასახოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

და შესაძლებლობები: მოსწავლეებს შესთავაზოს მრავალფეროვანი სასკოლო პროექტები, წაახალისოს მათი ინიციატივები, შესთავაზოს პრობლემაზე დაფუძნებული ისეთი კომპლექსური ტიპის დავალებები და პროექტები, რომლებიც შეიქმნება მათი ინტერესების, უკუკავშირის, თვითშეფასების, ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებების გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში საბაზო საფეხური ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, ამ პროცესს ხელს უწყობს წინასწარ დაგეგმილი შეხვედრები კათედრის წევრებთან და მშობლებთან, კომპლექსური დავალებების იდეები ისე აქვთ შერჩეული, რომ მოსწავლეთა ინტერესის სფეროს მოიცავს, მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა შედეგების ანალიზს, რა იყო მათთვის ყველაზე სახალისო და რაზე გაუჭირდათ მუშაობა, რისთვისაც იყენებენ წინასწარ შედგენილ თვითშეფასების კითხვარს. მოსწავლეთა ინტერესიდან გამომდინარე სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები. მაგ პროექტი სათაურით: „ გაACTიურდი“. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები-სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებზე დაყრდნობით, რომლებშიც ჩამოთვლილია თუ რა თემებისა და რა ქვეთავების გავალას აპირობენ ამა თუ იმ კლასში უცხოური ენის პედაგოგეგები, შეიძლება მივიჩნითო,რომ გასავლელი თემები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი მზაობისა და ინტერესების გათვალისწინებით. წლიური სამოქმედო გეგმა კი გვაწვდის ინფორმაციას, რომ მომდევნო -2023-24 სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას სკოლამ გაითვალისწინა მოსწავლეთა მიმდინარე სასწავლო წლის მიღწევები, რაც გაანალიზეს და შესაბამისი ცვლილებები განახორციელეს2023-24 წლის სასწავლო გეგმაში**. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- . ფიზიკური აღზრდის სპორტის პედაგოგებთან ინტერვუიდან .გამოიკვეთა სკოლის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში 2023-24 სასწავლო წლიდან დაგეგმილია არსებული რესურსებიდან გამომდინარე პრიორიტეტული თემების განსაზღვრა. ყველა კლასში ფიზიკური აღზრდის და სპორტისთვის თითოეული თემისთვის კომპლექსური დავალებების განხორციელება და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მომზადდება. კურიკულუმის შემუშავების და მოდიფიკაციის პროცესი ითვალისწინებს მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების აქტიურ ჩართულობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ესთეტიკური აღზრდა - კურიკულუმის შემუშავება გხორციელდება სკოლაში დასაქმებული მუსიკისა და ხელოვნების პედაგოგებისა აქტიური ჩართულობით. სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულ იქნება მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და ასაკობრივი თავისებურებები. გათვალისწინებულია მშობელთა ინფორმირებაც მშობელთა ბართების საშუალებით. კურიკულუმის შედგენისას გაანალიზებული იქნა წინა წლის ნამუშევრები. გარდა ამისა, მოსწავლეთა ინტერესების დასადგენად სკოლა გეგმავს თვითშეფასების კითხვარის გამოყენებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები-საბაზო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კურიკულუმი შედგენილია კათედრის წევრთა რეკომენდაციის, მშობელთა ინტერესებისა და მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით. საგნობრივმა კათედრებმა საბაზო საფეხურზე შექმნეს ახალი კურიკულუმების ჩარჩო, რომლშიც გათვალისწინებულია მასწავლებელთა და მოსწავლეთა მიღწევები და საჭიროებები. სკოლა გეგმავს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკურლუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების სრულად ჩართვას, კერძოდ, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას კომპლექსური დავალებების შერჩევისას, საბაზო საფეხურზე იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები; ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შესაბამისი საგნის მასწავლებლების მიერ კოლეგებთან (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებთან) თანამშრომლობით. კურიკულუმებში ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა განსაკუთრებით მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები, რაც დადგინდა მათი გამოკითხვის საშუალებით. კერძოდ, დაიგეგმა ახალი სასწავლო წლიდან ყველა კლასში კომპლექსური დავალებების დამატება, რისთვისაც პედაგოგები მოიძიებენ და მოამზადებენ მოსწავლეებისთვის საინტერესო კონტექსტ-მაგალითებს. თითოეულ კომპლექსურ დავალებას დაურთავენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სახელმწიფო ენა-საბაზო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, კურიკულუმი შედგენილია კათედრის წევრთა რეკომენდაციის, მშობელთა ინტერესებისა და მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით, თუმცა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

სასკოლო საზოგადოების სრულად ჩართვა შემოიფარგლებოდა მხოლოდ მათი ინფორმირებით. მშობლებს ელექტრონულად ეგზავნებოდათ შერჩეული კომპლექსური დავალებების მიხედვით შექმნილი ბარათები მშობლებისთვის. საგნობრივმა კათედრებმა საბაზო საფეხურზე შექმნეს ახალი კურიკულუმების ჩარჩო/ პროექტი, რომლებიც მოდიფიცირდება მასწავლებელთა და მოსწავლეთა მიღწევების, პრობლემების, საჭიროებების გათვალისწინებით. სკოლა გეგმავს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკურლუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების სრულად ჩართვას, კერძოდ, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას კომპლექსური დავალებების შერჩევისას, მათთვის მრავალფეროვანი სასკოლო პროექტების შეთავაზებას, მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებას. სკოლას გააზრებული აქვს, რომ ამგვარი მიდგომით სასკოლო საზოგადოებას გაუჩნდება მიკუთვნებულობის განცდა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- საბაზო საფეხურის კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების, კათედრის წევრების რეკომენდაციის და მშობლის ინტერესებიდან გამომდინარე. კურიკულუმში გამოცდილებაზე დაყრდნობით გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები, ინტერესის სფერო. რასაც ადასტურებს სკოლის დოკუმენტაციაში მოცემული კათედრების შეხვედრების ოქმები თავისი შინაარსით, ასევე მშობელთა კრებები და სხვა. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის კიდევ უფრო მეტად გააძლიერებენ სასკოლო საზოგადოების ჩართვას შემუშავების პროცესში და გამოკვეთენ მოსწავლეთა ინტერესებსა ,გამოწვევებს სწავლა- სწავლების პროცესში.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები-უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილმა ოქმა და ინტერვიუმ ცხადყო, რომ 2023-24 სასწავლო წლის კურიკულუმის დანართების შექმნაში უცხოური ენების ყველა პედაგოგი აქტიურად იყო ჩართული და რომ ახდენდნენ აზრთა ურთიერთ გაზიარებას/შეჯერებას მომდევნო სასწავლო წელს კი აპირებენ შეადგინონ კითხვარი, მოსწავლეთა/მშობელთა ბარათები რათა უზრუნველყონ კურიკულუმის დანართებში სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა.პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტისკოლაში მოხდა 7-9 კლასის ფიზიკური აღზრდის და სპორტის კურიკულუმების შემუშავება კათედრების მიერ. მომავალ სასწავლო წელს სკოლას გათვალისწინებული აქვს კურიკულუმის მონიტორინგთან დაკავშირებით სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტის დანერგვა. რაც ხელს შეუწყობს სრულად გამოვლინდეს სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის წევრებთან გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, საგნობრივი ექსპერტების რეკომენდაციების შესაბამისად. ესთეტიკური საგნების კურიკულუმების შემუშავება მოხდა კოლეგებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე. მუსიკისა და ხელოვნების კურიკულემებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, საჭიროებები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. მუსიკის საგანში ყველა კლასში თემების მიხედვით არის დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, ხელოვნების საგანში კი სასწავლო წლის დაწყებამდე მოხდება კომპლექსური დავალებების შერჩევა.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები-კათედრასთან შეხვედრის დროს და სკოლის თვითშეფასების ფორმიდან გამოიკვეთა რომ დამრიგებლებს აქვთ კომუნიკაცია მშობლებთან. სკოლის სოციალურ გვერდზე აქტიურად ქვეყნდება სხვადასხვა მათთვის საინტერესო ინფორმაციას, ამასთანავე სკოლა იყენებს კომუნიკაციისთვის საგანმანათლებლო პლატფორმები (Teams), ხშირია კათედრის წარმომადგენელებს შორის შეხვედრები, რაც გასაუბრებაზეც კიდევ ერთხელ დადასტურდა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია შესაბამისი საგნის მასწავლებლების მიერ კოლეგებთან (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებთან) თანამშრომლობით. მასში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, საჭიროებები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. ასევე კათედრა მომავალ სასწავლო წელს გეგმავს სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან და მეტად აქტიურად ჩართვას კურიკულუმის შემუშავების პროცესში.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სახელმწიფო ენა-საგნობრივი კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, სკოლის მოქმედი საგნობრივი კურიკულუმები ატვირთულია სკოლის onedrive-ზე, ასევე messenjer სასაუბროს საშუალებით ეგზავნებათ მშობლებს კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

დავალების ბარათები. სკოლა გეგმავს 2023-2024 სასწავლო წლისათვის საბაზო საფეხურზე სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის ხელმისაწვდომი და საჯარო გახადოს საგნობრივი კურიკულუმები. აღნიშნავს, რომ ამისთვის მას შეუძლია ნებისმიერი ფორმა და მისთვის რელევანტური საშუალებები გამოიყენოს, რომელთა დახვეწაზეც იზრუნებს, თუმცა არ საუბრობს ამ საშუალებებზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის გაზიარების ფორმად კათედრა იყენებს პირისპირ შეხვედრებსაც, რადგან ინტერნეტი ყველასათვის ხელმისაწვდომი არ არის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; **მათემატიკის** საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც მოქმედია განთავსებულია და გაზიარებულია სკოლის onedrive-ზე, ასევე messenjer ჩატების საშუალებით გაზიარებულია მშობლებთან ,,კომპლექსური დავალების ბარათები“ მშობლებისათვის. ახალი სასწავლო 2023-2024 სასწავლო წლისათვის დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომი და საჯარო იქნება სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისათვის. რაც გულისხმობს იმას, რომ ამისათვის სკოლა იყენებს მისთვის სხვადასხვა რელევანტური საშუალებებს; პირადი შეხვედრებით, სკოლის საინფორმაციო დაფით, საგანმანათლებლო პლატფორმები (Teams). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა-ამ ეტაპზე არ არის წარმოდგენილი რაიმე დოკუმენტი თუ როგორ ახდენენ უცხოური ენების პედაგოგები კურიკულუმის დანართების გაზიარებას სასკოლო საზოგადოებასთან. თუმცა, პედაგოგებთან ინტერვიუმ მიჩვენა,რომ მათ აქვთ გამოცდილება მშობელთა ბარათების მშობელთა კრებაზე გაზიარებისა და რომ მომდევნო სასწავლო წელსაც ანალოგიურად აპირებენ.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- კათედრასთან შეხვედრის დროს და სკოლის თვითშეფასების ფორმიდან გამოიკვეთა რომ დამრიგებლებს აქვთ აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან, რათა მუდმივად იყვნენ ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის სოციალურ გვერდზე აქტიურად ქვეყნდება სხვადასხვა მათთვის საინტერესო ინფორმაცია. კათედრა გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მიწოდებულ ფიზიკური აღზრდის და სპორტის კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოს. აღნიშნული ჩარჩო განხილული იქნა კათედრაზე, რომლის მიხედვითაც სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურისა და მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით შემუშავდა საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც კიდევ ერთხელ გადამუშავდება სასწავლო წლის დასაწყისი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ესთეტიკური აღზრდა- კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ინფორმაციის გაზიარება ხდება როგორც პირისპირ შეხვედრებზე, ასევე ონლაინ სივრცეში One Drive-ისა და Messenger-ის საშუალებით. მშობლებს ეგზავნებათ კომპლექსური დავალებების ბარათები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- კათედრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შემიძლია ვთქვა რომ, კათედრა იცნობს და სრულიად იაზრებს ექსპერტების მიერ მიწოდებულ დოკუმენტაციას, გააზრებული აქვთ კურუკულუმი,განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-ჩანს,რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, კათედრა გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მოწოდებულ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ კურიკულუმის ჩარჩოს. აღნიშნული კურიკულუმის ჩარჩო განხილული იქნა კათედრაზე, რომლის მიხედვითაც შემუშავდა ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის სასკოლო საგნობრივი კურიკულუმები. ეს დასტურდება მასწავლებელთან გასაუბრების შედეგებით.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2022-2023 სასწავლო წლის საგნების კურიკულუმები;
- ქიმიის - VIII და IX კურიკულუმები;
- ფიზიკის - VII, VIII და IX კლასების კურიკულუმები;
- ბიოლოგიის - VII, VIII და IX კლასების კურიკულუმები;
- მუსიკის VII, VIII და IX კლასების კურიკულუმები;
- ხელოვნების VII, VIII და IX კლასების კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სკოლის თვითშეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. - კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

სახელმწიფო ენა- საბაზო საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კერძოდ, წარმოდგენილი განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის აქტიურ ჩართულობასა და მის პიროვნულ განვითარებას. საბაზო საფეხურის მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება, გააანალიზონ განვლილი გზა და დაგეგმონ პროცესი მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- მათემატიკის კათედრაზე შემუშავებული საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს, არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დანერგვისა და განვითარების გზას, რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებში, კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

დავალებების იდეები, ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. ინტერვიურების დროს კარგად გამოიკვეთა მასწავლებლების სამომავლო ხედვა, სწორი აქცენტები გააკეთეს კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე, როგორც გრძელვადიანი მიზნის საშუალებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა-წარმოდგენელი კურიკულუმის ჩარჩოების/დოკუმენტაციის საშუალებით და ასევე ინტერვიუსას გაცემული პასუხებით, უცხოური ენის სწავლა-სწავლების პროცესზე პასუხისმგებელნი პირნი ჰოლისტურად გვიქმნინან წარმოდგენას, რომ მათ მიერ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე. იყენებენ რა პროექტული შინაარსის დავალებებს მოსწავლეებს აძლევენ შესაძლებლობას კეთებისა და კვლევის პროცესში თავდ მოახდინონ სწავლის კონსტრუირება, თუმცა სამწუხაროდ ასეთი დავალებები, უმეტესად ყველა კლასისთვის სემესტრში მხოლოდ ერთი აქვთ, მოსწავლეთა უწყვეტი განვითარებისათვის კი აუცილებელია/სასურველია ყველა თემაში ახდენდეს მასწავლებელი მოსწავლეთა დაინტერესებას რეალურ ცხოვრებასთანა ახლოს მყოფი , მოსწავლეთა ინტერესებისა და განვითარების უახლოეს დონესთან დაკავშირებული კომპლექსური/პროექტული შინაარსის მქონე დავალებებით.მაგრამ, შეიძლება ითქვას ,რომ დავალების ძირითადი საკითხები, რომლებსაც უცხოური ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია გვიჩვენებს (მაგალითად; მერვე კლასის 2023-24 სასწავლო წლისთვის გაწერილი კურიკულუმის ჩარჩო; „პოსტერი თემაზე “ My Summer Plans” და სხვა.)ცხადყოფს, რომ კათედრას აქვს მზაობა წარმართოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ჩართულობით, მათივე ინტერესების და მაზობისა შესაბამისად.თუმცა , მიმაჩნია, რომ აუცილებელ;ია მომდევნო სასწავლო წლისთვის წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში მკაფიოდ იკითხებოდეს რა კონტექსტ მაგალითზე დაყრდნობით მოახდენენ მოსწავლეები ცოდნის კონსტრუირებას ამა თუ იმ კომპლექსური დავალების ფარგლებში და თუ რომელ ქვეცნებებს /ქვესაკითხებს მიემართება კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი შუალედური მიზნები/კომპლექსური დავალებები.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-სკოლის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე, შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებისა და შესაძლებლობების გამოვლენაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ესთეტიკური აღზრდა - მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, ესთეტიკის კათედრა გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მოწოდებულ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ ჩარჩოს. შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები შეესაბამება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კურიკულუმი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, რაც წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით. კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპები, კერძოდ, გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა, ხდება სასწავლო მასალის ეტაპობრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ცნებების განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები-საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას საბაზო საფეხურზე, მიზნობრივადაქვთ კურიკულუმი შექმნილიმი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. კომპლექსური დავალებები ისე რომ მოსწავლეების გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებას შეუწყობს ხელს. დავალებების შესრულებისას გამოიკვეთება მოსწავლეების კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, რეალური პრობლემების გადაწყვეტა, ეფექტური კომუნიკაცია, შეძლებენ მოსწავლეები ცოდნის კონსტრუირებას.. პედაგოგებთან ინტერვიუსას გამოჩნდა, რომ ისინი ამუშაობენ პარალელურ კლასებშიც, შეიმუშავებენ ერთობლივ ხედვებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-საბუნებისმეტყველო კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას, მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში (ქიმიის VIII და IX კლასები,ფიზიკისა და ბიოლოგიის VII, VIII და IX კლასების) არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ძირითადად სწორად არის შევსებული სავალდებულო თემები,სამიზნე ცნებები და ქვეცნებები,შესაბამისი რესურსებით; ასევე რიგ შემთხვევაში არის ასახული კომპლექსური დავალებების იდეები და კონტექსტ მაგალითები.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2 კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები

სახელმწიფო ენა- კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). სკოლას გააზრებული აქვს, რომ სტანდარტით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

განსაზღვრული შედეგის მისაღწევად საჭიროა გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების შემუშავება. გრძელვადიანი მიზნების ფორმულირებისას ყურადღება მიექცევა შედეგებს, სამიზნე ცნებებს და მათთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს, საფეხურის საკვანძო შეკითხვებს. მოკლევადიანი მიზნები ჩამოყალიბდება თემის ფარგლებში. ამ ეტაპზე სკოლის კურიკულუმის აგებისას გათვალისწინებულია სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები და შედეგები საფეხურის დონეზე. სასწავლო პროცესში იგეგმება სავალდებულო თემები, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. კურიკულუმში წარმოდგენილ დავალებებზე მუშაობა მოსწავლეს ეხმარება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათი/ნებელობა, მოქალაქეობა) განვითარებაში.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- საბაზო საფეხურზე, მათემატიკაში, კურიკულუმი მიემათება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ ნათელია , მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. მაგალითად, „გასართობი პარკის დაგეგმარება“, „აკვარიუმი“, „დაბადების დღის ჰელიუმის ბურთებით გაფორმება“ და სხვა. დავალებების შესრულებისას გამოიკვეთება მოსწავლეების კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, რეალური პრობლემების გადაწყვეტა, ეფექტური კომუნიკაცია, შეძლებენ ცოდნის კონსტრუირებას და ისტ-ის გამოყენებას. პედაგოგებთან ინტერვიუსას გამოჩნდა, რომ ისინი ამისთვის კოორდინირებულად მუშაობენ პარალელურ კლასებში, შეიმუშავებენ ერთობლივ ხედვებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ატარებენ საჩვენებელ, ინტეგრირებულ გაკვეთილებს, რასაც ასევე მეტი შემართებით გააგრძელებენ მომდევნო კურიკულუმების კიდევ უფრო დასახვეწად.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები-საშუალო საფეხურის უცხოური ენების (ინგლისური, რუსული) სასწავლო პროგრამის ჰოლისტურად აღმწერი დოკუმენტები-კურიკულუმის ჩარჩოები წარმოგვიდგენენ რა კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების იდეებს/ძირითად საკითხებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ფუნქციურ კომპონენტური ექვსივე უნარის სათანადოდ დამუშავებას, ვინაიდან კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წახალისებს, მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-7-9 კლასის გადმოგზავნილ კურიკულუმებში, ნათლად არის ჩამოყალიბებული გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, სტანდარტის საფეხურებრივი შედეგები და სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები, აგრეთვე კურიკულუმის განხორციელების პროცესში გაწერილია თემებთან შესაბამისი სპორტული ინვენტარი და სასწავლი ელექტრონული რესურსები, პედაგოგს მიეცა რჩევა დააზუსტოს თემებში საკითხების დოზირების შინაარსი, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მოსწავლეების ე.ს.გ. სასწავლი გეგმის გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის საჭიროებები, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპები, კერძოდ, გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა, ხდება სასწავლო მასალის ეტაპობრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ცნებების განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა. მუსიკის კურიკულუმში ყველა სავალდებულო თემა იყო წარმოდგენილი შესაბამისი ქვეცნებებით (მცირედი ხარვეზი იყო მე-7 და მე-8 კლასების კურიკულუმში რასედაც მითითებულ იქნა კათედრასთან შეხვედრაზე. შესწორებული მასალები გადმოგზავნილია). კომპლექსური დავალებები კავშირშია მოსწავლეთა ყოველდღიურ ცხოვრებასთან. ხელოვნების კურიკულუმში არის მცირედი ტექნიკური უზუსტობები - არ არის დანომრილი ცნებები, ზოგჯერ გამორჩენილია ქვეცნებები, მაგრამ მთლიანობაში ორივე საგნის კურიკულუმი უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომებით, სკოლა მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავს ამ მიმართულებით გაძლიერებას. კერძოდ, აქტიურად ჩართავს მოსწავლებს სწავლის დაგეგმვის ორგანიზებაში. ამ ეტაპზე სკოლას საბაზო საფეხურზე სსსმ მოსწავლე არ ჰყვავს,თუმცა კურიკულუმში გათვალისწინებული იქნება სსსმ მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები ინდივიდუალური კომპლექსური დავალებების სახით თუ ამის საჭიროება დადგა სკოლაში. ასევე, სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მექანიზმებში დაწვრილებით გაწერს, როგორ უზრუნველყოფს სკოლა ამ მიდგომებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელბი სასწავლო პროცესში იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს, კომპლექსური დავალების პროდუქტის შექმნისას მოსწავლეს საშუალება აქვს, შექმნას პროდუქტი მისთვის სასურველი ფორმით.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს,რადგან კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში, სრულყოფილად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული საგნების (ქიმია,ფიზიკა და ბიოლოგიის) სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები, ყველა თემაში განსაზღვრულია ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით.საგნობრივი კურიკულუმები ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3 სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

სახელმწიფო ენა- სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომებით, სკოლა მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავს ამ მიმართულებით გაძლიერებას. კერძოდ, აქტიურად ჩართავს მოსწავლებს სწავლის დაგეგმვის ორგანიზებაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე სკოლას საბაზო საფეხურზე სსსმ მოსწავლე არ ჰყვავს, კურიკულუმში გათვალისწინებული იქნება სსსმ მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები ინდივიდუალური კომპლექსური დავალებების სახით. ასევე, სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მექანიზმებში დაწვრილებით გაწერს, როგორ უზრუნველყოფს სკოლა ამ მიდგომებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელბი სასწავლო პროცესში იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს, კომპლექსური დავალების პროდუქტის შექმნისას მოსწავლეს საშუალება აქვს, შექმნას პროდუქტი მისთვის სასურველი ფორმით.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- საბაზო საფეხურის მასწავლებლები პირველ რიგში ცდილობენ გამოკვეთონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათების, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებისა და მსგავსი სტრატეგიებით, ამის გათვალისწინებით ნერგავენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს და უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. სკოლის დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ამ მიმართულებით სკოლაში დაიგეგმა და განხორციელდა დიფერენცირებულ მიდგომაზე ორიენტირებული გაკვეთილების ციკლი, რომელსაც პირველ რიგში ახორციელებენ სკოლის ლიდერი მასწავლებლები და გამოცდილების გაზიარების შემდეგ საბაზო საფეხურის მთემატიკის კათედრა. ასევე სკოლის დოკუმენტაციიდან და მათემატიკის მასწავლებლებთან ინტერვიუსას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

დადასტურდა, რომ მათ აქვთ საკმარისი გამოცდილება სსსმ მოსწავლეებთან წარმატებული მუშაობისა, შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც მორგებულია სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები-დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ოქმი, რითაც ცხადია, რომ სკოლა გეგმავს ინკლუზიური სწავლების მონიტორინგს და შესაბამისად იგივე დოკუმენტი გვაცნობებს, რომ სკოლას ჰყავს სსსმ მომსწავლე/ები , მაგრამ დოკუმენტებში არ იკითხება როგორ აპირებს იმუშაოს მასწავლებელმა თითოეულ მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით./არ არის წარმოდგენილი როგორ ახდენს მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე რესურსების ან/და კომპლექსური დავალების პირობის დიფერენცირებას.თუმცა ინტერვიუირებისას გაცემულმა პასუხებმა, ცხადყო მათი მუშაობის მეთოდები ინკლუზიური მოდგომების გათვალისწინებით.ზეპირ სიტყვიერად განიხილეს ერთი დავალება, რისი ადაპტირებაც მათ განახორციელეს მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- 2022-2023 სასწავლო წლის . სსიპ გორის ტყვიავის საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმაში, სკოლას გაწერილი ააქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი და სსმ მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართვის მექანიზმები. სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესის დიფერენციალურ და ინკლუზიური მიდგომებს, ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში კი გაწერილია აქვთ მათთვის თვალსაჩინოების შეძენა და მათი პერიოდულად განახლება. სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის და სპორტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგება, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, ზემოდ აღნიშნული მომავალში განაპირობებს მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას ფიზიკური აღრზრდის სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- საგნობრის კურიკულუმებში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომა, რაც აისახება კომპლექსური დავალების პირობასა და საეტაპო აქტივობებში. პედაგოგებთან საუბრისას დადგინდა, მომდევნო სასწავლო წლიდან სსსმ მოსწავლეებისთვის დაგეგმილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმებზე გაყრდნობით სასწავლო პროცესის წარმართვა. სსსმ მოსწავლეებისთვის მოხდება კომპლექსური დავალებების ადაპტირება მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

საზოგადოებრივი მეცნიერებები-საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი სრულად ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს,პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მათი ენთუზიაზმი და მოტივაცია, იმ შემთხვევაში თუ სკოლაში დადგება მსგავსი საჭიროება ისინი ადაპტირებულ ვერსიებს შესთავაზებენ მოსწავლეებს.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესი სრულად ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს,რადგან საბუნებისმეტყველო კათედრას აქვს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებზე მუშაობის გამოცდილება, რაც აისახება კომპლექსური დავალების პირობასა და კონკრეტულ აქტივობებში**. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4 განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.
სახელმწიფო ენა-სასწავლო პროცესში გამოყენებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები. ერთი მხრივ, ფასდება მოსწავლის მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით და, მეორე მხრივ, თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკა. განმსაზღვრელი შეფასებისათვის გამოყენებულია შეფასების 10 ქულიანი სისტემა, განმავითარებელი შეფასებისათვის კი - მასწავლებლის ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, თვითშეფასება და სხვა. სემესტრის ბოლოს პედაგოგები აკეთებენ შემაჯამებელი დავალების ანალიზს. კომპლექსური დავალებები ფასდება განმავითარებელი შეფასებით სოლოტაქსონომიის შესაბამისად. საგნობრივ კათედრას შემუშავებული აქვს შეფასების სქემები: დისკუსიის, პრეზენტაციის, სხვადასხვა წერითი სამუშაოს და სხვ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა-.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. საბაზო საფეხურზე სკოლაში დანერგილია ობიექტური და გამჭირვალე შეფასების სისტემა. გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, განმავითარებელი კომენტარი, ზეპირი და წერილობითი უკუკავშირები (ელ. ჟურნალის კომენტარები).შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებთან, მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკატორებს შორის. მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის; მოსწავლეთა შეფასების შედეგები განიხილება კათედრაზე; პედაგოგებთან ინტერვიუსას გაირკვა, რომ საბაზო საფეხურის პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს. საბაზო კლასებში კომპლექსური დავალებების შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ხდება განმავითარებელი შეფასებით სოლო ტაქსონომიის შესაბამისად კათედრას შემუშავებული აქვთ განმავითარებელი შეფასების და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები: დისკუსიის, ინფორმაციის მოძიების, პრეზენტაციის, სხვადასხვა წერითი სამუშაოს და სხვა.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები- საბაზო საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელებიც გვაჩვენებს ,ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის დონეს, თუმცა არ იკითხება კონკრეტულად ერთი დავალების ფარგლებში, როგორ მისცემს მასწავლებელი მოსწავლეს კონსტრუქტივისტულ რეკომენდაციებისკომპლექსურ დავალებაში დამუშავებულ კონკრეტულ საკითხთა კლასტერთან მიმართებით. ასევე, უცხოური ენის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუსბირკები ვერ გვაჩვენებს კორელაციას მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკაოტრებს შორის, მხოლოდ ინტერვიუზე გასაუბრებისა მიღებული ინფორმაციით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლა შეძლებს მომდევნო 2023-24 სასწავლო წლიდან მოსწავლეებს მისცენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი უკუკავშირი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- 7-9 კლასის კურიკულუმებში გაწერილი თემებთან რომლის საკითხების დოზირების შინაარსი დაზუსტებას გეგმავს პედაგოგი 2023-24 სასწავლო წლისათვის და დაგეგმილი კომპლექსური დავალებებთან დართული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის საფუძველზე წარმოადგინა სკოლამ და რომლის განვითარებაზე და დახვეწაზე პედაგოგი გამოხატავს მზაობას, ამის შედეგადაც შეფასების რუბრიკები საშუალებას მისცემს მოსწავლეების ცოდნა შეფასდეს ობიექტურად და მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- ესთეტიკის კათედრის პედაგოგებს აქვთ წინარე გამოცდილება განმსაზღვრელ/ განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, განმავითარებელი შეფასების ფორმა მათთვის იყო SOLO ტაქსონომია. SOLO ტაქსონომიით ხდებოდა მოსწავლეთა ცოდნის შეფასება დონეების მიხედვით, ხოლო განმსაზღვრელი შეფასებისთვის პედაგოგები იყენებდნენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. პედაგოგებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ სკოლამ აირჩია შეფასების პირველი მოდელი. კათედრა გეგმავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნას თითოეული თემის ფარგლებში სამინისტროს მიერ ავტორიზაციის ქოუჩინგის ფარგლებში მიწოდებული მოდელის მიხედვით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

საზოგადოებრივი მეცნიერებები-საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლები დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას , სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხდება წინარე გამოცდილებისა და გაანალიზების საფუძველზე. საბაზო საფეხურის მასწავლებლების მიერ ხდება მოკვლევა თუ , რომელმა კომპლექსურმა დავალებამ, გამოიწვია მოსწავლეთა მეტი დაინტერესება, ყოველივე ამის გათვალისწინებით კათედრა გამოკვეთს პრიორიტეტებს, გეგმავს სასკოლო აქტივობებს. ერთად აანალიზებენ და გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმს.საბაზო საფეხურზე სკოლას გამოცდილება აქვს განმავითარებელი შეფასების სოლო ტაქსონომიის მიხედვით, რომელსაც აქტიურად იყენებს სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგების მიერ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სახელმწიფო ენა-საბაზო საფეხურზე სკოლა გეგმავს სასწავლო წლის ბოლოს კათედრაზე გააანალიზოს მოსწავლეთა შედეგები და ამის გათვალისწინებით შეიტანოს ცვლილებები მომავალი 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმებში. კერძოდ, კომპლექსურ დავალებებზე სასკოლო საზოგადოების შეხედულებების გარკვევის მიზნით შეიქმნება კითხვარები და სასწავლო წლის დაწყებამდე გამოიკითხებიან მშობლები და მოსწავლეები. მიღებული უკუკავშირი გაანალიზდება და გათვალისწინებული იქნება კურიკულუმებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- საბაზო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, კერძოდ, სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხდება წინარე გამოცდილებისა და გაანალიზების საფუძველზე. ამისათვის მათემატიკის საბაზო საფეხურის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

მასწავლებლების მიერ იწერება განხორციელებული სამუშაოების ანალიზი, რომელმა კომპლექსურმა დავალებამ, რომელმა პროექტმა გამოიწვია მოსწავლეთა მეტი დაინტერესება, ყოველივე ამის გათვალისწინებით მათემატიკის კათედრა გამოკვეთს პრიორიტეტებს, გეგმავს სასკოლო აქტივობებს. ერთად აანალიზებენ და გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმს.ეს ყველაფერი გამოიკვეთა როგორც სკოლის დოკუმენტაციაში, ასევე მათთან ინტერვიუს დროს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები- სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი სახელად „ერთწლიანი სამოქმედო გეგმა“, რომელშიც პასუხისმგებელი პირები გვეუბნებიან, რომ სკოლამ შეიმუშავა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის დანართები გასული წლის სამოქმედო გეგმის რეფლექსიაზე დაყრდნობით, რაც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდო, რომ ასევე მოხდა უცხოური ენების დანართების მომზადება მომდევნო სასწავლო წლისთვის წინარე წლის რეფლექსიაზე, თუმცა კონკრეტულად რომელიმე უცხოური ენის 2023-24 ს.წ. შემუშავებაში თუ რა გაითვალისწინეს ამას არცერთი დოკუმენტი (არ) გვეუბნება. შემაჯამებლ ოქმში კი უცხოური ენების პედაგოგებს უწერიათ, რომ არ აქვთ სადიაგნოსტიკო შეფასების გამოცდილება, მაგრამ მომდევნო სასწავლო წლისთვის კი უკვე იციან/დაგეგმილი აქვთ თუ როგორ მოახდენენ მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსიტრებას, რასაც უკვე , გაითვალისწინებენ კუმრიკულუმის დაგეგმვაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- ხარისხის ჯგუფის დებულებიდან და სკოლის თვითშეფასების ფორმიდან აგრეთვე კათედრის თავმჯდომარის ინტერვუიდან გამომდინარე იკვეთება რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში, გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გამოცდილების ანალიზი და კეთდება უკუკავშირი, საჭიროების შემთხვევაში პედაგოგებს ეძლევათ რეკომენდაციები..შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას. კერძოდ, კათედრის სხდომებზე ხდება განხორციელებული კომპლექსური დავალებების ანალიზი, პედაგოგებს ეძლევათ უკუკავშირი. კათედრა ითვალისწინებს წინა სასწავლო წელს განხორციელებული კომპლექსური დავალებების გამოცდილებას ახალი კომპლექსური დავალებების განხორციელების დროს. სასწავლო წლის ბოლოს კათედრა აგროვებს ინფორმაციას კათედრის წევრების ინდივიდუალურ ანგარიშებზე დაყრდნობით და ამთლიანებს მას კათედრის ანგარიშის ფორმაში. ანგარიში მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების ნუსხა, კოლეგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ურთიერთდასწრება, ხარისხის მართვის ჯგუფის ფარგლებში არსებული სავალდებულო გაკვეთილები, განხორციელებული სასწავლო პროექტები. ყოველივე ეს ეხმარება კათედრას მოსწავლეთა მიღწევებისა და საჭიროებების გამოკვეთაში, რასაც გაითვალისწინებს მომავალ სასწავლო წელს.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მათი მზაობა კურუკულუმის თითოეული ველის შევსების სასწავლო წლის დაწყებამდე, წინა წლის გამოცდილების გაზიარების საფუძველზე პედაგოგები გადახალისებას მოახდენენ თემატური მატრისების. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან, ოფლაინ შეხვედრისას, პედაგოგებმა აღნიშნეს რომ, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას და თითოეული აქტივობის დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნა წინა სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების გამოცდილება.პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მათი მზაობა კურუკულუმის თითოეული ველის შევსების სასწავლო წლის დაწყებამდე, წინა წლის გამოცდილების გაზიარების საფუძველზე პედაგოგები გადახალისებას მოახდენენ თემატური მატრისების. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კომპლექსურ დავალებაში გამოყენებული შესაბამისი რესურსები, რომელიც მიემართება სასაწვლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე;
- ადაპტირებული კომპლექსური დავალებები;
- კურიკულუმი.

შეფასება:

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2 კურიკულუმის განხორციელება

1.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**

სახელმწიფო ენა-სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. 2023-2024 კურიკულუმში აისახება ცხოვრებისეულ კონტექსტზე მორგებული დავალებები, რაც მოსწავლეებს აქტიურად ჩართავს სასწავლო პროცესში და მისცემს ცოდნს, უნარებისა და ინტერესების წარმოჩენის შესაძლებლობას. მოსწავლეთა აქტიურ და შემოქმედებით ჩართულობას უზრუნველყოფს სხვადასხვა სასწავლო თუ არაფორმალური განათლების ხელშემწყობი პროექტები, რომელთა განხორციელების გამოცდილება სკოლას აქვს. სკოლის საბაზო საფეხურის პედაგოგები გეგმავენ ინტერაქტიულ და ინტეგრირებულ გაკვეთილებს, რომლებიც ორიენტებულია არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. სამიზნე ცოდნის კონსტრუირებისთვის, მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის უზრუნველსაყოფად უპირატესობა მიენიჭება ისეთ დავალებებს/აქტივობებს, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

მათემატიკა- საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა თავისუფლად გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები, ხდება მათი ინიციატივების წახალისება და შეხედულებების გათვალისწინება. ამ მიზნით საგაკვეთილო პროცესში გამოიყენება კომპლექსური დავალებები. სკოლაში ხდება შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე ზრუნვა. ამ მიზანს ემსახურება სხვადასხვა ტიპის საკლასო თუ კლასგარეშე აქტივობები. საბაზო საფეხურის მათემატიკის პედაგოგები გეგმავენ ინტერაქტიულ გაკვეთილებს, რომელიც ორიენტებულია არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. მასწავლებლებმა ინტერვიუსას ხაზი გაუსვეს იმას, რომ ამ მხრივ ჯიპრაიდის პროექტში ჩართულობამ კარგი გამოცდილება მისცა მათ, ასევე აღნიშნეს რომ ახალი სასწავლო წლისათვის იგეგმება კომპლექსური დავალებების რევიზია, როგორც რაოდენობის, ისე შინაარსის მიხედვით და საბაზო კლასებისათვის შეირჩევა კიდევ უფრო საინტერესო და შემოქმედებითი უნარებზე გათვლილი დავალებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები- იმ თემებში სადაც წარმოდგენილი კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომ პროექტულ დავალებების იდეები შეიძლება ვთქვათ, რომ მოსწავლე ამგვარ სასწავლო გარემოში გარანტირებულად შეძლებს იყოს შემოქედებით პროცესში აქტიურად ჩართული და მოახდინოს კეთების პროცესში ცოდნის კონსტრუირება. თუმცა ასევე დაბეჯითებით ვერვ ვიტყვი რა ხდება იმ თემებში სადაც მხოლოდ საკითხთა ჩამონათვალს გვაცნობს უცხოური ენების საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები. სასურველია წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ძირითადი საკითხები უფრო ფართოდ გაიწეროს იმ თემებისთვის სადაც წარმოდგენილი აქვთ, რათა უფრო ცხადად იკითხებოდეს დაგეგმილი კომპლექსური შინაარსის დავალებების რაობა/ მიმართება გრძელვადიან მიზნებთან (სამიზნე ცნებებთან და შედეგებთან.) **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- 7-9 კლასის კურიკულუმები და მაში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები და საბაზო საფეხურის კლასებში მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები სადაც ჩართულია საბაზო საფეხურის ყველა მოსწავლე თავის შესაძლებლობიდან გამომდინარე, უზრუნველყოფენ მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით სასწავლო პროცესში ჩართვას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, მუსიკისა და ხელოვნების საგნებში მუშაობის პროცესს სისტემატიურად ახორციელებენ კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით. ესთეტიკის კათედრის პედააგოგების თქმით, ასეთი სტილის მუშაობა სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს მოსწავლეთა ავტონომიურობასა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას. სასწავლო პროცესის წარმართვისას ერთერთი უმთავრესი მიზანია მოსწავლის მოტივაციის, ჩართულობისა და შემოქმედებითი უნარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

განვითარება, რაც მიიღწევა კომოლექსური დავალებების საშუალებით, ისეთებით, როგორიცაა მაგალითად, მუსიკით სიყვარულისა და სიძულვილის დაპირისპირების ჩვენება, მუსიკით მარტოობისა და ერთიანობის განცდა, მუსიკით სხვადასხვა კატაკლიზმის აღწერა, და სხვ. ამავე მიზანს ემსახურება ხელოვნების საგანში მოცემული თემები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საბაზო საფეხურზე საგნის პედაგოგები კურუკულუმის ჩარჩო დოკუმენტს დააგენერირებენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, გამოტოვებულ ველებს დახვეწავენ კიდევ ერთხელ განიხილავენ კათედრაზე და შეაჯამებენ, მოსწავლეებს აქვთ სრული თავისუფლება აზრის დაფიქსირების, არის პოზიტიური დამოკიდებულება პედაგოგების, რომლებიც მოსწავლეებს ფასილიტაციას უწევენ საკითხის გააზრებაში.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-საბუნებისმეტყელო საგნების (ქიმია,ფიზიკა და ბიოლოგია) საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები იდეების დონეზე, პედაგოგები საგნობრივ ოქმებში აფიქსირებენ კომპლექსური დავალებებით სწავლა/სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალება მოსწავლეს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლბლობას. შესაბამისად,მომდევნო სასწავლო წელის კურიკულუმები მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას შეუწყობს. სკოლაში მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება/რეალიზება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

სახელმწიფო ენა- სკოლას გააზრებული აქვს, რომ წინარე ცოდნის გათვალისწინება ყველაზე ეფექტური გზაა ახალი ცოდნის დასაშენებლად, კერძოდ, სკოლა გეგმავს საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინოს მოსწავლეთა შესაბამისი მზაობა და წინარე ცოდნა, წინარე ცოდნის დასადგენად სასწავლო წლის დასაწყისში გეგმავს დიაგნოსტიკური წერების ჩატარებას, რომლის შედეგებიც გათვალისწინებული იქნება ახალი ცოდნის კონსტრუირებისთვის.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

მათემატიკა- მათემატიკის კათედრის მასწავლებლები დაგეგმვისას ითვალისწინებენ კლასის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახდენენ ახალი ცოდნის დაშენებას. იყენებენ სხვადასხვა აქტივობებს მოსწავლეთა ცოდნის დასადგენად (მაგ. სადიაგნოსტიკო ტესტი, შესავლელი ბილეთები, შემაჯამებელი კითხვარი) , ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზზე, თუ როგორ ხდება სწავლა -სწავლების პროცესში მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინება და მასზე დაყრდნობთ ახალ კურიკულუმის აგება, სადაც თითოეული მოსწავლის მზაობა, შესაძლებლობები და ინტერესებია გათვალისწინებული. ეს გვაძლევს საშუალებას რომ დავასკვნათ სწავლა სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები- წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში (განსაკუთრებით იმ თემებში სადაც კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების ძირითადი საკითხებია ასახული) შუალედური მიზნები იმგვარად არის დაგეგმილი, რომ იგი ცალსახად ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებას, რაც თავისმხრივ უზრუნველყოფს ახალი ცოდნის მარტივად და მოსწავლისთვის საინტერესო ავთენტურ კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას. თუმცა , სასურველია სკოლამ წარმოადგინოს დოკუმენტი, რომელშიც ასახული იქნება თუ რით გამოკვეთეს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და რაზე დაყრდნობით გადაწყვიტეს აღნიშნული სასწავლო გეგმის/ კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების დაგეგმვა.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტისაბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებლების სკოლაში განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები მუშაობის პროცესი ითვალისწინებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენებას. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - პედაგოგებთან საუბრისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, სწავლას აღმოჩენის გზით. სწავლება ემყარება განვითარების პრინციპს - ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. ამ მიზნების მიღწევას ხელს უწყობს კომპლექსური დავალებების განხორციელება. ასე ხდება მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურება და ესგ-ს შედეგების მიღწევა.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები-საზოგადოებრივი კათედრა საბაზო საფეხურზე იყენებს კონსტრუქტივისტულ პრინციპებს, რაც გულისხმობს წინარე ცოდნაზე ახლის დაშენებას, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და განზოგადებას, შინაგანი მოტივაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

გააქტიურებას, ყველაფერ ამის მიღწვადობას კი ისინი ეტაპობრივად კომპლექსურ დავალებების გამრავალფეროვნებით ცდილობენ.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-პედაგოგებთან გასაუბრისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, რათა მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სახელმწიფო ენა-. საბაზო საფეხურზე მასწავლებლები გეგმავენ საგნობრივ კურიკულუმში ასახონ სტრატეგიები, რომლებიც საშუალებას მისცემს მოსწავლეს, განივითაროს მეტაკოგნიტური უნარები, დააკვირდეს საკუთარს/თანატოლთა სწავლის პროცესს, დაკვირვების შედეგად გააკეთოს თვითშეფასება/თანატოლთა შეფასება და შედეგად მიხვდეს, რა არის უკეთესი მისი წინსვლისა და პროგრესისათვის. მოსწავლეს მიეცემა დავალებების ანალიზის საშუალება: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს და სხვ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებები, საგნობრივ ოქმებში აფიქსირებს კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში ბუნებრივად აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე; მეტაკოგნიური უნარების ხელშეწყობაზე, რაც ინტერვიუს დროს აღნიშნეს პედაგოგებმა. კომპლექსური დავალება კარგი საშუალებაა თვითშეფასებისთვის. მოსწავლეები ასახელებენ იმ სტრატეგიებს, რომელიც გამოიყენეს, რა მოეწონათ, რა არ მოეწონათ, როგორ მიაღწიეს მიზანს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა პროგრესისათვის პორტფოლიოების წარმოება ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშაულებაა, ამ ეტაპზე ამისი პრაქტიკა სკოლას არ აქვს, თუმცა გეგმავენ მოსწავლეთა პორტფოლიოების წარმოების პრაქტიკა დანერგონ, რათა თითოეულმა მოსწავლემ და მასწავლებელმა შეძლოს მონიტორინგი გაუწიოს საკუთარი სწავლა/სწავლების პროგრესს.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

უცხოური ენები-გაანალიზებული აქვს რა სკოლას კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რასაც მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები გვეუბნება და ასევე მოვახდინეთ რა გასაუბრება აღნიშნულ საკითხთან მიმართებით,შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა იცავს/ამართლებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთ ძირითად კონცეფციას და მუშაობის პროცესი ისე მიჰყავთ, რომ მოსწავლეებს აფიქრებენ სწავლის სწავლაზე და შესაბამისად ეხმარებიან მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე და წარმოდგენილი დოკუმენტაციდან (კათედრის სხდომის ოქმები, კათედრის მუშაობის გეგმები, კათედრის მუშაობის დებულება) ირკვევა, რომ მასწავლებლები კათედრებზე აქტიურად თანამშრომლობენ სასკოლო კურიკულუმის განვითარებაზე. სისტემატურად ხდება პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ურთიერთდახმარება. კათედრაზე ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, მასწავლებლები წერენ ჩატარებული სამუშაოს ანგარიშებს (თანდართულია მასწავლებლის ანგარიში). ეს ხელს უწყობს კათედრაზე პოზიტიური სამუშაო გარემოს შექმნას, რაც დადებითად მოქმედებს სასწავლო პროცესზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლაში შეინიშნება პოზიტიური დამოკიდებულება, მაღალ ნიშნულზეა მოსწავლის შესაძლებლობები და მათი ნებელობა, კომპლექსური დავალებეზე მუშაობა ხდება მათი უშალოდ ჩართულობით, მკაცრად არის დაცული მათი მოტივაცია, შესაძლებლობები და არჩევანი.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სასწავლო პროცესში ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის მასწავლებლები ინტენსიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან, კათედრის წევრებთან,მოსწავლეთა თვითმმართველობასთან. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი და დინამიური. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სახელმწიფო ენა-უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. კერძოდ, სკოლის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. ყურადღებიანი, ემპათიური და მეგობრული მასწავლებელი დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე. მასწავლებელი მოსწავლეს აღიქვამს, როგორც ინდივიდს თავისი სურვილებითა და ინტერესებით. მოსწავლე თავისუფლად გამოთქვამს საკუთარ აზრს, სვამს მისთვის საინტერესო კითხვებს. სასწავლო პროცესში მოსწავლეები და მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან რესურსებს და ამკვიდრებს ურთიერთობის წესებს ჯანსაღი ატმოსფეროს შესაქმნელად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა-პოზიტიური სასკოლო კლიმატი გულისხმობს ძლიერ თანამშრომლობით კავშირებს სასკოლო საზოგადოებას შორის, გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას, ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობით კავშირებს, რომელიც მოიცავს აკადემიურ და პიროვნულ ზრდას, ზრუნვას, პატივისცემას, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობას და მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. გასაუბრების დროს შესამჩნევი იყო მასწავლებლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება. კათედრა თანამშრომლობს ერთმანეთთან , ატარებენ საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებებს, ჩართულები არიან სხვადასხვა პროექტებში და მოსწავლეებიც დიდი ინტერესით ერთვებიან ასეთ აქტივობებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

უცხოური ენა- კათედრის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. მასწავლებელი მოსწავლეს აღიქვამს, როგორც ინდივიდს თავისი სურვილებითა და ინტერესებით. მოსწავლე თავისუფლად გამოთქვამს საკუთარ აზრს, სვამს მისთვის საინტერესო კითხვებს. სასწავლო პროცესში მოსწავლეები და მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან რესურსებს და ამკვიდრებს ურთიერთობის წესებს ჯანსაღი ატმოსფეროს შესაქმნელად. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა სა სპორტი- 4. სკოლაში სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. თუმცა აქვს გაუმჯობესების მეტი მზაობა . სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებლის გასაუბრებიდან გამომდინარე ყოველთვის ატარებდნენ სპორტულ საკლასო და სასკოლო ღონისძიებებს . ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცესს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- სასწავლო პროცესში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული, ღია, მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. კათედრას აქვს მზაობა იმისა,რომ ერთობლივად დაგეგმონ გაკვეთილები, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება. დაესწრონ ერთმანეთის გაკვეთილებს და გასცენ პოზიტიური უკუკავშირი. გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრაზე შექმნილია ჯანსაღი, გუნდური ატმოსფერო. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები-სკოლასში ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება. სასწავლო პროცესის, აგრეთვე კურიკულუმით განსაზღვრულ მონიტორინგს ახორციელებენ საგნობრივი კათედრები, დირექცია და საგნობრივი ექსპერტები. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს საგნობრივი ქოუჩების მხარდაჭერა კურიკულუმის შემუაშავების დროს. სკოლას აქვს მზაობა პერიოდულად მოახდინონ მონიტორინგი და შეფასება. სკოლა სამომავლოდ გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების ეფექტური მექანიზმის შექმნას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სასწავლო პროცესში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული პოზიტიური და მიმღებლობითი გარემო.მასწავლებლებმა, პირისპირ ინტერვიუს დროს აღნიშნეს , რომ მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვა მასალები.

შეფასება:

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სახელმწიფო ენა-.სკოლას გააზრებული აქვს დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების შესახებ მონიტორინგის მნიშვნელობა. ამ ეტაპზე სკოლა შემოიფარგლება ზეპირი უკუკავშირით კათედრებისა და საგნების დონეზე. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების შეფასებასა და მონიტორინგს, როგორც სასწავლო პროცესის თანმდევ პროცესს, შეიმუშავებს სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების მონიტორინგის და შეფასების შესაბამის ინსტრუმენტს, რომელიც მას დაეხმარება მონიტორინგის და შეფასების პროცესების გამჭვირვალედ და უკეთ წარმართვაში. მექანიზმებში დეტალურად გაიწერება, წლის განმავლობაში რა ინტენსივობით განხორციელდება მონიტორინგი, ვინ იქნება ამ პროცესზე პასუხისმგებელი პირი/პირები, როგორ განხორციელდება მონიტორინგი. შეფასდება და გაანალიზდება შედეგები. მონიტორინგით გამოვლენილ ხარვეზებს სკოლა გაითვალისწინებს მომდევნო წლის დაგეგმვის პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა-სკოლასში ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება. სასწავლო პროცესის, აგრეთვე კურიკულუმით განსაზღვრულ მონიტორინგს ახორციელებენ საგნობრივი კათედრები, დირექცია და საგნობრივი ექსპერტები. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს საგნობრივი ქოუჩების მხარდაჭერა კურიკულუმის შემუაშავების დროს. სკოლას აქვს მზაობა პერიოდულად მოახდინონ მონიტორინგი და შეფასება. სკოლა სამომავლოდ გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების ეფექტური მექანიზმის შექმნას.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა- სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის, კურიკუმებისა და განხორციელებულ აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას. რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ მეთოდოლოგიით განსაზღვრული კურიკულუმის მონიტორინგის მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-სკოლაში კურიკულუმით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები საჭიროებს სრულყოფას, სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკუმებისა და განხორციელებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას. რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. რომელიც ნათლად არ ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - ესთეტიკის კათედრაზე ინტენსიურად იწარმოებს კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება. ამჟამად შეფასება ხდება ზეპირი უკუკავშირის საფუძველზე. პედაგოგები ერთმანეთს სისტემატიურად უზიარებენ კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებიდან მიღებულ გამოცდილებას და ერთად გეგმავენ ინტერვენციებს კურიკულუმის გასაუმჯობესებლად. მომავალ სასწავლო წელს კათედრა გეგმავს სწავლების ხარისხის მონიტორინგს, მოსწავლეების შედეგების კვლევას და ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვას. მათ შორისა ყოველ სემესტრში დიაგნოსტიკურ შეფასების ჩატარება (პირველი ინსტრუმენტის საფუძველზე), რაც ხელს შეუწყობს კურიკულუმის განვითარებასა და სასწავლო პროცესის განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; კათედრის წევრები აქტიურად დაესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, განახორციელებენ მონიტორინგს, ერთმანეთს შესთავაზებენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სკოლა და სასკოლო თემი გამოხატავენ მზაობას დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. 2023-2024 სასწავლო წლისთვის საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი,ხოლო შეთავაზებული 4 სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტიდან შეირჩა მეორე ინსტრუმენტი. პედაგოგებმა ერთმანეთთან შეთანხმებით დაგეგმეს მოსწავლეთა სადიაგნოსტიკო შეფასება ჩატარდეს ქიმია , ფიზიკასა და ბიოლოგიაში ყველა კლასში წელიწადში ერთჯერ;მიღებული შედეგებზე დაყრდნობით მონაცემების დამუშავება იგეგმება საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებისა და სკოლაში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

სახელმწიფო ენა-.დაკვირვებითა და შეფასებით სკოლა ადგენს სასკოლო საზოგადოების საჭიროებას. სკოლა ამ პროცესს ახორციელებს ზეპირსიტყვიერი უკუკავშირით კოლეგებთან, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების ჩართულობით. ამ მიმართულებით სკოლა გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების შესაბამისი დოკუმენტის შემუშავებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი,რომლის მუშაობა მიმდინარებს შემუშავებული დებულების მიხედვით(ხარისხის შეფასების ოქმი).წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მხარდამჭერი ჯგუფი წინასწარ შედგენილი გრაფიკით ახორციელებდა გაკვეთილზე დასწრებას მთელი წლის განმავლობაში.დაკვირვების განხორციელების შემდეგ ხდებოდა პოზიტიური უკუკავშირი, რაც მნიშველოვანია მასწავლებლისათვის პროფესიული განვითარების კუთხით. სკოლაში სასწავლო წლის ბოლოს ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, წლიური მონიტორინგი, რაც საშუალებას აძლევს სკოლას განაახლოს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები, გაუმკლავდეს გამოწვევებს, რომელთა წინაშეც აღმოჩნდება. მონიტორინგი ანალიზის საფუძველზე აძლევს სკოლას საშუალებას შეიტანოს ცვლილებები სასკოლო სასწავლო გეგმაში შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.სკოლას არჩეული აქვს სადიაგნოსტიკო ტესტის ინსტრუმენტი,რომლის მიხედვით მოხდება მოსწავლის მონიტორინგი და შეფასება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა- კათედრის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა. შესაბამისად, წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით იგეგმება პრობლემების იდენტიფიცირება, წარმატების გაზომვა და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სპორტის კათედრასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ სკოლაში ხდება ფიზიკური აღზრდის და სპორტის გაკვეთილებზე დასწრება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ რეფლექსიის შედგენა. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. იკვეთება რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით. ფიზიკური აღზრდის პედაგოგები ჩართული არიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

აღნიშნულ პროცესში. რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა - პედაგოგებთან გასაუბრებისას და წარდგენილი დოკუმენტაციიდან გამოიკვეთა, რომ კათედრაზე სისტემატიურად მოხდება ურთიერთდასწრება, შემდეგ კი გაიცემა უკუკავშირი და რეკომენდაციები. აქედან გამომდინარე ახალი მიზნების დასახვა მოემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლას გააზრებული აქვს, რომ მონიტორინგი და შეფასება ხელს უნდა უწყობდესს სკოლის დაგეგმვას, გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას.. მუშაობის მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება კათედრებს, საშუალებას მისცემს, რომ გამოკვეთოს არსებული პრობლემები და დაგეგმოს ამ პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობები. ახალ სასწავლო წელს სკოლა დაწყებით საფეხურზე გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- მასწავლებლებთან პირად საუბარში გაირკვა,რომ სკოლა და საბუნებისმეტყველო კათედრა სერიოზულად მუშაობს ამ მიმართულებით, გეგმავს მასწავლებელთა მხარდაჭერასა და დახმარებას, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და ხელშეწყობას. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; კათედრის წევრები ინტენსიურად დაესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, განახორციელებენ მონიტორინგს, ერთმანეთს შესთავაზებენ განვითარებაზე ორინტირებულ კონსტრუქციულ უკუკავშირს.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

სახელმწიფო ენა- სკოლის მიერ სასწავლო პროცესზე განხორციელებული დაკვირვება მიმართულია პრობლემის გაზომვის, მისი ანალიზის და გადაჭრის გზების ძიებისკენ. მონიტორინგი და შეფასება სკოლას ეხმარება გამოვლენილი ხარვეზისა და პრობლემის გაუმჯობესების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

გზების ძიებაში. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავებას, რომელიც დაეხმარება სასწავლო პროცესი ეფექტიანად წარმართვაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება კათედრებს, სკოლას საშუალებას მისცემს, რომ გამოკვეთოს არსებული პრობლემები და დაგეგმოს ამ პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობები. მონიტორინგის მეთოდოლოგია განსაზღვრულია სტრატეგიულ და სამოქმედო გეგემებში, რომელიც პასუხობს კითხვებს: რა პრობლემის გადაჭრას ცდილობს კურიკულუმი, რა არის მისი მიზანი? ვერიფიკაციის მექანიზმი ემსახურება მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დახვეწას , გამოვლენილი სირთულეების გაანალიზებას . საბაზო კლასების მათემატიკის მასწავლებლები , პრობლემის მონიტორინგისა და შეფასების შემდეგ გეგმავს კონკრეტულ ნაბიჯებს მომდევნო სასწავლო წლისათვის.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა- მომავალი სასწავლო წლიდან კათედრა გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავებას, რომელიც დაეხმარება სასწავლო პროცესი ეფექტიანად წარმართვაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-. სკოლის პრობლემების მონიტორინგის და შეფასების განსაზღვრის იდენტიფიცირების შემდეგ, სკოლა გეგმავს 2023- 2024 სასწავლო წლისათვის შეიმუშაოს მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია და საბაზო საფეხურზე ახალი კურიკულუმების დანერგვასთან ერთად მონიტორინგს და შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. სამომავლოდ უმჯობესი იქნება სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- პედაგოგებს აქვთ გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად დაგეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. კერძოდ, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლებს ერთობლივად გეგმავენ პრობლემების გადაჭრის გზებს. მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს საბაზო საფეხურის კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტების შემუშავებასა და დანერგვას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლას იაზრებს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის წინაპირობასა და ფაქტორებზე დაყრდნობით, რაც დაეხმარება მოსწავლის საჭიროების იდენტიფიცირებაში, მისი უნარების გამოვლენაში, რაც მისცემს უფრო ეფექტურად და მოსწავლის შესაძლებლობებზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის დაგეგმვის საშუალებას. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს ჰოლისტური შეფასების სქემის დახვეწას, რომელიც უფრო გააუმჯობესების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):.

- კურიკულუმი
- განხორციელებული შეფასების ანალიზი
- წარმოდგენილი დოკუმენტი (ქოუჩინგის შეჯამების ფორმა, რესურსი 12).

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

სახელმწიფო ენა-სკოლას გააზრებული აქვს, რომ მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემა ეყრდნობა მოსწავლეზე ინფორმაციის შეგროვების მრავალფეროვან წყაროებს, რომ ჰოლისტური შეფასება გვეხმარება, მოსწავლე დავინახოთ და შევაფასოთ მრავალი კუთხით, დავინახოთ მისი საჭიროებები და მიღწევები კონკრეტული უნარების მიმართულებით, რაც დაეხმარება მოსწავლეს პიროვნული და აკადემიური უნარების გაუმჯობესებაში. სკოლა გეგმავს მომავალი წლიდან მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემის გაძლიერებას, შეგროვილი ინფორმაციის დოკუმენტირებას, რათა უკეთ შეძლოს მიმოხილვა და ანალიზი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა-.მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე, არამედ, მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით.სკოლა გეგმავს მომავალი წლიდან მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემის გაძლიერებას. შეგროვილი ინფორმაციის დოკუმენტირებას, რათა უკეთ შევძლოთ მიმოხილვა და ანალიზი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა-. კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეების შეფასება ხორციელდება არა მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტით, არამედ, კომპლექსური დავალების მიმდინარეობის პერიოდში, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით. სკოლა გეგმავს მომავალი წლიდან მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემის გაძლიერებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას, ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგის ინტერვიუდან გამომდინარე საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რომელიც მიმართულია მოსწავლის დადებითი მხარის წარმოსაჩენად და რჩევების ზუსტად და გასაგებად მიცემაში, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას და სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესებას, შემდგომში სასურველია სკოლამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების გადამუშავების დროს და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ესთეტიკური აღზრდა- კათედრას გაცნობიერებული აქვს ჰოლისტური შეფასების მნიშვნელობა და ის ფაქტი, რომ შეფასება უნდა მოხდეს მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით. მოწოდებულ დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ესთეტიკის კათედრაზე მოსწავლეთა შეფასება მოხდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებებით. ქოუჩინგის პროცესში უკვე შექმნილი სანიმუშო განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით თითოეული თემის ფარგლებში პედაგოგები შექმნიან განმსაზღვრელ და გამნავითარებელ შეფასების რუბრიკებს, შექმნიან და განახორციელებენ თვითშეფასების რუბრიკებს და ასევე აწარმოებენ მოსწავლეთა დაკვირვებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სამომავლო პერსპექტივებად კათედრა საბაზო საფეხურზე განიხილავს მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენებას, შეფასებების რუბრიკების გამოყენებას, მოსწავლეების შესაძლებლობასა და საჭიროებებზე მორგებულ აქტივობებს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- კათედრა გეგმავს შეფასება მოახდინოს მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით; ამ საკითხზე მსჯელობენ და მუშაობენ კათედრის წევრები,რათა ახალი სასწავლო წლისთვის შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე ორიენტირებული და მორგებული გახდეს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სახელმწიფო ენა-სკოლას გააზრებული აქვს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის წინაპირობასა და ფაქტორებზე დაყრდნობით, რაც საშუალებას გვაძლევს მოსწავლის მრავალი კუთხით იდენტიფიცირებას, მისი უნარების გამოვლენას, რაც მისცემს უფრო ეფექტურად და მოსწავლის შესაძლებლობებზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის დაგეგმვის საშუალებას. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს ჰოლისტური შეფასების სქემის დახვეწას, რომელიც უფრო გააუმჯობესებს მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

მათემატიკა- სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის წინაპირობასა და ფაქტორებზე დაყრდნობით ,რაც საშუალებას გვაძლევს მოსწავლის მრავალი კუთხით იდენტიფიცირებას. გამოვავლინოთ სასწავლო პროცესში გამოყენებული მისი სხვადასხვა უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, პასუხისმგებლობა, არგუმენტირება, მსჯელობა, პრეზენტირება, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენება. სკოლის დოკუმენტაციაში დევს შესაბამისი აქტივობების შეფასების რუბრიკები. გასაუბრების დროს გაირკვვა, რომ მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა- კათედრაზე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები დახვეწის პროცესშია, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მრავალმხრივი მიმართულებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლაში შეფასების რუბრიკები ფიზიკური აღზრდაში და სპორტში საჭიროებს დახვეწას და განვითარებას და რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება შეფასება მრავალი კონტექსტის გამოყენებით, რაც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გამოიკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შეფასებისას მათი შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინება, რის მზაობასაც გამოხატავს სკოლა **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, ინტერესები და შესაძლებლობები. განმავითარებელი შეფასება ძირითადად ვერბალურია და დაეხმარება მოსწავლეს სირთულეების დაძლევაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა შეფასების სადიაგნოსტიკო შეფასების მეორე ინსტრუმენტზე შეჯერდა, მათ კათედრაზე დაგაწყვიტეს რომ მათი მოსწავლეების ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით უპირატესობა ენიჭება მეორე ინსტრუმენტს რაც გულისხმობს მოსწავლეებისთვის 45-90 წუთის ვადაში სადიაგნოსტიკო ტესტზე მუშაობას, შესაბამის რესურსებზე დაყრდნობით, კათედრა გეგმავს ჰოლისტური შეფასების ინსტრუმენტების დაგეგმვას, რაც მოსწავლეების შესაძლებლობის იდენტიფიცირებას მოახდენს, მასწავლებელი სამომავლოდ მოსწავლეების შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით იმუშავებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- კათედრა გეგმავს კომპლექსური დავალებებით სწავლებას, რათა შეძლონ მრავალფეროვანი კონტექსტის გამოყენება, აგრეთვე მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა,რომ საგაკვეთილო პროცესი განხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით(ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია, მოსწავლეზე დაკვირვება). შესაბამისად შეფასებაც წინასწარ შექმნილი შეფასების რუბრიკების საშუალებით განხორციელდება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სახელმწიფო ენა- 2023 – 2024 სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს სასწავლო პროცესის ჰოლისტურად, მრავალი კუთხით შეფასებას, მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას, რაც მასწავლებელს გაუადვილებს მოსწავლის შეფასების პროცესს და ანახებს მის მიღწევებსა და საჭიროებებს მრავალი კუთხით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვება მასწავლებლების, ასევე ხარისხის მართვის წევრებისა და დირექციის მეშვეობით. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები; სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მასწავლებელთა მიერ შეფასებისას გამოყენებული სხვადასხვა მეთოდები მაგ: დისკუსია, ექსპერიმენტი, ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, დისკუსიის შეფასებები. რასაც ადასტურებს სკოლაში ესგ-ზე დაყრდნობით შემუშავებული სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკებს და რაზეც პედაგოგებმა ისაუბრეს ინტერვიუს დროს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა- კატედრაზე იგეგმება სასწავლო პროცესის ჰოლისტურად, მრავალი კუთხით შეფასება, მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, რაც მასწავლებელს გაუადვილებს მოსწავლის შეფასების პროცესს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-3. სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსზღვრის მიზნით შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. რომელიც ასახულია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, შესაბამისად 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით კათედრაზე გამოიყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს: დაგეგმილია სემესტრულად პირველი სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის გამოყენება, შეიქმნება განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლის მიხედვითაც ესთეტიკის კათედრის მასწავლებლები შეძლებენ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების უკეთ დადგენას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეფასება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა საბაზო საფეხურზე გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს პროდუქტიული და მოიცვდეს სხვადასხვა მიმართულებას. შეფასება მიმართულია სხვადასხვა მიმართულებით: განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, მოსწავლეზე დაკვირვება, მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების დამუშავებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით საბუნებისმეტყველო კათედრა გეგმავს განახორციელოს სადიაგნოსტიკური შეფასების მე-2 ინსტრუმენტი „საკლასო წერა"-ის გამოყენებას; ასევე შექმნას და გამოიყენოს განმსაღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლის მიხედვითაც შეძლებენ დაადგინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, რაც უზრუველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეფასებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სახელმწიფო ენა-საბაზო საფეხურის მოსწავლეთა შეფასების დროს გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები, რაც გამოიხატება მის ინდივიდუალიზმში, საჭიროებებსა და მიღწევებში. მოსწავლე ფასდება მრავალმხრივი უნარის გააზრების და შეფასების საშუალებით, რაც დაეხმარება მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგმაში. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეს განუვითაროს აკადემიური და პიროვნული უნარები, გაუმჯობესდეს სწავლა-სწავლების პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

მათემატიკა- სკოლის მიერ შეფასება წარმოებს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლის პარალელური კლასები საგნების მიხედვით იყენებენ ერთნაირ კომპლექსურ დავალებებს, თუმცა კლასის საჭიროებებიდან გამომდინარე ახდენენ მათ მოდიფიცირებას და შესრულებულ დავალებას აფასებენ შესაბამისი შეფასების რუბრიკით. ასევე ამ ფაქტორებს ითვალისწინებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების დროს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა- კათედრაზე მიმდინარე სასწავლო წლისთვის იგეგმება მოსწავლეთა შეფასების დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენება, სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორების გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭება განმავითარებელ შეფასებებს, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-4. საბაზო საფეხურის მასწავლებლები მიმდინარე სასწავლო წელს მოსწავლეთა შეფასებისას ძირითადად იყენებენ განმავითარებელი შეფასებებს რუბრიკებს და სიტყვიერ კომენტარებს, შეფასებები ხდებოდა საჭიროებებსა და მიღწევების შესაბამისად, მაგრამ ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგებს დასახვეწი აქვს შეფასებები. რომელიც სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით მოხდება მომავალ სასწავლო წელს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- კათედრა საბაზო საფეხურის მოსწავლეთა შეფასების დროს გაითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორებს, ისეთებს როგორებიცაა მოსწავლეთა განწყობებსა და სასკოლო მზაობას, მათ უნარებსა და ინტერესებს, ინდივიდუალიზმში, საჭიროებებსა და ა.შ. ეს ხელს შეუწყობს. მოსწავლეს განავითაროს აკადემიური და პიროვნული უნარები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საბზო საფეხურზე მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება. კათედრის წევრები სისტემატიურად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილს, კონსტრუქციულ უკუკავშირს აძლევენ ერთმანეთს, ხარვეზის შემთხვევაში, აძლევენ რეკომენდაციებს, წარმატებული აქტივობების შემთხვევაში, იზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას, გეგმავენ მომავალ გაკვეთილებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, კათედრა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს კომპლექსური და მოიცვას სხვადასხვა მიმართულება. შეფასება წარმართოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეზე დაკვირვება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმი
- სასწავლო პროცესის მონიტორინგის განხორციელების შეფასების ანალიზი;
- კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები;
- წარმოდგენილი დოკუმენტი (ქოუჩინგის შეჯამების ფორმა, რესურსი 12).

შეფასება:

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

სახელმწიფო ენა-სასწავლო წლის ბოლოს საგნობრივი კათედრები ახორციელებენ სასწავლო წლის გასული წლის კურიკულუმის რევიზიასა და ანალიზს, რომლის ფარგლებშიც, საბაზო საფეხურის მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები განიხილავენ განვლილ სასწავლო წელს განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს, მათ ეტაპებს, იკვლევენ, რომელმა მიდგომამ და მეთოდმა გაამართლა და რა საჭიროებს დახვეწას. ამ ეტაპზე ეს პროცესი მიმდინარეობს, უმეტესწილად, ზეპირსიტყვიერად. ამ მიმართულების დასახვეწად და გასაუმჯობესებლად 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისისთვის სკოლა გეგმავს შეიმუშაოს კურიკულუმების რევიზიის ინსტრუმენტი, რაც გაუმჯობესებს შეფასებისა და გადახედვის პროცესებს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა-სასწავლო წლის ბოლოს, საგნობრივი კათედრების მიერ ხდება სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული კურიკულუმის რევიზია და ანალიზი, რომლის ფარგლებშიც, საბაზო საფეხურის მასწავლებლები, კათედრის წევრები, მშობლები და მოსწავლეები საუბრების და მსჯელობის მეშვეობით განიხილავენ განვლილ სასწავლო წელს განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს, მათ ეტაპებს და საკითხებს და შემდეგ, ამ მსჯელობის საშუალებით ვიგებთ რომელმა მიდგომამ და მეთოდმა გაამართლა და რა საჭიროებს დახვეწას. ამ პროცესების განხილვა ხორციელდება უმეტესწილად ზეპირსიტყვიერად საუბრების საშუალებით. გასაუბრებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს ჩატარებულ კომპლექსურ დავალებებზე და აღნიშნეს სხვადასხვა მიდგომები, რასაც იგივე კომპლექსურ დავალებებზე შეცვლიდნენ. 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისისთვის იგეგმება სკოლამ შეიმუშაოს კურიკულუმების რევიზიის ინსტრუმენტი, რაც გაუმჯობესებს შეფასების და გადახედვის პროცესებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა- კათედრას აქვს გამოცდილება და მომავალშიც გეგმავს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის მიმართულებით როგორც ჩანს სკოლას მცირე გამოცდილება აქვს. თუმცა ქოუჩინგის შედეგად მღებული და არსებული გამოცდილების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

საფუძველზე სკოლა გეგმავს ამ მიმართულების 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისისთვის შეიმუშაოს კურიკულუმების რევიზიის ინსტრუმენტი, რაც გააუმჯობესებს შეფასების დაგეგმის და გადასინჯვის მექანიზმებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე კათედრას არ აქვს კურიკულუმის განვითარებისა და რევიზიის ინსტრუმენტი, თუმცა გეგმავენ ასეთი ინსტრუმენტის შექმნას. დღევანდელი მდგომარეობით, კათედრის წევრები სისტემატიურად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილს, პოზიტიურ უკუკავშირს აძლევენ მასწავლებელს, ხარვეზის შემთხვევაში, აძლევენ რჩევებს და რეკომენდაციებს, წარმატებული აქტივობების შემთხვევაში, იზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას, ერთობლივად გეგმავენ მომავალ გაკვეთილებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საბაზო საფეხურზე მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება. კათედრის წევრები სისტემატიურად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილს, კონსტრუქციულ უკუკავშირს აძლევენ ერთმანეთს, ხარვეზის შემთხვევაში, აძლევენ რეკომენდაციებს, წარმატებული აქტივობების შემთხვევაში, იზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას, გეგმავენ მომავალ გაკვეთილებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება. კათედრის წევრები სისტემატიურად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილს, კონსტრუქციულ უკუკავშირს აძლევენ ერთმანეთს, ხარვეზის შემთხვევაში, აძლევენ რეკომენდაციებს, წარმატებული აქტივობების შემთხვევაში, იზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას, გეგმავენ მომავალ გაკვეთილებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

სახელმწიფო ენა-საბაზო საფეხურზე სასწავლო წლის დასრულების შემდგომ განიხილება განხორციელებული კურიკულუმები. მოსწავლეებთან, მშობლებთან და პედაგოგებთან საუბრებში გამოკვეთილი მიღწევებისა და გამოწვევების გათვალისწინებით სკოლა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

გეგმავს მომავალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას. კერძოდ, დადებით მხარეებს დანერგავს მომავალ კლასებშიც, ხოლო გამოვლენილი ხარვეზის გამოსასწორებლად განახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს, რაც გააუმჯობესებს სწავლების ხარისხს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- საბაზო საფეხურზე, მათემატიკის მასწავლებლები ერთად მუშაობენ კურიკულუმის შედგენისას. ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. ასეთი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია სრულ შესაბამისობაში იქნება ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა- იგეგმება კურიკულუმის გადამუშავება, რომელიც დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები- საბაზო საფეხურზე, მათემატიკის მასწავლებლები ერთად მუშაობენ კურიკულუმის შედგენისას. ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. ასეთი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია სრულ შესაბამისობაში იქნება ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. რომლებიც ითვალისწინებდნენ წინარე ცოდნის გამოცდილებას, ამის შედეგად სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის 2023-24 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის კურუკულუმები, რომლის რევიზიის მზაობასაც გამოხატავს სკოლა, მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში სრულ შესაბამისობაში მოვა ახალი თაობის ე.ს.გ. მოთხოვნებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ კათედრის მიერ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. რესურსი 12-ში მითითებულია თუ რა წინარე გამოცდილებას ფლობენ პედაგოგები და როგორ ცდილობენ პროცესების დახვეწასა და გამრავალფეროვნებას კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

დავალებებით, დიაგნოსტიკური წერებით, შეფასების რუბრიკებითა და სხვადასხვა აქტივობებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენაზე მიზნობრივად მუშაობენ საგნობრივი კათედრები. კათედრები ითვალისწინებენ კურუკულუმის განვითარების წინარე გამოცდილებას,საბაზო საფხურზე მოხდება კურუკულუმების რევიზია და მზაობასაც გამოხატავს სკოლა, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში სრულად დაამუშავებენ კურუკულუმს მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- კათედრა გეგმავს მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას გამოცდილების, მონიტორინგის შედეგების და შეფასების შედეგების გათვალისწინებით; მონიტორინგის აქტივობებს აკვირდება და მონიტორინგს უწევს სკოლაში არსებული ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაციის წევრები. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას მასწავლებლები გაითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- გადამუშავებული კურიკულუმი;
- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- ■ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სახელმწიფო ენა-. განაცხადის წარდგენის ეტაპზე სკოლას არ ჰქონდა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, თუმცა საშუალო საფეხურზე კურიკულუმი იქმნება სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ სასწავლო წლის განმავლობაში, წლის ბოლოს აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს, განიხილავენ მოსწავლეთა საჭიროებებს, შესაძლებლობებს და გეგმავენ მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას. სკოლა გეგმავს 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში სასკოლო საზოგადოების უფრო მეტად ჩართულობის მიზნით გეგმავს მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების კვლევას და ამის გათვალიწინებით საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- მათემატიკაში საშუალო საფეხურზე გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. სკოლის დოკუმენტაციაში კათედრის შემაჯამებელი ოქმების შინაარსიდან და ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს წინა წლის გამოცდილებას მომდევნო წლის კურიკულიმის დაგეგმვისას. წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, მიგნებები, ანალიზის საფუძველი ხდება. პედაგოგები რევიზიის შედეგად მიღებული შედეგების გათვალისწინებით გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები-დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს უცხოური ენების კათედრის შემაჯამებელ ოქმად მოხსენიებული დოკუმენტი, რომელიც ჰოლისტურად გვიქმნის წარმოდგენას თუ როგორ გეგმავს სკოლა 2023-24 სასწავლო წლის წარმართვას. სწორედ ამ ოქმზე და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობითა შეიძლება დავასკვნათ, რომ უცხოური ენების კათედრას სასწავლო წლის კურიკულუმის პროექტი/მაკეტი ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად აქვთ შემუშავებული და რომ მისი შექმნისას გაითვალისწინეს მოსწავლეთა ასაკის მიხედვით გათვალისწინებული ინტერესები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-კურიკულუმის *მეთოდოლოგიის მექანიზმები საშუალო საფეხურზე შემუშავებულია და ზოგადად გაწერილია სკოლის* ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში და სკოლის თვითშეფასების ფორმის ნარა ტივში. აგრეთვე ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი ინტერვიუში ადასტურებს, რომ კათედრალური კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, გათვალისწინებულია მოსწავლეების ინტერესები, ხდება მშობლებისთვის ინფორმაციის გაზიარებ. მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

კი შემუშავებული საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები დაიხვეწება შესაბამისი მეთოდოლოგიების მიხედვით. რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს; შემდგომში სასურველია სკოლამ მეტად ნათლად ასახოს წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კურიკულუმების შემუშავების მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა-საშუალო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდა (მუსიკა, ხელოვნება) წარმოდგენილია მხოლოდ პროექტული სწავლებით. პროექტული სწავლებისთვის კურიკულუმები არ არის გათვალისწინებული. ესთეტიკის კათედრა საშუალო საფეხურზე სწავლებისას ეყრდნობა გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, სამინისტროს მიერ მიწოდებულ რესურსებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები-საშუალო საფეხურზე პედაგოგების მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ საზოგადოებრივ კათედრაზე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია მოიცავს წინა წლის კურიკულუმის განხორციელების პროცესის ანალიზსა და შეფასებას, მოსწავლეთა შედეგების ანალიზსა და ტიპიური საჭიროებების დადგენას, სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტების გათვალისწინებას. პედაგოგები კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში ერთმანეთთან თანამშრომლებენ, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას და ერთობლივად ქმნიან კურიკულუმებს გეოგრაფიის, მოქალაქეობის და ისტორიის მიმართულებით. კურიკულუმის შექმნისას პედაგოგები ითვალისწინებენ გრიფირებულ და დამხმარე სახელმძღვანელოებს, სხვა სასწავლო რესურსებს, განსაზღვრავენ, რომელ თემებს, საკითხებსა და ქვესაკითხებს ასწავლიან მომდევნო სასწავლო წელს, რა შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებებს იყენებენ თემის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად და რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. შეხვედრებზე მიმდინარეობს მსჯელობა მასწავლებლებს შორის კლასებისა და მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებზე. შესაბამისად, კურიკუმების შედგენის დროს იგეგმება, მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები. მშობლისა და მოსწავლის ინტერესები დადგენილ იქნა გამოკითხვის მეთოდით. მათი უკუკავშირების საფუძველზე არის დაგეგმილი რიგი აქტივობები. საბუნებისმეტყველო კათედრაზე ხდება კურიკულუმების მეთოდიკის შემუშავება. სამომავლოდ სკოლა გეგმავს შეიმუშაოს სასკოლო კურიკულუმების შევსების მეთოდოლოგია და დებულება **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სახელმწიფო ენა- კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კერძოდ, საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს. შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს. კათედრის წევრებთან და მშობლებთან იგეგმება შეხვედრები, სადაც არჩევენ კომპლექსურ დავალებებს მათი ინტერესების შესაბამისად. სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან უფრო მეტად გააქტიუროს მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მოსწავლეთა ინტერესების დასადგენად სკოლა იყენებს კითხვარს. გამოკითხვის შედეგების ანალიზით დგინდება, რა ტიპის დავალებებია მათთვის სახალისო და რაზე გაუჭირდათ მუშაობა. სკოლა გეგმავს, 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმში სრულად ასახოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შესაძლებლობები: მოსწავლეებს შესთავაზოს მრავალფეროვანი სასკოლო პროექტები, წაახალისოს მათი ინიციატივები, შესთავაზოს პრობლემაზე დაფუძნებული ისეთი კომპლექსური ტიპის დავალებები და პროექტები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში საშუალო საფეხური ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, ამ პროცესს ხელს უწყობს წინასწარ დაგეგმილი შეხვედრები კათედრის წევრებთან და მშობლებთან, კომპლექსური დავალების იდეა ისე აქვთ შერჩეული, რომ მოსწავლეთა ინტერესის სფეროს მოიცავს, მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა შედეგების ანალიზს, რა იყო მათთვის ყველაზე სახალისო და რაზე გაუჭირდათ მუშაობა, რისთვისაც იყენებენ წინასწარ შედგენილ თვითშეფასების კითხვარს. მოსწავლეთა ინტერესიდან გამომდინარე სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები. მაგ, პროექტი სათაურით: ”გაACTიურდი“. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

უცხოური ენა-სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებზე დაყრდნობით, რომლებშიც ჩამოთვლილია თუ რა თემებისა და რა ქვეთავების გავალას აპირობენ ამა თუ იმ კლასში უცხოური ენის პედაგოგეგები, შეიძლება მივიჩნითო, რომ გასავლელი თემები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი მზაობისა და ინტერესების გათვალისწინებით. წლიური სამოქმედო გეგმა კი გვაწვდის ინფორმაციას, რომ მომდევნო -2023-24 სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას სკოლამ გაითვალისწინა მოსწავლეთა მიმდინარე სასწავლო წლის მიღწევები, რაც გაანალიზეს და შესაბამისი ცვლილებები განახორციელეს 2023-24 წლის სასწავლო გეგმაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგებთან ინტერვუიდან გამოიკვეთა საბაზო საფეხურის კურიკულუმებში 2023-24 სასწავლო წლიდან დაგეგმილია არსებული რესურსებიდან გამომდინარე პრიორიტეტული თემების განსაზღვრა. ყველა კლასში ფიზიკური აღზრდის და სპორტისთვის თითოეული თემისთვის კომპლექსური დავალებების განხორციელება და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მომზადდება. კურიკულუმის შემუშავების და მოდიფიკაციის პროცესი ითვალისწინებს მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების აქტიურ ჩართულობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა-ესთეტიკის კათედრაზე პედაგოგები, მოსწავლეებთან შეთანხმებით ირჩევენ სასწავლო პროექტებს (სემესტრში ერთს) და ხდება მშობელთა ინფორმირება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები-საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კურიკულუმი შედგენილია კათედრის წევრთა რეკომენდაციის, მშობელთა ინტერესებისა და მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით. საგნობრივმა კათედრებმა საბაზო საფეხურზე შექმნეს ახალი კურიკულუმების ჩარჩო, რომელშიც გათვალისწინებულია მასწავლებელთა და მოსწავლეთა მიღწევები და საჭიროებები. სკოლა გეგმავს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკურლუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების სრულად ჩართვას, კერძოდ, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას კომპლექსური დავალებების შერჩევისას, საშუალო საფეხურზე იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები; ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

შესაბამისი საგნის მასწავლებლების მიერ კოლეგებთან (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებთან) თანამშრომლობით. კურიკულუმებში ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა განსაკუთრებით მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები, რაც დადგინდა მათი გამოკითხვის საშუალებით. კერძოდ, დაიგეგმა ახალი სასწავლო წლიდან ყველა კლასში კომპლექსური დავალებების დამატება, რისთვისაც პედაგოგები მოიძიებენ და მოამზადებენ მოსწავლეებისთვის საინტერესო კონტექსტ-მაგალითებს. თითოეულ კომპლექსურ დავალებას დაურთავენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სახელმწიფო ენა-შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი შედგენილია კათედრის წევრთა რეკომენდაციის, მშობელთა ინტერესებისა და მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით. 2023-2024 სასწავლო წლის კურიკურლუმის შემუშავების პროცესში სკოლა გეგმავს სასკოლო საზოგადოების სრულად ჩართვას. ამ მიზნით გაითვალისწინებს კომპლექსური ტიპის დავალებების იდეის შემუშავებაში მოსწავლეთა უკუკავშირსა და ინტერესებს, შესთავაზებს მათ სასკოლო პროექტებს და წაახალისებს მოსწავლეთა ინიციატივებს. გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრების რეკომენდაციები, მშობელთა ინტერესები. მასწავლებლები საგნობრივი კათედრების დონეზე განახორციელენ სასწავლო პროცესის ანალიზს, რომლის გათვალისწინებითაც შეიქმნება მომავალი წლის სასკოლო კურიკულუმი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობას იღებს მათემატიკის კათედრის ყველა მასწავლებელი. ისინი განსაზღვრავენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზაციისთვის საჭირო აქტივობებს. თანხმდებიან შესასწავლი თემების რიგითობაზე, ასევე იმაზე, თუ რა საკითხებს და ქვესაკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში გამოკვეთილი ცნებების გასააზრებლად, რომელ კომპლექსურ დავალებებს განახორციელებენ, რა ძირითადი რესურსები დასჭირდებათ, რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები- უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილმა ოქმმა და ინტერვიუმ ცხადყო, რომ 2023-24 სასწავლო წლის კურიკულუმის დანართების შექმნაში უცხოური ენების ყველა პედაგოგი აქტიურად იყო ჩართული და რომ ახდენდნენ აზრთა ურთიერთ გაზიარებას/შეჯერებას მომდევნო სასწავლო წელს კი აპირებენ შეადგინონ კითხვარი, მოსწავლეთა/მშობელთა ბარათები რათა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

უზრუნველყონ კურიკულუმის დანართებში სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლაში მოხდა 10-11 კლასის ფიზიკური აღზრდის და სპორტის კურიკულუმების შემუშავება კათედრების მიერ. მომავალ სასწავლო წელს სკოლას გათვალისწინებული აქვს კურიკულუმის მონიტორინგთან დაკავშირებით სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტის დანერგვა. რაც ხელს შეუწყობს სრულად გამოვლინდეს სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა-სასკოლო საზოგადოებასთან შეთანხმებით, კათედრაზე გადაწყდა, რომ მე-10 კლასში განხორციელდება პროექტურლი სწავლება მუსიკაში, ხელოვნებაში კი პროექტული სწავლება განხორციელდება მე-11 კლასში, რომლებისთვისაც შეიმუშავებენ განმავითარებელ შეფასებებს ექსპერტების რეკომენდაციების შესაბამისად. მიმდინარე პრაქტიკის თანახმად, კათედრის პედაგოგები აგროვებენ სხვადასხვა მონაცემებს განხორციელებული პროექტების შესახებ და აანალიზებენ სასწავლო პროცესის ძლიერ და სუსტ მხარეებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები-საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კურიკულუმი შედგენილია კათედრის წევრთა რეკომენდაციის, მშობელთა ინტერესებისა და მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით. საგნობრივმა კათედრებმა საშუალო საფეხურზე შექმნეს ახალი კურიკულუმების ჩარჩო, რომლშიც გათვალისწინებულია მასწავლებელთა და მოსწავლეთა მიღწევები და საჭიროებები. სკოლა გეგმავს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკურლუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების სრულად ჩართვას, კერძოდ, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას კომპლექსური დავალებების შერჩევისას, საშუალო საფეხურზე იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-კურიკულუმიშემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია შესაბამისი საგნის მასწავლებლების მიერ კოლეგებთან (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებთან) თანამშრომლობით. მასში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, საჭიროებები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

კათედრა მომავალ სასწავლო წელს გეგმავს სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან და მეტად აქტიურად ჩართვას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სახელმწიფო ენა-სკოლა გეგმავს 2023-2024 სასწავლო წლისათვის საშუალო საფეხურზე სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის ხელმისაწვდომი და საჯარო გახადოს საგნობრივი კურიკულუმი და სხვა მასალები, როგორებიცაა: საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებები და სხვ. სკოლა აღნიშნავს, რომ ამისთვის მას შეუძლია ნებისმიერი ფორმა და მისთვის რელევანტური საშუალებები გამოიყენოს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა კურიკულუმის გასაზიარებლად ერთ-ერთ საშუალებად იყენებს პირისპირ შეხვედრებს, ვინაიდან ყველას არ აქვს ინტერნეტთან წვდომა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; **მათემატიკის** საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც მოქმედია განთავსებულია და გაზიარებულია სკოლის onedrive-ზე, ასევე messenjer ჩატების საშუალებით გაზიარებულია მშობლებთან „კომპლექსური დავალების ბარათები“. მშობლებისათვის. ახალი სასწავლო 2023-2024 სასწავლო წლისათვის საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომი და საჯარო იქნება სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისათვის. რაც გულისხმობს იმას, რომ ამისათვის სკოლა იყენებს მისთვის სხვადასხვა რელევანტური საშუალებებს; პირადი შეხვედრებით, სკოლის საინფორმაციო დაფით, საგანმანათლებლო პლატფორმები (Teams). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა-ამ ეტაპზე არ არის წარმოდგენილი რაიმე დოკუმენტი თუ როგორ ახდენენ უცხოური ენების პედაგოგები კურიკულუმის დანართების გაზიარებას სასკოლო საზოგადოებასთან. თუმცა, პედაგოგებთან ინტერვიუმ მიჩვენა, რომ მათ აქვთ გამოცდილება მშობელთა ბარათების მშობელთა კრებაზე გაზიარებისა და რომ მომდევნო სასწავლო წელსაც ანალოგიურად აპირებენ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და კათედრასთან შეხვედრის დროს გამოიკვეთა რომ დამრიგებლებს აქვთ აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან, რათა მუდმივად იყვნენ ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის სოციალურ გვერდზე აქტიურად ქვეყნდება სხვადასხვა მათთვის საინტერესო ინფორმაციას კათედრა. გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მიწოდებულ ფიზიკური აღზრდის და სპორტის კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოს. აღნიშნული ჩარჩო განხილული იქნა კათედრაზე, რომლის მიხედვითაც სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურისა და მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით შემუშავდა საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც კიდევ ერთხელ გადამუშავდება სასწავლო წლის დასაწყისი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- სასწავლო მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. მასწავლებლების თქმით, მშობლებისთვის კურიკულუმის გაზიარებისთვის აქტიურად გამოიყენება სოციალური ქსელები და შეხვედრები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები-კათედრასთან შეხვედრის დროს და სკოლის თვითშეფასების ფორმიდან გამოიკვეთა რომ დამრიგებლებს აქვთ კომუნიკაცია მშობლებთან. სკოლის სოციალურ გვერდზე აქტიურად ქვეყნდება სხვადასხვა მათთვის საინტერესო ინფორმაციას, ამასთანავე სკოლა იყენებს კომუნიკაციისთვის საგანმანათლებლო პლატფორმები (Teams), ხშირია კათედრის წარმომადგენელებს შორის შეხვედრები, რაც გასაუბრებაზეც კიდევ ერთხელ დადასტურდა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-ჩანს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, კათედრა გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მოწოდებულ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ კურიკულუმის ჩარჩოს. აღნიშნული კურიკულუმის ჩარჩო განხილული იქნა კათედრაზე, რომლის მიხედვითაც შემუშავდა ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის სასკოლო საგნობრივი კურიკულუმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

- კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები;
- კათედრის ოქმები;
- სასკოლო პროექტი;
- სკოლის თვითშეფასება

1.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
სახელმწიფო ენა-საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებას სკოლა გეგმავს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესებისა და შეხედულებების გათვალისწინებით. კერძოდ, გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინტერესები მათი მზაობისა და შესაძლებლობების მიხედვით, მშობელთა ინტერესები - სხვადასხვა კომუნიკაციის საფუძველზე მიღებული უკუკავშირის (მშობელთა კრება, ინდივიდუალური შეხვედრები. ონლაინ პლატფორმები) საშუალებით. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის წევრები შეისწავლიან წინა სასწავლო წლის კურიკულუმის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ამის გათვალისწინებით დაგეგმავენ კურიკულუმის ჩარჩოს. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პროცესში პერიოდულად განხორციელდება მონიტორინგი და შეფასება. ამ ეტაპზე კათედრამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

შემუშავებული აქვს საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო-პროექტის შაბლონი მხოლოდ მეათე კლასისათვის. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას მომავალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის მზად ექნება საგნობრივი კურიკულუმი მთლიანად საფეხურისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა-მათემატიკის კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დანერგვასა და განვითრების გზას, რაც გამოჩნდა მათ მიერ განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებში, ახალ კურიკულუმში ძირითადათ წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეეები, რომელიც აგებულია მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესებიდან გამომდინარე. ამ ეტაპზე სკოლას წარმოდგენილი აქვს მეათე და მეთორმეტე კლასის კურიკულუმის ჩარჩო-პროექტის შაბლონი, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას მომავალი სასწავლო წლის დასაწყისითვის მზად ექნება საგნობრივი კურიკულუმი მთლიანად საფეხურისათვის. პედაგოგებმა გამოკვეთეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით. სწორი აქცენტები გააკეთეს გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშველობაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა- წარმოდგენელი კურიკულუმის ჩარჩოების/დოკუმენტაციის საშუალებით და ასევე ინტერვიუსას გაცემული პასუხებით, უცხოური ენის სწავლა-სწავლების პროცესზე პასუხისმგებელნი პირნი ჰოლისტურად გვიქმნინან წარმოდგენას, რომ მათ მიერ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე. იყენებენ რა პროექტული შინაარსის დავალებებს მოსწავლეებს აძლევენ შესაძლებლობას კეთებისა და კვლევის პროცესში თავდ მოახდინონ სწავლის კონსტრუირება, თუმცა სამწუხაროდ ასეთი დავალებები, უმეტესად ყველა კლასისთვის სემესტრში მხოლოდ ერთი აქვთ, მოსწავლეთა უწყვეტი განვითარებისათვის კი აუცილებელია/სასურველია ყველა თემაში ახდენდეს მასწავლებელი მოსწავლეთა დაინტერესებას რეალურ ცხოვრებასთანა ახლოს მყოფი , მოსწავლეთა ინტერესებისა და განვითარების უახლოეს დონესთან დაკავშირებული კომპლექსური/პროექტული შინაარსის მქონე დავალებებით.მაგრამ, შეიძლება ითქვას ,რომ დავალების ძირითადი საკითხები , რომლებსაც უცხოური ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია გვიჩვენებს, რომ კათედრას აქვს მზაობა წარმართოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ჩართულობით, მათივე ინტერესების და მაზობისა შესაბამისად.თუმცა , მიმაჩნია, რომ აუცილებელ;ია მომდევნო სასწავლო წლისთვის წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში მკაფიოდ იკითხებოდეს რა კონტექსტ მაგალითზე დაყრდნობით მოახდენენ მოსწავლეები ცოდნის კონსტრუირებას ამა თუ იმ კომპლექსური დავალების ფარგლებში და თუ რომელ ქვეცნებებს /ქვესაკითხებს მიემართება კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი შუალედური მიზნები/კომპლექსური დავალებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და კათედრასთან შეხვედრის დროს გამოიკვეთა რომ დამრიგებლებს აქვთ აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან, რათა მუდმივად იყვნენ ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის სოციალურ გვერდზე აქტიურად ქვეყნდება სხვადასხვა მათთვის საინტერესო ინფორმაციას. კათედრა გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მიწოდებულ ფიზიკური აღზრდის და სპორტის კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოს. აღნიშნული ჩარჩო განხილული იქნა კათედრაზე, რომლის მიხედვითაც სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურისა და მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით შემუშავდა საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც კიდევ ერთხელ გადამუშავდება სასწავლო წლის დასაწყისი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- საშუალო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდა (მუსიკა, ხელოვნება) წარმოდგენილია მხოლოდ პროექტული სწავლებით. პროექტული სწავლებისთვის კურიკულუმები არ არის გათვალისწინებული. წარმოდგენილია პროექტის ეტაპები, სადაც გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები-საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას, პედაგოგების მიერ შემუშავებულ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო სრულად შეესაბამება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას, XI კლასის კურუკულუმს გაწერენ სწავლის დაწყებამდე, რადგან მათ არ ჰქონდათ ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოები, მათ მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ მათ გააზრებული აქვთ თითოეული ველის მნიშვნელობა და კიდევ და კიდევ იმუშავებენ მათ დახვეწაზე სწავლის დაწყებამდე . **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-საბუნებისმეტყველო კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას, მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში (ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის X კლასის) არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ძირითადად სწორად არის შევსებული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსებით; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

სახელმწიფო ენა-სკოლას გააზრებული აქვს, რომ სტანდარტით განსაზღვრული შედეგის მისაღწევად საჭიროა გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების შემუშავება. გრძელვადიანი მიზნების ფორმულირებისას ყურადღება მიექცევა შედეგებს, სამიზნე ცნებებს და მათთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს, საფეხურის საკვანძო შეკითხვებს. მოკლევადიანი მიზნები ჩამოყალიბდება თემის ფარგლებში. საფეხურის მიზნების მისაღწევად მასწავლებლები მოსწავლეებს შესთავაზებენ კომპლექსურ დავალებებს. ამ ეტაპზე სკოლის კურიკულუმის აგებისას გათვალისწინებულია სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები და შედეგები საფეხურის დონეზე. სასწავლო პროცესში იგეგმება სავალდებულო თემები, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. ამ ეტაპზე შედგენილია საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო-პროექტი მხოლოდ მეათე კლასისათვის. 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისისათვის კურიკულუმი სკოლას მზად ექნება მთლიანად საფეხურისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- საშუალო საფეხურზე, მათემატიკაში კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. გრძელვადიანი მიზნების ფორმულირებისას ყურადღება მიექცევა შედეგებს, სამიზნე ცნებებს და მათთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს, საფეხურის საკვანძო შეკითხვებს. მოკლევადიანი მიზნები ჩამოყალიბდება თემის ფარგლებში. საფეხურის მიზნების მისაღწევად მასწავლებლები მოსწავლეებს შესთავაზებენ კომპლექსურ დავალებებს. კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა შერჩეული, რომ იკვეთება მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. მათი შესრულება მოსწავლეებისგან მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, კომუნიკაციას. დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ შემოქმედებითი აზროვნება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები-საშუალო საფეხურის უცხოური ენების (ინგლისური, რუსული) სასწავლო პროგრამის ჰოლისტურად აღმწერი დოკუმენტები-კურიკულუმის ჩარჩოები წარმოგვიდგენენ რა კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების იდეებს/ძირითად საკითხებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ფუნქციურ კომპონენტური ექვსივე უნარის სათანადოდ დამუშავებას, ვინაიდან კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წახალისებს, მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-10-12 კლასის გადმოგზავნილ კურიკულუმებში, ნათლად არის ჩამოყალიბებული გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, სტანდარტის საფეხურებრივი შედეგები და სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები, აგრეთვე კურიკულუმის განხორციელების პროცესში გაწერილია თემებთან შესაბამისი სპორტული ინვენტარი და სასწავლი ელექტრონული რესურსები, პედაგოგს მიეცა რჩევა დააზუსტოს თემების ნაწილში ქვეცნებები და საკითხების დოზირების შინაარსი, რაც მნიშვნელად შეუწყობს ხელს მოსწავლეების ე.ს.გ. სასწავლი გეგმის გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- საშუალო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდა (მუსიკა, ხელოვნება) წარმოდგენილია მხოლოდ პროექტული სწავლებით. პროექტული სწავლებისთვის კურიკულუმები არ არის გათვალისწინებული. პროექტული სწავლებისას გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები--საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას საშუალო საფეხურზე, მიზნობრივად აქვთ კურიკულუმი შექმნილიმი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. კომპლექსური დავალებები ისე რომ მოსწავლეების გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებას შეუწყობს ხელს. დავალებების შესრულებისას გამოიკვეთება მოსწავლეების კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, რეალური პრობლემების გადაწყვეტა, ეფექტური კომუნიკაცია, შეძლებენ მოსწავლეები ცოდნის კონსტრუირებას. პედაგოგებთან ინტერვიუსას გამოჩნდა, რომ ისინი ამუშაობენ პარალელურ კლასებშიც, შეიმუშავებენ ერთობლივ ხედვებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში, სრულყოფილად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული საგნების (ქიმია, ფიზიკა და ბიოლოგიის) სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები, ყველა თემაში განსაზღვრულია ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით. საგნობრივი კურიკულუმები ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სახელმწიფო ენა-სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომებით. საშუალო საფეხურზე სკოლა მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავს ამ მიმართულებით გაძლიერებას. კერძოდ, აქტიურად ჩართავს მოსწავლებს სწავლის დაგეგმვის ორგანიზებაში. მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით, მასწავლებლები სასწავლო პროცესში დაგეგმავენ მრავალფეროვან აქტივობებს, მოსწავლეებს შესთავაზებენ პროექტებს მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ასევე, მხარს დაუჭერს თვითმმართველობას იდეების განხორციელებაში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში მაქსიმალური ჩართულობისათვის, აძლევენ მათ კომპლექსური დავალების ფორმის არჩევანის შესაძლებლობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- საშუალო საფეხურის მათემატიკის სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიური სწავლების მიდგომებს. აღნიშნული საფეხურის მასწავლებლები პირველ რიგში ცდილობენ გამოკვეთონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებისა და მსგავსი სტრატეგიებით, ამის გათვალისწინებით ნერგავენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს და უზიარებენ ერთმანეთს. მასწავლებლები სასწავლო პროცესში დაგეგმავენ მრავალფეროვან აქტივობებს, მოსწავლეებს შესთავაზებენ პროექტებს მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში მაქსიმალური ჩართულობისათვის, აძლევენ მათ კომპლექსური დავალების ფორმის არჩევანის შესაძლებლობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები- დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ოქმი, რითაც ცხადია, რომ სკოლა გეგმავს ინკლუზიური სწავლების მონიტორინგს და შესაბამისად იგივე დოკუმენტი გვაცნობებს, რომ სკოლას ჰყავს სსსმ მომსწავლე/ები , მაგრამ დოკუმენტებში არ იკითხება როგორ აპირებს იმუშაოს მასწავლებელმა თითოეულ მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით./არ არის წარმოდგენილი როგორ ახდენს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე რესურსების ან/და კომპლექსური დავალების პირობის დიფერენცირებას.თუმცა ინტერვიუირებისას გაცემულმა პასუხებმა, ცხადყო მათი მუშაობის მეთოდები ინკლუზიური მოდგომების გათვალისწინებით.ზეპირ სიტყვიერად განიხილეს ერთი დავალება, რისი ადაპტირებაც მათ განახორციელეს მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სსიპ გორის ტყვიავის საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმაში, სკოლას გაწერილი ააქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი და სსმ მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართვის მექანიზმები. სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესის დიფერენციალურ და ინკლუზიური მიდგომებს, ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში კი გაწერილია აქვთ მათთვის თვალსაჩინოების შეძენა და მათი პერიოდულად განახლება. სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის და სპორტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგება, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, ზემოდ აღნიშნული მომავალში განაპირობებს მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას ფიზიკური აღრზრდის სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- სწავლების პროცეში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომა. სსსმ მოსწავლეებისთვის მოხდება პროექტების ადაპტირება მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები-საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა აქტიურად მუშაობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვასა და განხორციელებაზე, სასწავლო პროცესი სრულად ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, საშუალო საფეხურზე კათედრას აქვს კომპლექსური დავალებებზე, თემატურ მატრიცების განხორციელების გამოცდილება; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესი სრულად ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, რადგან საბუნებისმეტყველო კათედრას აქვს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებზე მუშაობის გამოცდილება, რაც აისახება კომპლექსური დავალების პირობასა და კონკრეტულ აქტივობებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სახელმწიფო ენა-საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებს შეფასების განმსაზღვრელ და განმავითარებელ სისტემას, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. კერძოდ, მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა. პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს. სემესტრის ბოლოს პედაგოგები აკეთებენ შემაჯამებელი დავალების ანალიზს. საგნობრივ კათედრებს შემუშავებული აქვთ შეფასების სქემები: დისკუსიის, პრეზენტაციის, პროექტის, რეფერატის, სხვადასხვა წერითი სამუშაოს და სხვა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ განმავითარებელი შეფასებისათვის მასწავლებლები იყენებენ ზეპირსიტყვიერ და წერილობით უკუკავშირი, თვითშეფასება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბიკებს. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, სკოლამ წარმოადგინა თემის ფარგლებში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ტექსტურ ამოცანებზე, ბრტყელი ფიგურები, მონაცემთა ანალიზი, განტოლებები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ჩამოაყალიბეს თუ რა პრინციპით ხდება მათი შედგენა: განმავითარებელი შეფასების რუბრიკა იქმნება სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები-საშუალო საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელებიც გვაჩვენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის დონეს, თუმცა არ იკითხება კონკრეტულად ერთი დავალების ფარგლებში, როგორ მისცემს მასწავლებელი მოსწავლეს კონსტრუქტივისტულ რეკომენდაციებისკომპლექსურ დავალებაში დამუშავებულ კონკრეტულ საკითხთა კლასტერთან მიმართებით. ასევე, უცხოური ენის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუსბირკები ვერ გვაჩვენებს კორელაციას მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკაოტრებს შორის, მხოლოდ ინტერვიუზე გასაუბრებისა მიღებული ინფორმაციით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლა შეძლებს მომდევნო 2023-24 სასწავლო წლიდან მოსწავლეებს მისცენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი უკუკავშირი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი თემებთან რომლის თემების ქვეცნებების და საკითხების დოზირების შინაარსი დაზუსტებას გეგმავს პედაგოგი 2023-24 სასწავლო წლისათვის და დაგეგმილი კომპლექსური დავალებებთან დართული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის საფუძველზე წარმოადგინა სკოლამ და რომლის განვითარებაზე და დახვეწაზე პედაგოგი გამოხატავს მზაობას: ამის საფუძველზე შეფასების რუბრიკები საშუალებას მისცემს მოსწავლეების ცოდნა შეფასდეს ობიექტურად და მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა-საშუალო საფეხურისთვის ესთეტიკის კათედრაზე შემუშავებულია განმავითარებელი კომენტარების ფორმა, რომელიც საერთოა ყველა კათედრისთვის და მორგებულია საგანს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები-საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლები დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხდება წინარე გამოცდილებისა და გაანალიზების საფუძველზე. საშუალო საფეხურის მასწავლებლების მიერ ხდება მოკვლევა თუ, რომელმა კომპლექსურმა დავალებამ, გამოიწვია მოსწავლეთა მეტი დაინტერესება, ყოველივე ამის გათვალისწინებით კათედრა გამოკვეთს პრიორიტეტებს, გეგმავს სასკოლო აქტივობებს. ერთად აანალიზებენ და გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმს. სკოლას აქვს გამოცდილება განმავითარებელი შეფასების სოლო ტაქსონომიის მიმართულებით, რომელსაც აქტიურად იყენებს სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგების მიერ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

სახელმწიფო ენა-საშუალო საფეხურზე სკოლა გეგმავს სასწავლო წლის ბოლოს კათედრაზე გააანალიზოს მოსწავლეთა შედეგები და ამის გათვალისწინებით შეიტანოს ცვლილებები მომავალი 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმებში. კერძოდ, კომპლექსურ დავალებებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

სასკოლო საზოგადოების შეხედულებების გარკვევის მიზნით შეიქმნება კითხვარები და სასწავლო წლის დაწყებამდე გამოიკითხებიან მშობლები და მოსწავლეები. მიღებული უკუკავშირი გაანალიზდება და გათვალისწინებული იქნება საგნობრივ კურიკულუმში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, კერძოდ, სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხდება წინარე გამოცდილებისა და გაანალიზების საფუძველზე. ამისათვის მათემატიკის საშუალო საფეხურის მასწავლებლების მიერ იწერება განხორციელებული სამუშაოების ანალიზი, რომელმა კომპლექსურმა დავალებამ, რომელმა პროექტმა გამოიწვია მოსწავლეთა მეტი დაინტერესება, ყოველივე ამის გათვალისწინებით დაწყებითი გამოკვეთს პრიორიტეტებს, გეგმავს სასკოლო აქტივობებს. ერთად აანალიზებენ და გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმს. ეს ყველაფერი გამოიკვეთა როგორც სკოლის დოკუმენტაციაში, ასევე მათთან ინტერვიუს დროს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები-სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი სახელად „ერთწლიანი სამოქმედო გეგმა“, რომელშიც პასუხისმგებელი პირები გვეუბნებიან, რომ სკოლამ შეიმუშავა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის დანართები გასული წლის სამოქმედო გეგმის რეფლექსიაზე დაყრდნობით, რაც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდო, რომ ასევე მოხდა უცხოური ენების დანართების მომზადება მომდევნო სასწავლო წლისთვის წინარე წლის რეფლექსიაზე, თუმცა კონკრეტულად რომელიმე უცხოური ენის 2023-24 ს.წ. შემუშავებაში თუ რა გაითვალისწინეს ამას არცერთი დოკუმენტი არ ვეუბნება. შემაჯამებლ ოქმში კი უცხოური ენების პედაგოგებს უწერიათ, რომ არ აქვთ სადიაგნოსტიკო შეფასების გამოცდილება, მაგრამ მომდევნო სასწავლო წლისთვის კი უკვე იციან/დაგეგმილი აქვთ თუ როგორ მოახდენენ მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსიტრებას, რასაც უკვე, გაითვალისწინებენ კუმრიკულუმის დაგეგმვაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და ხარისხის ჯგუფის დებულებიდან აგრეთვე კათედრის თავმჯდომარის ინტერვუიდან გამომდინარე იკვეთება, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში, გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გამოცდილების ანალიზი და კეთდება უკუკავშირი, საჭიროების შემთხვევაში პედაგოგებს ეძლევათ რეკომენდაციები..შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ესთეტიკური აღზრდა - ესთეტიკის კათედრაზე პროექტული სწავლება პირველად განხორციელდა 2022/23 სასწავლო წელს. მიღებული გამოცდილება გათვალისწინებული იქნება ახალ სასწავლო წელს ხელოვნების პროექტთან მიმართებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მათი მზაობა კურუკულუმის თითოეული ველის შევსების სასწავლო წლის დაწყებამდე, წინა წლის გამოცდილების გაზიარების საფუძველზე პედაგოგები გადახალისებას მოახდენენ თემატური მატრიცების. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან შეხვედრისას, პედაგოგებმა აღნიშნეს რომ, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას და თითოეული აქტივობის დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნა წინა სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების გამოცდილება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):·

- ადაპტირებული კომპლექსური დავალებები;
- კურიკულუმი.

შეფასება:

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2 კურიკულუმის განხორციელება

1.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სახელმწიფო ენა-საშუალო საფეხურზე სკოლა იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. 2023-2024 კურიკულუმში აისახება ცხოვრებისეულ კონტექსტზე მორგებული დავალებები, რაც მოსწავლეებს აქტიურად ჩართავს სასწავლო პროცესში და მისცემს ცოდნის კონსტრუირების, უნარებისა და ინტერესების წარმოჩენის შესაძლებლობას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

მათემატიკა- სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები იდეების დონეზე. ინტერვიუს დროს კათედრამ ისაუბრა კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებასა და დავალებების პირობის სრულყოფაზე ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, სადაც მოსწავლე აქტიურად არის ჩართული და თვითონ არის შემომქმედი ამ პროცესის. შესაბამისად კომპლექსური დავალება მოსწავლეს მისცემს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები-იმ თემებში სადაც წარმოდგენილი კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომ პროექტულ დავალებების იდეები შეიძლება ვთქვათ, რომ მოსწავლე ამგვარ სასწავლო გარემოში გარანტირებულად შეძლებს იყოს შემოქედებით პროცესში აქტიურად ჩართული და მოახდინოს კეთების პროცესში ცოდნის კონსტრუირება. თუმცა ასევე დაბეჯითებით ვერვ ვიტყვი რა ხდება იმ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

თემებში სადაც მხოლოდ საკითხთა ჩამონათვალს გვაცნობს უცხოური ენების საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები. სასურველია წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ძირითადი საკითხები უფრო ფართოდ გაიწეროს იმ თემებისთვის სადაც წარმოდგენილი აქვთ, რათა უფრო ცხადად იკითხებოდეს დაგეგმილი კომპლექსური შინაარსის დავალებების რაობა/ მიმართება გრძელვადიან მიზნებთან (სამიზნე ცნებებთან და შედეგებთან.). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- 10-12 კლასის კურიკულუმები და მაში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები და საშუალო საფეხურის კლასებში მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები სადაც ჩართულია საბაზო საფეხურის ყველა მოსწავლე თავის შესაძლებლობიდან გამომდინარე, უზრუნველყოფენ მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით სასწავლო პროცესში ჩართვას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, მრავალფეროვანი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებით მოსწავლეებს აქტიურად რთავენ სასწავლო პროცესში, მოსწავლეებს გააჩნიათ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ სისტემატიურად ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება-რეალიზება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები-საშუალო საფეხურზე საგნის პედაგოგები კურუკულუმის ჩარჩო დოკუმენტს დააგენერირებენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, გამოტოვებულ ველებს დახვეწავენ კიდევ ერთხელ განიხილავენ კათედრაზე და შეაჯამებენ, მოსწავლეებს აქვთ სრული თავისუფლება აზრის დაფიქსირების, არის პოზიტიური დამოკიდებულება პედაგოგების, რომლებიც მოსწავლეებს ფასილიტაციას უწევენ საკითხის გააზრებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-საბუნებისმეტყელო საგნების (ქიმია, ფიზიკა და ბიოლოგია) საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები იდეების დონეზე, პედაგოგები საგნობრივ ოქმებში აფიქსირებენ კომპლექსური დავალებებით სწავლა/სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალება მოსწავლეს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლბლობას. შესაბამისად, მომდევნო სასწავლო წელის კურიკულუმები მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას შეუწყობს. სკოლაში მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება/რეალიზება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

სახელმწიფო ენა-სასწავლო პროცესი დამყარებულია კონსტრუქტივისტულ მიდგომებზე. ცოდნა კონსტრუირდება არსებულ ცოდნაზე დაშენებით, როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ გარემოში. მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლა შეარჩევს კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც მოსწავლეს დაეხმარება წინარე ცოდნის გააქტიურებაში, რომელზეც დააშენებს ახალ ცოდნას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- მათემატიკის კათედრის მასწავლებლები დაგეგმვისას ითვალისწინებენ კლასის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახდენენ ახალი ცოდნის დაშენებას. იყენებენ სხვადასხვა აქტივობებს მოსწავლეთა ცოდნის დასადგენად (მაგ. სადიაგნოსტიკო ტესტი, შესავლელი ბილეთები, შემაჯამებელი კითხვარი). ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზზე, თუ როგორ ხდება სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინება და მასზე დაყრდნობთ ახალ კურიკულუმის აგება, სადაც თითოეული მოსწავლის მზაობა, შესაძლებლობები და ინტერესებია გათვალისწინებული. ეს გვაძლევს საშუალებას რომ დავასკვნათ სწავლა სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები-წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში (განსაკუთრებით იმ თემებში სადაც კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების ძირითადი საკითხებია ასახული) შუალედური მიზნები იმგვარად არის დაგეგმილი, რომ იგი ცალსახად ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებას, რაც თავისმხრივ უზრუნველყოფს ახალი ცოდნის მარტივად და მოსწავლისთვის საინტერესო ავთენტურ კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას. თუმცა, სასურველია სკოლამ წარმოადგინოს დოკუმენტი, რომელშიც ასახული იქნება თუ რით გამოკვეთეს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და რაზე დაყრდნობით გადაწყვიტეს აღნიშნული სასწავლო გეგმის/ კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების დაგეგმვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებლების სკოლაში განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები მუშაობის პროცესი ითვალისწინებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

დაშენებას. . დავალების ყოველ მომდევნოეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- პედაგოგებთან საუბრისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება კონსტრუქტივიზმის პრინციპს. სასწავლო პროცესი ეყრდნობა მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, სწავლას აღმოჩენის გზით. სწავლება ემყარება განვითარების პრინციპს - ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები-საზოგადოებრივი კათედრა საშუალო საფეხურზე იყენებს კონსტრუქტივისტულ პრინციპებს, რაც გულისხმობს წინარე ცოდნაზე ახლის დაშენებას, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და განზოგადებას, შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, ყველაფერ ამის მიღწვადობას კი ისინი ეტაპობრივად კომპლექსურ დავალებების გამრავალფეროვნებით ცდილობენ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- პედაგოგებთან გასაუბრისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, რათა მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სახელმწიფო ენა-სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას, რათა მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაოს და გარდაქმნას ცოდნად. სასწავლო პროცესში სწავლის სწავლისთვის აქცენტი კეთდება მოსწავლის ისეთი უნარების განვითარებაზე, როგორებიცაა: საკუთარი ფიქრების ორგანიზება, დავალების შესრულებისთვის საჭირო დროისა და რესურსის წინასწარ განსაზღვრა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლებს სწავლის დაგეგმვის ორგანიზებაში. მონიტორინგის დროს მოსწავლე პერიოდულად ამოწმებს, რამდენად კარგად გაიგო და გაიაზრა ახალი ინფორმაცია. მიღებულ გამოცდილების გაანალიზებს და გაარკვევს, რამდენად კარგად შეასრულა დავალება, სად რა ხარვეზია და რა არის გასაუმჯობესებელი. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

მათემატიკა- სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებები, საგნობრივ ოქმებში აფიქსირებს კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში ბუნებრივად აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე; მეტაკოგნიური უნარების ხელშეწყობაზე, რაც ინტერვიუს დროს აღნიშნეს პედაგოგებმა. კომპლექსური დავალება კარგი საშუალებაა თვითშეფასებისთვის. მოსწავლეები ასახელებენ იმ სტრატეგიებს, რომელიც გამოიყენეს, რა მოეწონათ, რა არ მოეწონათ, როგორ მიაღწიეს მიზანს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა პროგრესისათვის პორტფოლიოების წარმოება ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშაულებაა, ამ ეტაპზე ამისი პრაქტიკა სკოლას არ აქვს, თუმცა გეგმავენ მოსწავლეთა პორტფოლიოების წარმოების პრაქტიკა დანერგონ, რათა თითოეულმა მოსწავლემ და მასწავლებელმა შეძლოს მონიტორინგი გაუწიოს საკუთარი სწავლა/სწავლების პროგრესს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები- გაანალიზებული აქვს რა სკოლას კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რასაც მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები გვეუბნება და ასევე მოვახდინეთ რა გასაუბრება აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა იცავს/ამართლებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთ ძირითად კონცეფციას და მუშაობის პროცესი ისე მიჰყავთ, რომ მოსწავლეებს აფიქრებენ სწავლის სწავლაზე და შესაბამისად ეხმარებიან მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, კათედრა ითვალისწინებს სწავლა-სწავლების პროცესში მეტაკოგნიციაზე დაფუძნებულ აქტივობებს, მაგალითად, თვითშეფასების რუბრიკებს, ურთიერთშეფასებებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

საზოგადოებრივი მეცნიერებები-საშუალო საფეხურზე პედაგოგები ხელს უწყობენ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. მოსწავლეებზე მორგებულ რესურსებს და აქტივობებს გეგმავენ, კომპლექსური დავალებზე მუშაობის პროცესში მასწავლებელი არის ფასილიტატორი, რომელიც მიმართულებებს აძლევს მოსწავლეებს, მოსწავლეებისთვის პეაგოგები სხვადასხვა სახის რესურსის გამრავალეფროვნებაზე ჯერდებიან და აღნიშნავენ რომ კეთებით სწავლება მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდას უწყობს ხელს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-საბუნებისმეტყელო კათედრა გეგმავს კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სახელმწიფო ენა-ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა და პროექტული ტიპის, კომპლექსური ბუნების დავალებებსა და არაფორმალური. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- სასწავლო პროცესი საშუალო საფეხურზე ეფუძნება საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას და დანაწევრებული, ფაქტობრივი ცოდნის გარდა, ემსახურება ერთი საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სხვა საგნის ჭრილში დანახვასა და სამყაროს მთლიანობის აღქმას. კომპლექსური დავალებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია სწორედ ისაა, რომ მისი შესრულება მოითხოვს ცოდნათა სამივე კატეგორიის ურთიერთდაკავშირებულად გამოყენებას, საშუალო საფეხურის მათემატიკის სასწავლო კურიკულუმებში იგეგმება მსგავსი კომპლექსური დავალებების გაწერა, რომელზეც მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, მოახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას, მაგალითად მეათე კლასში კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალება გეომეტრიაში , რომლის პირობას წარმოადგენს ის რომ, მოსწავლეებმა უნდა აწარმოონ მიუდგომელი ადგილების სიმაღლის გაზომვა და ამისათვის სხვადასხვა სამუშაოების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ჩატარება. სადაც თეორიულ ცოდნაზე დაფუძნებით მოახდენენ შესაბამისი სამუშაოების ჩატარებას და ნასწავლი საკითხებისს გამოყენებით დაადგენენ სხვადასხვა ობიექტების სიმაღლეს, მაგალითად: მასწავლებელმა ინტერვიუსას გაიხსენა წინა წელს განხორციელებული იგივე დავალება, რის ფარგლებშიც მოსწავლეებმა დაადგინეს საკუთარი სკოლის სიმაღლე, რამაც მოსწავლეებში დიდი ინტერესი გამოიწვია; არსებულ დავალებაში მოსწავლეები შეძლებენ საკუთარი ცოდნის ურთიერთდაკავშირებას და ამ ცოდნათა ერთობლიობით საბოლოო პროდუქტის შექმნას. 2023-2024 სასწავლო წლის კურუკულუმებში აქცენტი კეთდება მსგავსი კომპლექსური დავალებების განხორციელებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები-წარმოდგენილია რა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთანა მჭიდრო კორელაციაში მყოფი მიზნების ძირითადი საკითხები, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს მოახდინონ ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება მაგ. „შექმენი პოსტერი თემაზე -My dream Holidays” ან კიდევ პოსტერის მეშვეობით ისაუბრე თემაზე- “My room“ ამგვარი დავალებები უდაოდ განაპირობებს მოსწავლეს ,რომ მოახდინონ როგორც დეკლარატიული, ასე პროცედურული და პირობისეული ცოდნის რეალიზება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზკიური აღ ზრდა და სპორტი- 10-12 კლასის ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი და კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. რომელიც ორიენტილებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პ ირობისეული); **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- პედაგოგებთან საუბრისას გაირკვა, რომ სწავლა-სწავლების პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. ეს ხელს უწყობს ცოდნის განზოგადებას, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებების გააზრებას სხვადასხვა კონტექსტში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- X-XII კლასში კათედრა ეტაპობრივად იმუშავებს ყველა კლასის კურუკულუმის შექმნაზე, რომლის მთავარი მიზანია მოსწავლეთა საზროვნო უნარების განვითარება და ხელშეწყობა ცოდნის სამივე კატეგორიის გათვალისწიბებით როგორც დეკლარატიული, პირობისეული და პროცედურული მიმართულებით, შეძლონ ცოდნის განზოგადება სამივ საგნის მიმართულებით, როგორც გეოგრაფიის, ისტორიის და მოქალაქეობის მიმართულებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-პედაგოგებთან საუბრისას გაირკვა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაზეც მეტყველებს სამივე საგანში (ქიმია/ფიზიკა/ბიოლოგია) შექმნილი სასკოლო კურიკულუმები. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სახელმწიფო ენა-სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის თემატური დაგეგმვა, მოსწავლისათვის კომპლექსური ბუნების დავალებებისა და პროექტული ტიპის აქტივობების შეთავაზება საშუალებას იძლევა, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. სკოლა მომავალი სასწავლო წლიდან სწორედ ამ ტიპის დავალებების განხორციელებას გეგმავს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- სასწავლო პროცესში დიდი ყურადღება ექცევა საგანთაშორის კავშირების დამყარებას და ცოდნის სისტემატიზაციას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ტრანსფერის უნარის განვითარებას. ამ მიზნით საშუალო საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. კურიკულუმებში ასახულია ერთიანი მიდგომა, გზა ერთი კომპლექსური დავალებიდან მეორე კომპლექსურ დავალებამდე. ამ გზის გავლით კი მოსწავლეები მოახდენენ ცოდნათა ორგანიზების ურთერთდაკავშირებას. წარმოდგენილ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება სამიზნე ცნებისაკენ, ყველა კომპლექსური დავალება ეხება კონკრეტულ ქვეცნებას და ქვესაკითხს, რომელიც უკავშირდება სამიზნე ცნებებს. იგივე სამიზნე ცნებებს უკავშირდება მონათესავე ბუნების სხვა საკითხები, ქვეცნებები, ქვესაკითხები, რაც ხელს შუწყობს მოსწავლეებში კავშირების დანახვას და გააზრებას, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები-იმ თემებში სადაც წარმოდგენილია კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების ძირითადი საკითხები, მარტივია ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეები ეცნობიან აღნიშნულ დავალებებს ახალ თემაზე გადასვლისთანავე (ინტერვიუირებისასაც დაადასტურეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ეს პედაგოგებმა) და შესაბამისად ეს „უკუსვლითი დაგეგმვის“ მიდგომაც დაეხმარებათ მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებაში. რაც შეეხება ცოდნათა ურთიერთ დაკავშირებას, ვისურვებდი უფორ მეტი სიცხადისთვის წარმოდგენილი ჰქონოდათ ინტეგრირებული კომპლექსური დავალების ნიმუში, თუმცა, ინტერვიუმ მაჩვენა, რომ სკოლას აქვს გამოცდილება საგანთა შორის გაკვეთილების ინტეგრირებისა ინგლისური და ი.ს.ტ-ის საგნებს შორის, რუსულისა და ისტორიის საგნის ინტეგრირება „ პეტრე პირველისა და იმ პერიოდის საქრთველოს მართველის მსგავსება განსხვავება რუსულ ენაზე და ა.შ) **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლა ითვალისწინებს სწავლა-სწავლების პროცესში ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. განხორციელებული სასწავლო საგნობრივი პროექტები სწორედ ამ მიზნებს ემსახურება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები-საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა აქტიურად მუშაობს მოსწავლეებში სწავლა-სწავლების დონის გაზრდაზე, იყენებენ კონსტრუქტივისტულ პრინციპებს, წინარე ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენებას, ცოდნათა ორგანიზებულობაა, რელურ ცხოვრებაში გამოყენების ალბათობას და ახალი ცოდნის საფუძვიანად დამუშავებას და ურთიერთდაკავშირებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგები პირად შეხვედრებსა და საგნობრივ ოქმებში აფიქსირებენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას, დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ამასთანავე, პედაგოგები ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში, იმისათვის, რომ მოსწავლეებში გაიზარდოს გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები, რაც წარმატებული სწავლის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმი;
- სასწავლო პროექტები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

სახელმწიფო ენა-სასწავლო პროცესში მოსწავლეთათვის შეთავზებული კომპლექსური დავალებები მიემართება სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს, რომლებსაც მუშავდება ქვესაკითხებით. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სასწავლო პროცესში მოსწავლეთათვის შეთავზებული კომპლექსური დავალებები მიემართება სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს, რომლებსაც მუშავდება ქვესაკითხებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- სკოლას საშუალო საფეხურის მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში შერჩეულია საკითხები ისე რომ შესაძლებელია თემის დამუშავება, მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები-წარმოდგენილია რა მესამე თაობის ე.ს.გ.-ს გრძელვადიანი მიზნების მიხედვით გაწერილი შუალედური მიზნების ძირითადი საკითხები უცხოურ ენებისთვის, შემოთავაზებული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლე მივიდეს განზოგადებამდე და ნასწავლ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოაყალიბოს მკვიდრი წარმოდგენები საგნის გრძელვადიანი მიზნებთან(შედეგებსა და სამიზნე ცნებებთან) მიმართებით.მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ გამთლიანება დანაწევრებით მიღებული ცოდნისა.თუმცა აუცილებელია წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარცოებში უფრო მეტი სიცხადისთვის გაიწეროს ამა თუ იმ დაგეგმილი კომპლექსური დავალებით მასწავლებელი რომელ გრძელვადიან მიზანს- სსსამიზნე ცნებას და რომელ ქვეცნებას/ქვესაკითხს ამუშავებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- ფიზიკური აღზრდის და სპორტის სასწავლო პროცესი. კურიკულუმებში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობას და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ ხელი ეწყობა სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებების გათავისებას სხვადასხვა კონტექსტში. სასწავლო პროცესი ეყრდნობა გრიფირებულ სახელმძღვანელოებსა და სამინისტროს მასალებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები-საშუალო საფეხურზე კათედრას საგნობრივი კურიკულუმში გაწერილი აქვს გრძელვადიან მიზნებზე გასასვლელი შუალედური მიზნები, განსაზღვრულია ქვეცნებები კერძოდან ზოგადისკენ, სტანდარტით განსაზღვრული ყველა თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, რაც მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებით დასტურდება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- საბუნებისმეტყველო კათედრას საგნობრივი კურიკულუმის სამივე საგანში (ქიმია/ფიზიკა/ბიოლოგია) გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. 2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

სახელმწიფო ენა-საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კერძოდ, საბაზო საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, ცოდნის მიღებასთან ერთად, ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებასაც. ამ ტიპის დავალებებით მოსწავლე სწავლობს, თუ როგორ გამოიყენოს მოცემულ საგნობრივ კონტექსტში მიღებული ცოდნა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

მათემატიკა- საშუალო საფეხურზე საგნობრივი კონტექსტი ემსახურება არა მხოლოდ საკითხის შინაარსობრივ შესწავლას, არამედ მოსწავლეთა პიროვნულ, ფსიქო–სოციალურ და ემოციურ განვითარებას. სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მხარდამჭერი გარემო, მოსწავლეები გრძნობენ, რომ მათი ხმა ესმით და მნიშვნელოვანია, კომპლექსური დავალებები, განმავითარებელი შეფასებები და კომენტარები, დამრიგებელთა მიერ ჩატარებული კლასის საათები, ექსკურსიები, გასვლითი ღონისძიებები, ყველაფერი ეს მოსწავლეებს ეხმარება საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენაში, თვითშეფასების ამაღლებაში, სოციალური უნარების განვითარებაში და ემოციების მართვაში. საშუალო საფეხურზე მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ძირითადი თემებია განსაზღვრული. კათედრას ამ ეტაპზე საგნობრივი კონტექტსტების ნაწილი აქვს შერჩეული კონკრეტული დავალების განხორციელებისათვის, თუმცა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და ისაუბრეს მასწავლებლებმა თუ როგორ წარმიმართება მათი სასწავლო პროცესი კურიკულუმის მიხედვით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები-ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი უხოური ენების კურიკულუმის ჩარჩოებში დამუშავებულია ე.ს.გ. უცხოური ენების სტანდარტით გათვალისწინებული თემატური ბლოკებში შემოთავაზებული თემები, რომელთა მცირე ნაწილი (სემესტრში ერთი) მუშავდება ავთენტური შინაარსის მქონე შუალედური მიზნებში/კომპლექსური შინაარსის დავალებებში, აღნიშნული დავალებები კი ცალსახად შეუწყობს ხელს ფუნქციურ კომპონენტური უნარების განვითარებას და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება**. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის მიერ შეთავაზებულისწავლის სხვადასხვა მეთოდები თეორიული, პრაქტიკული, კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს მათ შორის ქართული ტრადიციული სპორტის სახეობების ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს, აგრეთვე მოსწავლეების მიერ შექმნილი პროექტები ხელს უწყობს და ემსახურება მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- მოწოდებული დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ კათედრისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაც. ამ მიზნით შერჩეული საგნობრივი პროექტები (I სემესტრი - "ეროვნული იდენტობისა და ევროპული მუსიკალური აზროვნების საკითხები ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებაში" და II სემესტრში "80-90-იანი წლების ქართული ალტერნატიული მუსიკა –ანდერგრაუნდი - დასავლური და ქართული პარალელებით")

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. პროექტების ეტაპები გაწერილია ლოგიკური თანმიმდევრობით, კონტექსტები შერჩეულია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები საჭიროებები და ასაკობრივი თავისებურებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები-საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება: ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემები, რუკები, სურათები, ილუსტრაციები, ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება: ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემები, რუკები, სურათები, ილუსტრაციები, ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

სახელმწიფო ენა-საშუალო საფეხურზე შეფასების სისტემა წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ფორმებით და ორიენტირებულია მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესზე. გამსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია პროცესზე. ამ ეტაპზე მასწავლებლები განმავითარებელი შეფასებისას უფრო ხშირად შემოიფარგლებიან ზეპირი განმავითარებელი კომენტარით, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია შეფასების ზოგადი რუბრიკები, რომელთა გამოყენებაც ხდება მათემატიკის კათედრის მიერ. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა წარმოადგინეს კათედრაზე შექმნილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც გამოიყენეს განხორციელებული კომპლექსური დავალების შემდგომ, სადაც კარგად ჩანს ჰოლისტური მიდგომა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

უცხოური ენები-სასკოლო კურიკულუმში მოცემული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. კერძოდ, მოსწავლის შეფასების მიზნით წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ვალიდურია სანიმუშოდ წარმიდგენილი კომპლექსური დავალებისა და ახდენ მოსწავლის მიღწევების დეტალურ ანალიზს თითოეული სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებთან მიმართებით. ამგვარ რუბრიკაზე დაფუძნებული უკუკავშირი კი ხელს შეუწყობს მოსწავლეთა განვითარებას, როგორც საგნის ასევე პიროვნულ ჭრილში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდის და სპორტის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც საჭიროებს დახვეწას და რომლის მზაობასაც გამოხატავ სკოლა მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. 10-11 კლასის ფიზიკურ აღზრდის და სპორტის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რომელიც აეხმარება მოსწავლეებს ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობის და თვითკონტროლის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების გაცნობიერებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- სკოლის შეფასების სისტემა ეყრდნობა მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. განმავითარებელის შეფასების მექანიზმად სკოლას აღებული აქვს სტანდარტის შედეგების მიღწევის სოლო ტაქსონომია. კათედრას წარმოდგენილი აქვს პროექტის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა , რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, ისინი გათვითცნობიერებულნი არიან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსში,ისინი პროექტის განხორციელების დღიდან ჩაერთვნენ პროცესში და აქტიურად მიჰყვებიან სიახლეებს, თუმცა სექემბრისთვის გეგმავენ გამსაზღვრელი და განმავითარებული შეფასების რუბრიკების შექმნას, სემესტრში ერთხელ დიაგნოსტიკური ტესტების გამოყენებას მოსწავლეების სწავალ-სწავლების დონის გასაზრდელად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებს გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, ისინი ერკვევიან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსში, თუმცა ჯერ არა აქვთ შექმნილი შეფასების რუბრიკები. კათედრა მომდევნო სასწავლო წლისთვის შეიმუშავებს რუბრიკებს ყველა თემასთან მიმართებით, აწარმოებს მოსწავლეთა დაკვირვებას, დიაგნოსტიკური წერის ანალიზს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სახელმწიფო ენა-საშუალო საფეხურზე საგნობრივ კათედრას არ წარმოუდგენია შეფასების რუბრიკები, თუმცა კათედრის შემაჯამებელ ოქმში აღნიშნავს, რომ შემუშავებული აქვს რამდენიმე რუბრიკა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გაზრებული აქვთ შეფასების რუბრიკების შემუშავების სტრატეგია. ისინი გეგმავენ შეფასებისთვის შექმნან შფასების რუბრიკები საგნობრივი შედეგების შესაბამისად, უზრუნველყონ, რომ შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- შეფასება არის ვალიდური, მოსწავლეებმა იციან, რომ შეფასდებიან მხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც მასწავლებელმა მათ გააცნო. შეფასება არის გამჭვირვალე, მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. შეფასება არის გამჭვირვალე, დახვეწილი, მკაფიო და არაორაზროვანი შეფასების სქემა შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის, უზრუნველყოფს თანაბარ სამართლიანობას ყველა მოსწავლის მიმართ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები-სკოლას წარმოდგენილი აქვს სანიმუშო განსმაზღვრელი შეფასები რუბრიკები რუსული ენსითვის სადაც მოსწავლეებს ქულა ეწერებათ შემდეგ კრიტერიუმებში დროის ლიმიტის დაცვა, თანამშრომლობითი უნარები" და სხვა ამგვარი, რაც ცხადია არ ითვლება ვალიდურად, ვინაიდან უცხოური ენების სტანდარტით წარმოდგენილი ინდიკატორები ამას არ ითვალისწინებს/არ სთხოვს მოსწავლეს. ამიტომ აუცილებელია ყველა შეფასების რუბრიკა ეფუძვნებოდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების ინდიკატორებს. თუმცა ასევე იგივე შეფასების რუბრიკების დოკუმენტში გვხვდება განმსაზღვრელი სეფასების რუბრიკის ერტი ნიმუში- ინგლისური ენისა, რომელებიც დეტალურ სურათს გვიხატავს, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეების შეფასებას ამავე საგნის შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით. ეს კი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური და სანდო, რაც შეეხება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას, ამის დაკვირვების საშუალება ამ ეტაპზე მხოლოდ დოკუმენტაციის ბაზაზე ნაკლებად ხერხდება. თუმცა, ინტერვიუს პასუხებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა აანალიზებს შეფასების სისტემის გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-სკოლის სასწავლო პროცესში შეფასება მნიშვნელოვანი ნაწილია. ის შემუშავებული და გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლების მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს, საგნის სამიზნე ცნებებიდან, განსახორციელებელი თემიდან და საკითხებიდან. რუბრიკაში მიზნობრივად ხდება შედეგის შეფასება. მოსწავლეებისთვის კარგადაა გააზრებული რა საკითხები უნდა დააკმაყოფილოს მათ მიერ შესრულებულმა აქტივობებმა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- პედაგოგებთან საუბრისა და მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლა გეგმავს მოსწავლეთა შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. მოსწავლეები ინფორმირებულები იქნებიან შეფასების კრიტერიუმების შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები-საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებთან ინტერვიუდან დასტურდება, რომ პედაგოგები ნელ -ნელა ეტაპობრივად ქოუჩინგის ფორმატში გაზიარებული ინფორმაციის საფუძველზე შექმნიან გამსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, ისინი აქამდე იყენებდნენ სხვადასხვა სახის შეფასების რუბრიკებს პრეზენტაციის, დისკუსიის და ა.შ, თუმცა ისინი სამომავლოდ გეგმავენ სხვადასხვა სახის გამსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკების შექმნას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან ინტერვიუდან და აგრეთვე მათ მიერ შექმნილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, კათედრა გეგმავს სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშაონ ისეთი შეფასების კრიტერიუმები სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. სკოლაში შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით თითოეული თემის ფარგლებში იმოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი 10- ქულიანი შეფასების სისტემა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

სახელმწიფო ენა-სკოლას გააზრებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მნიშვნელობა და გეგმავს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმების შემუშავებას. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა-სკოლის მიერ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს, ვადებსა და პირობებს. სასწავლო წლის ბოლოს ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგი/შეფასება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს კათედრაზე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის წარდგენაზე და განხილვაზე, თუ როგორ ხდება მოსწავლის პროგრესის დანახვა და რას ითვალსიწინებენ სამომავლოდ. გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელზეც პასუხისმგებლობა აღებული აქვს სკოლის დირექციას და ხარისხის მართვის ჯგუფის წევრებს. მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მაწავლებლისთვის რეკომენდაციების მიცემა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა-ინტერვიურებისა უცხოური ენების პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ 2023-24 სასწავლო წელს აპირებენ სადიაგნოსტიკო წერებს რაზეც დააფუძვნებენ კურიკულუმის ვერიფიკაციის მექანიზმს, თუმცა, სათანადო დოკუმენტაცია წარმოდგენილი არ აქვთ, რაც მ, მიმაჩნია, რომ აუცილებალდ წარმოსადგენია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ ჩანს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის ნარატივიდან გამომდინარე, სკოლას გააზრებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმების საჭიროება და სამომავლოდ გეგმავს შეიმუშავოს ეს მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას განახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. როგორც გამოიკვეთა პედაგოგებთან საუბარში და სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან, ამ ეტაპზე ვერიფიკაციის მექანიზმები შემოშავების პროცესშია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები-საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა საშუალო საფეხურზე მიყვება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვასა და განხორციელებას, შეფასების სისტემა გენერირდება ვერიფიკაციის მექანიზმით. მომდევნო სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

წლის დაწყებამდე შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას განახორციელებს საზოგადოებრივი კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა გაითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას განახორციელებს საბუნებისმეტყველო კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სახელმწიფო ენა- სკოლა უზრუნველყოფს დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. კერძოდ, საშუალო საფეხურზე სკოლაში ინახება მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები და ანალიზის ნიმუშები, რომლებიც ინახება გარკვეული ვადით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვას და არანაკლებ 3 წლის ვადით შენახვას, რაც დადასტურდა გასაუბრების შედეგად, მასწავლებლებს ჰქონდათ ნიმუშის სახით წარმოდგენილი შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა-სკოლაში წარმოებული ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-სკოლაში წარმოებული ელოქტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- მოწოდებული დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ ინფორმაცია შეფასებების შესახებ ინახება ელექტრონულ ჟურნალში, ხოლო მოსწავლეთა ნამშევრები ელექტრონული ან მატერიალური სახით ინახება სამი წლის ვადით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საშუალო საფეხურზე პედაგოგებთან გასუბრებით დასტურდება, რომ საზოგადოებრივი კათედრა იყენებს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხდება მათი აღრიცხვა და შენახვა, ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ საბუნებისმეტყველო კათედრა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხდება მათი აღრიცხვა და შენახვა, ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმი;
- სასწავლო პროექტები;
- შეფასების მასალები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

სახელმწიფო ენა-სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. საშუალო საფეხურზე სკოლისა და კლასის დონეზე პოზიტიური კლიმატის უზრუნველსაყოფად სკოლა თანამშრომლობს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლთან. თანამშრომლობა დაფუძნებულია ინდივიდების აღიარებაზე, ნდობაზე, პატივისცემასა და მათ ჩართულობაზე სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის კულტურა „ფარული კურიკულუმი“, წარმოაჩენს ისეთ ურთიერთობებს, რომლებიც არსებობს სასკოლო საზოგაოდების წევრებს შორის (მოსწავლე და მასწავლებელი, კათედრის წევრები, მასწავლებლები და სკოლის დირექცია). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას, კერძოდ როგორც სასკოლო ასევე საკლასო გარემო ყველა მოსწავლისათვის არის პოზიტიური, თანამშრომლობითი და მეგობრული. ამ უნარების განსავითარებელი საკითხები ასახულია სასკოლო სასწავლო. საშუალო საფეხურის მასწავლებლები მომავალში გეგმავენ უფრო მრავალფეროვან აქტივობებს და პროექტებს, რაც დაეხმარება მოსწავლეებს მხარდამჭერი და მიმღებლობითი უნარების განვითარებაში, სასწავლო პროცესი კი უფრო პოზიტიური და მეგობრული იქნება. სკოლის თვითშეფასების ფორმაში განხილულია თანამშრომლობითი გარემოს მაგალითები, კათედრებზე, სკოლაში არსებულ სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის, შემუშავებულ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები, საგნობრივ ოქმებში განსაზღვრული პირობა, რომ მოხდება ყველა დავალების პირობის სრულყოფა, შესაბამისად კომპლექსური დავალების განხორციელებისას საჭირო რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის,მასწავლებლის მიერ გაცემული უკუკავშირი კი ხელს უწყობს მიმღებლობით და მხარდამჭერი გარემოს შექმნას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

უცხოური ენა-მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებით და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. კათედრა ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის არის უწყვეტი კომუნიკაცია, მოსწავლეებს სისტემატიურად მიეწოდებათ უკუკავშირი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებელთან ინტერვიუდან გამომდინარე მოსწავლეს ყოველთვის სთავაზობდა მხარდამჭერ და მიმღებლობის გარემოს. ითვალისწინებდა მათ ინტერესებს და სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სპორტულ აქტივობებს. რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობის და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად. სამომავლოდ სკოლა გეგმავს შეიმუშავოს მოსწავლეებისთვის ახალი მრავალფეროვანი აქტივობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. ესთეტიკის კათედრა ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის არის უწყვეტი კომუნიკაცია, მოსწავლეებს სისტემატიურად მიეწოდებათ უკუკავშირი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები-საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრასთან გასაუბრების დროს მასწავლეებთან ჩართულობის დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს შორის ურთიერთთანამშრომლობის დონე საკმაოდ მაღალია, ისინი ითვალისწინებენ ერთმანეთის მოსაზრებებს და ერთ კონკრეტულ მიმართულებამდე მიდიან გააზრებულას და მკაფიოდ აღნიშნავენ რომ მოსწავლე მათთვის პრიორიტეტია და მაქსიმალურად ზრუნავენ და ქმნიან მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ისინი ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირსა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

. 2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად**

სახელმწიფო ენა-სკოლას გაცნობიერებული აქვს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლის აქტიური ჩართულობა, რომ მან თავად უნდა წარმართოს სწავლის პროცესი. მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს უზრუნველსაყოფად სკოლა გეგმავს კვლევის განხორციელებას მოსწავლის პროგრესის შესასწავლად, თუ სად იყო და სად არის ახლა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა- სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სკოლის დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს, რომ ყველა მოსწავლეს აძლევენ საშუალებას ჩაერთოს სასწავლო პროცესში თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით, რაც მათ მაქსიმალურად გამოვლენის და თვითრეალიზაციის საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ასევე იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, შეფასებისათვის სხვადასხვა ინსტრმენეტებს, რათა დაინახონ თითოეული მოსწავლის პროგრესი. მათ მიერ შექმნილი კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმის და განვითარების დანახვის შესაძლებლობას, ზრუნვასა და მხარდაჭერეზეა აგებული, ეს კი დადებითად აისახება მოსწავლის თვითრეალიზებაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციაში კარგად ჩანს, რომ საგანმანათლებლო გარემო უზრუნველყოფს თითოეული ბავშვის აქტიურ ჩართულობას და მისი შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებას საგანმანათლებლო პროცესის ყველა ეტაპზე. სკოლას გაცნობიერებული აქვს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლის აქტიური ჩართულობა, რომ მან თავად უნდა წარმართოს სწავლის პროცესი. მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს უზრუნველსაყოფად სკოლა გეგმავს კვლევის განხორციელებას მოსწავლის პროგრესის შესასწავლად, თუ სად იყო და სად არის ახლა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენა- წამოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით, დგინდება, რომ მასწავლებლები ორიენტირებულები არიან თითოეული მოსწავლის საჭიროებაზე. პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. ესთეტიკის კათედრა ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, პედაგოგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის არის უწყვეტი კომუნიკაცია, მოსწავლეებს სისტემატიურად მიეწოდებათ უკუკავშირი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- 2022-2023 სასწავლო წლის სკოლის ერთწლიან სასწავლო გეგმაში ასახული სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელშიც ასახულია მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემო, ასევე თავისთავში მოიაზრებს განმავითარებელი შეფასებასაც. ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგები ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა- სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მე-10 კლასში არჩეული მუსიკის პროექტები სრულად შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და ცხოვრებისაულ გამოცდილებას. სასწავლო პროცეში ჩართულია ყველა მოსწავლე. მათ აქვთ საკუთარი მოსაზრებების თავისუფლად გამოთქმის შესაძლებლობა. მოსწავლეებს გაცნობიერებული აქვთ, რომ მათი მოსაზრება მნიშვნელოვანია. მთავარია მათ გამოთქვან დასაბუთებული, არგუმენტირებული პასუხები. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითშეფასების ზრდას, უვითარებს მათ დისკუსიის, სხვისი აზრის მიღების უნარებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები-სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კარგად ჩანს, რომ კათედრებზე და გაერთიანებების წევრთა შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, რაც მნიშველოვანია სკოლის წარმატებისათვის. ამის კარგი მაგალითია მაგ; სკოლის პრაქტიკაში დანერგილი აქტივობა „კრიტიკული მეგობარი, სადაც ურთიერთდასწრების საფუძველზე ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და აძლევენ ეფექტურ უკუკავშირს. სკოლა სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში განსაზღვრავს თანამშრომლობის ფორმებს, მასწავლებლებს, სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის, შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები, საგნობრივ ოქმებში განსაზღვრული პირობა, რომ მოხდება ყველა დავალების პირობის სრულყოფა, შესაბამისად კომპლექსური დავალების განხორციელება საკლასო ოთახში შექმნის თანამშრომლობაზე ორიენტირებულ გარემოს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მათ მიერ შექმნილი კურიკულუმები ამაზე მეტყველებს. შერჩეული თემები, საკითხები სრულად შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ინტერესებსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს ძლიერი მხარეების განავითარებაში, ასევე ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

